CMYK - 1

www.24saati.ge

24 საათი

The New York Times International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ოთხშაბათი 18 ნოემბერი, 2009 წელი. №253 (2291) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

ჩინეთი ამერიკას პროტექციონიზმზე უარის თქმისკენ მოუწოდებს

A8



ერთად შევხვდეთ 2013 წელს

A10




ახალგაზრდები კიმონოში გამოეწყვნენ

A13



24 საათი
"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
GRDC group
ჯი პი აი
ვენის სადაზღვევო ჯგუფი

# რუსეთისთვის ფრანგული გემის მიყიდვის პროცესი უნდა შეჩერდეს




*მინსტრალის კლასის გემის სქემა*

დევიდ ჯ. სმიტი
სპეციალურად "24 საათისთვის"

ფრანგული ფლოტის ხომალდი "მისტრალი" მომავალ კვირას სანკტ-პეტერბურგს ეწვევა. რუსული პორტისკენ მცურავი სადესანტო მოიერიშე გემი, რომელსაც ვერტმფრენების მზიდადაც მოიხსენიებენ ხოლმე, ჩრდილოეთისა და ბალტიის ზღვების დამაკავშირებელ სკაგერაკის ვიწრო სრუტეს გაივლის და ჩაუვლის ნატო-ს ქვეყნების პორტებს - გდანსკს, კლაიპედას, რიგასა და ტალინს. მხოლოდ 15 თვე გავიდა მას შემდეგ, რაც რუსეთმა საქართველოზე თავდასხმა განახორციელა, რომლის დროსაც მოსკოვი საფრანგეთის პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზის შუამავლობით ხელმოწერილ შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ გამუდმებით აბუჩად იგდებს. მიუხედავად ამისა, ფრანგულ-რუსული ურთიერთობები აშკარად ჩვეულ კალაპოტს დაუბრუნდა. თუმცა, "მისტრალის" მისია მხოლოდ პორტში სტუმრობა არ არის - ეს კომერციული ვიზიტია.

**"ჩვენ ვაპირებთ "მისტრალის" კლასის ერთი ხომალდის შეძენას საფრანგეთში, აგრეთვე, ამ კლასის ვერტმფრენების მზიდი ოთხი ხომალდის აგებას ფრანგების ტექნიკური მხარდაჭერითა და ლიცენზიით,"** - განაცხადა რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის შტაბის მეთაურის პირველმა მოადგილემ, ვიცე-ადმირალმა ოლეგ ბურცევმა 2 ნოემბერს გამართულ პრეს-კონფერენციაზე. ფრანგული წყაროების თანახმად, გარიგება თითქმის შემდგარია. მართლაც, შეთანხმების შესახებ განცხადება შეიძლება "მისტრალის" სანკტ-პეტერბურგში დგომის დროს გაკეთდეს. თუ გარიგება შედგა, ეს იქნება ნატო-ს წევრი ქვეყნის მიერ რუსეთისთვის შეიარაღების მიწოდების ყველაზე მასშტაბური შემთხვევა ისტორიაში და ავის მომასწავებელი გეოპოლიტიკური შედეგებიც მოჰყვება.

გაგრძელება A3 გვერდზე

# "ღორის გრიპმა" მუტაცია განიცადა

ნათია მსხილაძე

### გრიპის აფეთქების სტატისტიკა

ჯერ კიდევ ჩვენს წელთ აღრიცხვამდე 412 წელს, ჰიპოკრატემ გრიპისმაგვარი დაავადება. აღწერა გრიპისმაგვარი აფეთქებები აღინიშნა 1173 წელსაც. მსოფლიოში გრიპის პირველი დოკუმენტირებული პანდემია, რომელმაც უამრავი სიცოცხლე შეიწირა, 1580 წელს მოხდა. 1889-1891 წლებში აღინიშნა საშუალო სიმძიმის პანდემია, რომელიც H3N2 ვირუსით იყო გამოწვეული.

1918-1920 წლებში, "ესპანურმა გრიპმა", რომელიც H1N1 ვირუსმა გამოიწვია, 20 მლნ ადამიანი იმსხვერპლა. "ისპანკით" დაავადდა მსოფლიოს მაშინდელი მოსახლეობის 20-40 პროცენტი. ადამიანი, რომელიც დილით სრულიად ჯანმრთელი იყო, შუადღეზე ავად ხდებოდა და საღამოს იღუპებოდა. პირველ დღეებში სიკვდილს გადარჩენილები კი შემდგომში გრიპის გართულებების გამო კვდებოდნენ. "ისპანკას" თავისებურებას წარმოადგენდა ის, რომ იგი ძირითადად ახალგაზრდებს ემართებოდათ.

1977-1978 წლებში მსოფლიოს შედარებით მსუბუქი პანდემია მოედო, რომელსაც "რუსული გრიპი" უწოდეს. მისი გამომწვევი იყო H1N1 ვირუსი, რომელიც 50-იან წლებში ცირკულირებდა და ცალკეულ ეპიდემიებს იწვევდა. ამის გამო, ძირითადად, 1950 წლის შემდეგ დაბადებული ადამიანები დაზარალდნენ.

### A/H1N1 ვირუსი მსოფლიოში

ახალი A/H1N1 ვირუსი წელს მთელ მსოფლიოს მოედო და მოსახლეობაში გარკვეული პანიკაც შეიქმნა. ვირუსი პირველად 2009 წლის აპრილში, აშშ-ში დაფიქსირდა. A/ H1N1 გრიპის ახალი ვირუსი ადამიანიდან ადამიანზე ისევე გადადის, როგორც სეზონური გრიპის ვირუსი. თუმცა ამჟამად უცნობია, რამდენად იოლად ვრცელდება ვირუსი ადამიანებს შორის.

როცა დაავადებული ადამიანი ახველებს ან აცემინებს, დაინფიცირებული წვეთები ხვდება მათ ხელებზე, აგრეთვე სხვადასხვა ზედაპირებზე ან დისპერსირდება ჰაერში 1 მეტრის მანძილზე.

გაგრძელება A2 გვერდზე

# საქართველოს ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანა საერთო ვალია

ინტერვიუ ეკონომიკის მინისტრთან ზურაბ პოლოლიკაშვილთან

სალომე ძაძამია

მთავარი გამოწვევა მისთვის უცხოური ინვესტიციების მოზიდვაა. ეს იყო პირველი დაპირება, რომელიც ქვეყნისა და ქართული საზოგადოების წინაშე დადო. ბოლო შეხვედრები პოტენციურ ინვესტორებთან სპარსეთის ყურის სახელმწიფოებში ჩაატარა, საიდანაც, წინასწარი ინფორმაციით, უახლოეს მომავალში საქართველოს ეკონომიკაში ორი მილიარდი დოლარის ოდენობის ინვესტიცია უნდა განხორციელდეს. ზურაბ პოლოლიკაშვილთან ჩვენი საუბარი სწორედ ამ პოზიტივით დაიწყო.

**- ერთ-ერთი პირველი განცხადება, რომელიც თქვენ, როგორც ეკონომიკური განვითარების მინისტრმა გააკეთეთ, სწორედ უცხოურ ინვესტიციებს შეეხებოდა. სამწუხაროდ, ოფიციალური სტატისტიკა ამ მხრივ სანუგეშოს ვერაფერს ამბობს, 2009 წლის პირველ სამ კვარტალში ინვესტიციების ოდენობამ 226 მილიონი დოლარი შეადგინა. როგორ გეგმავთ საქართველოს საინვესტიციო მიმზიდველობის გაზრდას?**

- წინასწარი პროგნოზით, უკვე მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში ველოდებით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებლის ზრდას, რაც იქნება კიდეც შედეგი იმ აქტივობისა, რომელსაც სამინისტროს ხელმძღვანელობა ვახორციელებთ ბოლო ორი თვის მანძილზე. სექტემბერში, ეკონომიკური განვითარების მინისტრის პოსტზე ჩემი მოსვლის შემდეგ, სამინისტროს ყველა სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელს მიეცა მკაფიოდ ჩამოყალიბებული დავალება, რომ მათ საქმიანობა, ძირითადი უფლება-მოვალეობების პარალელურად, პრიორიტეტულად ამ მიმართულებითაც უნდა წარმართონ. გარდა ამისა, სამინისტროსთან ფუნქციონირებს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო, სპეციალური უწყება, რომელიც კოორდინაციას უწევს არსებული და პოტენციური უცხოელი ინვესტორების საქმიანობას საქართველოში.

საქართველოში არსებული ლიბერალური გარემო, გადასახადების გამარტივებისა და შემცირების პოლიტიკა, თავისუფალი ინდუსტრიული ზონები, სადაც ბიზნესი გათავისუფლებულია რიგი გადასახადებისაგან - ყოველივე ეს დამატებითი სტიმულია ინვესტორთათვის, კაპიტალი სწორედ საქართველოში დააბანდონ.

გაგრძელება A5 გვერდზე

CMYK - 1

## პრეზიდენტმა ბათუმში გამწვანების აქციაში მიიღო მონაწილეობა

საქართველოს პრეზიდენტმა გუშინ, ბათუმში ბაგრატიონის ქუჩაზე გამწვანების აქციაში მიიღო მონაწილეობა. პრეზიდენტის განცხადებით, გამწვანების აქციები ყველა იმ ტერიტორიაზე მოეწყობა, სადაც სოციალურად დაუცველი ოჯახები ცხოვრობენ. აქცია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კურთხევით ტარდება და ტრადიციად იქცევა.

სააგენტო " ინტერპრესნიუსის " ცნობით, პრეზიდენტმა გუშინ ბათუმში სტუმრობისას შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ოფისი გახსნა.

სააგენტოს ოფისი ავტომობილებს დაარეგისტრირებს, გასცემს მართვის მოწმობებს და ფიზიკური და იურიდიული პირების სამართლებრივ მდგომარეობაზე შესაბამის ინფორმაციას შეაგროვებს.

## კონსტანტინე გამსახურდია პარლამენტის დატოვებით იმუქრება

პარტია "თავისუფლების" ლიდერმა და დეპუტატმა კონსტანტინე გამსახურდიამ იმ შემთხვევაში, თუ არ მიეცემა მამისა და საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების მიზეზების გამოძიების საშუალება, შესაძლოა, პარლამენტი დატოვოს.

როგორც პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა, სანდრო ბრეგაძემ გუშინ ჟურნალისტებს განუცხადა, საქმე ეხება ზვიადს გამსახურდიას გარდაცვალების მიზეზების დამდგენი დროებითი საპარლამენტო კომისიის საგამოძიებო კომისიად გადაკეთებას.

მისი განმარტებით, "დროებითი კომისიის" სახით გაპარულია ვითომდა უმნიშვნელო დეტალი, რომელიც არსებითად ცვლის საქმის ვითარებას, კერძოდ, დროებით კომისიას არ შეუძლია აიძულოს ესა თუ ის პირი, ჩვენება მისცეს. "იძულება შეუძლია მხოლოდ საგამოძიებო კომისიას. ყველამ კარგად ვიცით, რომ ამ საქმეში უნდა დაიკითხონ ექსპრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე და სახელმწიფოს ყოფილი მაღალჩინოსნები, რომლებსაც იურიდიული საფუძველი აქვთ, უარი განაცხადონ ჩვენების მიცემაზე. ედუარდ შევარდნაძემ უკვე განაცხადა მედიის საშუალებით, რომ კომისიასთან თანამშრომლობას არ აპირებს", - აღნიშნა ბრეგაძემ.

მისივე ცნობით, ისინი კომისიის "საგამოძიებოდ" გადაკეთების თაობაზე პარლამენტს მიმართავენ. სააგენტო "ინტერპრესნიუსის" ცნობით, ბრეგაძე განმარტავს, რომ თუკი პარლამენტიდან არ იქნება გამოძიების ობიექტურად ჩატარების ხელშეწყობა და არ მოხდა აღნიშნული პირების დაკითხვა, გამოძიებასა და შესაბამისად, კონსტანტინე გამსახურდიას პარლამენტში ყოფნას აზრი ეკარგება და ის პარლამენტს ბოიკოტს გამოუცახდებს.

დეპუტატი არ გამორიცხავს, რომ კომისიის მუშაობას ყოფილი მაღალი თანამდებობის პირებსა და დღევანდელ ხელისუფლებას შორის გარიგებამ შეუშალოს ხელი.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიადს გამსახურდიას გარდაცვალების მიზეზების დამდგენი დროებითი საპარლამენტო კომისია ერთი კვირის წინ შეიქმნა და მას კონსტანტინე გამსახურდია ხელმძღვანელობს.

# "ღორის გრიპმა" მუტაცია განიცადა

პირველი გვერდიდან

ჯანმრთელი ადამიანი შეიძლება დაინფიცირდეს კონტამინირებული ჰაერიდან ან დაინფიცირებულ ხელებთან, ზედაპირებთან შეხებისას, თუ იმავე დაუბანელი ხელით შეეხება საკუთარ თვალებს ან ცხვირ-პირს. როგორც კვლევებით დადგინდა, ზედაპირებზე მოხვედრილი გამომწვევი ადამიანის დაავადების უნარს 2-8 საათის განმავლობაში ინარჩუნებს.

### A/H1N1 ვირუსის სიმპტომები

გრიპის ახალი ვირუსის სიმპტომები ჩვეულებრივი გრიპის სიმპტომებს ჰგავს - ცხელება, ხველა, ყელის, კუნთების, სახსრებისა და თავის ტკივილი, შემცივნება, საერთო სისუსტე, ზოგჯერ დიარეა და პირღებინება. ისევე, როგორც სეზონური გრიპი, დაავადება ხანდახან მძიმედ მიმდინარეობს და ლეტალურად მთავრდება. სეზონური გრიპის დროს განსაკუთრებული რისკის ქვეშ იმყოფებიან მცირე ასაკის ბავშვები, ორსულები, ქრონიკული დაავადების მქონენი, 65 წელზე მეტი ასაკის ადამიანები. დღეისთვის უცნობია, რომელი ჯგუფები იქნება ყველაზე მოწყვლადი ამ ახალი ვირუსისადმი. წარმოებს ლაბორატორიული კვლევები, რათა დადგინდეს, აქვს თუ არა მოსახლეობის რომელიმე ჯგუფს ამ ვირუსისადმი ბუნებრივი იმუნიტეტი.

### A/H1N1 ვირუსის პანდემიის საფრთხე საქართველოში

საქართველოში A/H1N1 ვირუსი, რომელიც "ღორის გრიპად" არის ცნობილი, პირველად 18 ივლისს დაფიქსირდა. დაავადებული ლონდონიდან თბილისში ერევნის რეისით ჩამოფრინდა. გუშინდელი მონაცემებით, საქართველოში მსუბუქი და საშუალო ფორმის 71 შემთხვევაა დაფიქსირებული. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის პროგნოზით, პანდემიის საფრთხე, სავარაუდოდ, დეკემბერ-იანვარშია მოსალოდნელი.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ე.წ. ღორის გრიპის საწინააღმდეგო პრეპარატის გამოყენების რეკომენდაციით უკვე მთელს მსოფლიოს მიმართა. ანუ ორგანიზაცია, მოსახლეობას ურჩევს, ვირუსის საწინააღმდეგო პრეპარატები გრიპის გამოვლენის პირველივე სიმპტომისთანავე გამოიყენონ. მეტიც, ორგანიზაციის აზრით, უმჯობესია პრეპარატები იმ ადამიანებმაც მიიღონ, რომლებიც სარისკო ჯგუფში არ იმყოფებიან, მაგრამ სუნთქვის პრობლემები აქვთ.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციებს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი არ ეთანხმება. მათი პოზიციით, ვირუსის საწინააღმდეგო პრეპარატების პროფილაქტიკის მიზნით გამოყენება დაუშვებელია და ის მხოლოდ მძიმე ფორმების პაციენტებმა უნდა მიიღონ. **"ცენტრი ქვეყანაში გრიპის ვირუსებზე კონტროლს გააგრძელებს, თუმცა პაციენტებისთვის A/H1N1 ვირუსზე ლაბორატორიული შემოწმება სავალდებულო აღარ იქნება. გრიპის სიმპტომების გამოვლენისთანავე ყველა შემთხვევაში უმთავრესია ავადმყოფმა ექიმს დროულად მიმართოს. თუ პაციენტს სურვილი ექნება, მას ვირუსზე ლაბორატორიულ ანალიზებს გაუკეთებენ. ამით დაავადებათა კონტროლის ცენტრი შეძლებს იმის გარკვევას, თუ რა სახის გრიპის ვირუსები ფიქსირდება საქართველოში,"** - აღნიშნა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის დირექტორმა პაატა იმნაძემ.

### A/H1N1 ვირუსმა უკრაინაში მუტაცია განიცადა

ბოლო მონაცემებით, უკრაინაში "ღორის გრიპის" ვირუსით 300 ადამიანი გარდაიცვალა. უფრო მეტიც, ვირუსმა მუტაცია განიცადა. ბრიტანელი მეცნიერები ამ დასკვნამდე მას შემდეგ მივიდნენ, რაც ვირუსით გარდაცვლილთა ცხედრები გაკვეთეს. ვირუსით ინფიცირებულებს ფილტვები დანახშირებული აღმოაჩნდათ.

ეს ის სახეცვლილი ვირუსია, რომელსაც ზემოთ ნახსენები ესპანური გრიპის სიმპტომები აქვს და პირველი მსოფლიო ომის დროს დაფიქსირდა. მიუხედავად ამისა, უკრაინის მოსახლეობაში გრიპის გავრცელებით გამოწვეულმა პანიკამ იკლო და უკვე გუშინ კიევის ქუჩებში ხალხი პირბადეების გარეშე დადიოდა.

პარლამენტის გუშინდელ პლენარულ სხდომაზე დეპუტატმა ჯონდი ბაღათურიამ A/H1N1 ვირუსის გავრცელების გამო უკრაინასთან საკარანტინო რეჟიმის შემოღება და დროებით საჰაერო რეისების შეწყვეტა მოითხოვა. **"ინგლისელი სპეციალისტების ინფორმაციით, უკრაინაში ე.წ. "ღორის გრიპმა" მუტაცია განიცადა და უფრო საშიში ფორმები მიიღო. უკეთესი იქნება, თუ უკრაინასთან მიმოსვლა შეწყდება,"** - აცხადებს ბაღათურია.

საქართველოს ჯანდაცვის მინისტრი ალექსანდრე კვიტაშვილი მიიჩნევს, რომ A/H1N1 ვირუსის გამო საზღვრების დაკეტვის და კარანტინის გამოცხადების აუცილებლობა არ არსებობს. მინისტრის განცხადებით, ბაღათურია ექსპერტი არ არის, ხოლო საზღვრების დაკეტვა და კარანტინის გამოცხადება ქვეყანაში ვირუსის გავრცელების პრობლემას ვერ მოაგვარებს, რადგან საქართველოში ოფიციალურად უკვე 71 შემთხვევაა დაფიქსირებული და მომავალში მოსალოდნელია მატება.

როგორც კვიტაშვილმა აღნიშნა, ქვეყანას აქვს სამკურნალო პრეპარატების, ნიღბებისა და სხვა საჭირო საშუალებების მარაგი. მინისტრი მოსახლეობას სიმშვიდისკენ მოუწოდებს.

# შეხვედრა გადაწყვეტილების გარეშე

*გუშინ გალში, გაერო-ს მისიის ყოფილ ოფისში, უშედეგოდ დასრულდა ინციდენტების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმებზე მომუშავე ჯგუფის შეხვედრა. ოთხმხრივი შეხვედრის მონაწილეებს ოთხსაათიანი მოლაპარაკებების შემდეგ კონკრეტული გადაწყვეტილება არ მიუღიათ.*

შეხვედრაში საქართველოს, რუსეთის, ევროკავშირის, გაერო-ს წარმომადგენლები, ასევე აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის წევრები და მარიონეტული ხელისუფლების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

მხარეთა მსჯელობის საგანი იყო ადმინისტრაციულ საზღვარზე არსებული ვითარება, ბოლო დროს გახშირებული ინციდენტები - დაყაჩაღების შემთხვევები, გადაადგილების შეზღუდვის ფაქტები.

ქართული მხარის ხელმძღვანელის, რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე დავით რაქვიაშვილის ინფორმაციით, შეხვედრაზე ქართულმა მხარემ ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარე ტერიტორიებზე 6 და 12 ნოემბერს ვერტმფრენების გადმოფრენის საკითხი დააყენა. რუსმა ოკუპანტებმა აღნიშნული ინფორმაცია უარყვეს. რაქვიაშვილის თქმით, საკითხის გადაჭრას ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლები შეეცადნენ. მათ განაცხადეს, რომ სპეციალური ხელსაწყოების საშუალებით გაზომავენ ვეტმფრენებამდე მანძილს და დაადგენენ, გადმოკვეთეს თუ არა მათ ოკუპაციის ზონა. **"ამ განცხადებამ სოხუმის მარიონეტული რეჟიმის წარმომადგენელთა გაღიზიანება გამოიწვია. მათ განაცხადეს, რომ არ დაიწყებენ იმის გარკვევას, ვერტმფრენზე დაფიქსირებული წითელი შუქი ამ სპეციალურ ხელსაწყოს ეკუთვნის თუ სნაიპერის იარაღს და ცეცხლს გახსნიან,"** - განაცხადა დავით რაქვიაშვილმა.

გუშინდელ შეხვედრაზე ასევე ისაუბრეს გახშირებულ კრიმინალურ ინციდენტებზეც. იმსჯელეს სოფელ ნაბაკევის სკოლის გაქურდვის ფაქტზეც. ქართულმა მხარემ სკოლის ერთობლივად დათვალიერება მოითხოვა, რაზეც მხარეების პრინციპული თანხმობა მიიღო.

**"ასევე განვიხილეთ ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ადმინისტრაციული საზღვრის გადაკვეთის საკითხი. ბუნებრივია, ამ საკითხზე ჩვენი შეხედულებები განსხვავდება ოკუპანტებისა და მათი მარიონეტების შეხედულებებისგან. თუმცა, ადამიანების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, შეთანხმებულ ადგილებში ადმინისტრაციული საზღვრის გადაკვეთის შესახებ მოლაპარაკება შედარებით კონსტრუქციულად მიმდინარეობს,"** - აღნიშნა დავით რაქვიაშვილმა.

გალში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში სამუშაო ჯგუფების მომდევნო შეხვედრა 8 დეკემბერს გაიმართება.

*საკუთარი ინფორმაცია*

# კორუფციის დონე შემცირდა

საქართველოში კორუფციის დონე შემცირდა. აღნიშნულის თქმის საფუძველს "საერთშორისო გამჭვირვალობის" მიერ შემუშავებული და გამოქვეყნებული 2009 წლის "კორუფციის აღქმის ინდექსის" (CPI) შედეგები იძლევა. საქართველოს ინდექსი ექვსი ცნობილი საერთაშორისო ორგანიზაციის და ფინანსური ინსტიტუტის მიერ 2008 - 2009 წლებში ჩატარებული შვიდი კვლევის შედეგებს ეყრდნობა. კვლევების მიხედვით, საქართველო 180 ქვეყნიდან 66-ე ადგილზე გავიდა და 4.1 ქულა მიიღო. გასულ წელს საქართველოს ქულა 3.9 იყო. კვლევების მიხედვით, ყველაზე ნაკლები კორუფციის მქონე ქვეყნების პირველი სამეული ასე გამოიყურება - ახალი ზელანდია, დანია სინგაპური. ჩვენი მეზობელი სომხეთი - 120-ე, აზერბაიჯანი 143-ზე, რუსეთი კი, 146-ე ადგილებზე გავიდნენ.

საქართველოს ინდექსში გამოყენებული კვლევებია - **"ქვეყნების საქმიანობის შეფასების რეიტინგი"**, რომელიც საჯარო სექტორში გამჭვირვალობას, ანგარიშვალდებულებას და კორუფციას იკვლევს; "**ბერტელსმანის ტრანსფორმაციის ინდექსი**", რომელიც აფასებს ხელისუფლების უნარს გამოავლინოს და შეზღუდოს კორუფციის ფაქტები; ასევე, კვლევა - **"გარდამავალი ქვეყნები"**, რომელიც მთავრობაში კორუფციის გავრცელების დონეს, ანტიკორუფციული ინიციატივების განხორციელებასთან ერთად, ხალხის აღქმისა და მედიის მიერ ასეთი ფაქტების გაშუქების მიხედვით ზომავს; **"ქვეყნების რისკების სამსახური"**, რომელიც აფასებს საჯარო მოხელეების კორუმპირებულობის სიხშირეს, როგორც მცირე ბიუროკრატიული, ისე მასშტაბური პოლიტიკური გარიგებების კუთხით; გარდა ამისა, "კორუფციის აღქმის ინდექსის" შეფასებისას, ერთ-ერთი გამოყენებული კვლევაა - **"ქვეყნების პოლიტიკის და ინსტიტუციური შეფასება"**, რომელიც იკვლევს კორუფციის დონეს, ინტერესთა კონფლიქტს, საბიუჯეტო თანხების გაფლანგვის შემთხვევებს და ანტიკორუფციული კუთხით გადადგმულ ნაბიჯებსა და მიღწევებს. ხოლო, ამ კუთხით განხორციელებულ ბოლო კვლევას **"გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიში"** წარმოადგენს, რომელიც ყურადღებას მთავრობის სხვადასხვა საქმიანობასთან დაკავშირებულ უკანონო გადასახადებსა და ქრთამებზე ამახვილებს. საქართველოს ქულის ზრდის მიზეზებს შორის მთავარი კორუმპირებული მოხელეების გახმაურებული დაპატიმრებები, საჯარო მოსამსახურეების ხელფასების გაზრდა, ადმინისტრაციული პროცედურების გამარტივება, ლიცენზიებისა და ნებართვების რაოდენობის შემცირება და ზოგადად, ბიზნესკანონმდებლობის დახვეწა და ეკონომიკური მართვის სისტემის გაუმჯობესებაა. კვლევებში, შედარებით უარყოფითად ფასდება დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება, საჯარო პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართვის ხარისხი, კონკურენციის სისტემა, საკუთრების უფლების დაცვა და ხელისუფლების ზედა დონეზე არსებული კორუფციის შემცირება.

კორუფციის აღქმის ინდექსი" შემუშავდა და გამოქვეყნდა "საერთაშორისო გამჭვირვალობის" სათავო ოფისის (ბერლინი) მიერ.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები: მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

# ქარტიის დემოკრატიული ასპექტი

დათო გამისონია

*ჰილარი კლინტონის თანაშემწემ მაიკლ პოზნერმა გუშინ მთავრობის კანცელარიაში გამართულ პრესკონფერენციაზე შეაჯამა საქართველოში პირველი ვიზიტის შედეგები. ის დღის განმავლობაში სამოქალაქო სექტორის ნაწილს, ოპოზიციის ლიდერებს და ხელისუფლების წარმომადგენლებს ხვდებოდა. მოლაპარაკებებზე განიხილეს საარჩევნო გარემოს, მედიის თავისუფლების და სასამართლოს მიმართ ნდობის ამაღლების საკითხები.*

საქართველოში მყოფ დელეგაციას ხელმძღვანელობდა აშშ-ს სახელმწიფო მდივნის თანაშემწე დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და შრომის საკითხებში. შეხვედრები აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის ფარგლებში დემოკრატიის საკითხებზე მომუშავე ჯგუფის მონაწილეობით გაიმართა. შეხვედრებს თანათავმჯდომარეობა გაუწია სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილემ ევროპისა და ევრაზიის საკითხებში თინა კაიდანოუმ. უწყებათაშორისი ჯგუფის წევრებმა არასაპარლამენტო და საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები ერთად მიიღეს. ოპოზიციის ლიდერები მოლაპარაკებებით კმაყოფილნი დარჩნენ. **"ვილაპარაკეთ სამართალდამცავი სტრუქტურების დეპოლიტიზებაზე, ასევე დეტალური საუბარი გვქონდა მედიის საკითხებზე. რაც მთავარია, ამერიკული მხარისგან მივიღეთ მხარდაჭერა, რომ ხელისუფლებასთან მოლაპარაკებებშიც მხარს დაუჭერენ ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის კონსენსუსის ძებნას,"** - აღნიშნა "ალიანსი საქართველოსთვის" ლიდერმა ირაკლი ალასანიამ. შეხვედრიდან გამოსულმა "დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს" ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ ხაზი გაუსვა, რომ ამერიკელთა მხრიდან ნამდვილად დიდი დაინტერესება იყო: **"დასვეს კონკრეტული შეკითხვები, კერძოდ, როგორი ზემოქმედებაა საჭირო, რათა ამერიკულ-ქართული ქარტია მართლაც შესრულდეს, ხელისუფლებამ დემოკრატიული ნაბიჯები გადადგას, ქვეყანაში დემოკრატიის პრობლემები აღარ არსებობდეს. ვფიქრობ, ამ შეხვედრას სერიოზული შედეგები უნდა მოჰყვეს. საჭიროა კონკრეტული თარიღების განსაზღვრა, რა ვადაში გათავისუფლდებიან პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული ადამიანები."** საზოგადოებრივი მოძრაობა "დაიცავი საქართველოს" ლიდერ ლევან გაჩეჩილაძის აზრით, პრინციპულია ის, რომ შეხვედრის მონაწილეებმა კონკრეტულ პრობლემებზე გააკეთეს აქცენტები, მათ შორის - მედიის, კანონმდებლობის, პოლიციის დეპოლიტიზების თვალსაზრისით არსებულ საკითხებზე. გაჩეჩილაძისთვის ასევე მნიშვნელოვანია ამერიკული მხარის მიდგომა. მისი თქმით, **"ძალიან ყურადღებით ისმენდნენ, იწერდნენ და სერიოზულ რეაგირებას იძლეოდნენ. ისიც პრინციპულია, რომ ყველაფერი საქართველოს მოქალაქეების, ქართველი ხალხის ხელშია."**

**"ბევრ თემას შევეხეთ - დაწყებული კონსტიტუციური რეფორმებით და დამთავრებული საარჩევნო კომისიაში ჩვენ მიერ ერთობლივად დაყენებული საკითხებით, რეგიონული ტელევიზიებისთვის საგადასახადო ამნისტიის გატარების თუ ბიზნესის დაცვის ღონისძიებებით. მიმაჩნია, რომ ხელისუფლებას არ უნდა ჰქონდეს საშუალება, ჯერ დახუროს კომპანიები და შემდეგ მათ ფულზე ევაჭროს,"** - ასეთია საპარლამენტო უმცირესობის ლიდერის გიორგი თარგამაძის შეფასება.

ოპოზიციასთან შეხვედრამდე აშშ-ს დელეგაცია სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს შეხვდა და სასამართლო სისტემასა და მედიაში შექმნილ პრობლემებზე ესაუბრა.

სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლებს ყველაზე ხანგრძლივი შეხვედრა მინისტრების მოადგილეებთან ჰქონდათ. მოლაპარაკებებში მონაწილეობდნენ საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე გიგა ბოკერია, თავდაცვის მინისტრის მოადგილე ნიკოლოზ ვაშაკიძე და შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ეკა ზღულაძე. ამ შეხვედრის შემდეგ მთავრობის კანცელარიაში გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე მაიკლ პოზნერმა საქართველოში გამართული მოლაპარაკებები შეაჯამა. **"ჩვენი საუბარი ეხებოდა გაზაფხულზე დანიშნულ ადგილობრივ არჩევნებს, ასევე იმ დეტალებს, რომლებსაც მონაწილე მოთამაშეებისთვის თანასწორი მოქმედების ველის უზრუნველყოფა შეუძლია. განვიხილეთ ის თემები, რომლებშიც ჩვენ მოვუწოდებთ საქართველოს მთავრობას, უფრო მეტი ნაბიჯი გადადგას წინ,"** - განაცხადა პოზნერმა. მან ცხინვალის წინასწარი დაკავების საკნებში მყოფი არასრულწლოვნების შესახებაც გამოხატა პოზიცია: **"ოთხი მოზარდის გატაცების გამო მწუხარებას ვიზიარებთ. მიგვაჩნია, რომ მათი დაკავების საფუძველი არ არსებობს და ისინი დაუყოვნებლივ უნდა გაათავისუფლონ."** ამავე საკითხზე შეხვედრის შემდეგ განცხადება გააკეთა გიგა ბოკერიამ. მისი თქმით, **"საქართველოს ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს, რათა დანაშაულებრივი მოქმედებისთვის პოლიტიკური პასუხისმგებლობა რუსეთის ფედერაციას მაქსიმალურად ძვირი დაუჯდეს."**

# პარლამენტი "პატრიოტის აქტის" განხილვას იწყებს

თამარ ივანიძე

*პარლამენტს განსახილველად ე.წ. "პატრიოტის აქტი" წარედგინა. გია თორთლაძის მიერ ინიცირებული შესაბამისი კანონპროექტის სახელწოდებაა კანონპროექტი "ანტიტერორისტული ღონისძიებების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების და მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების უზრუნველყოფის შესახებ". აქტში, წინასწარი მოლოდინების საპირისპიროდ, აღარ არის მუხლები, რომლებიც ოპოზიციის განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევდა; კერძოდ: კანონპროექტით არ ხდება მასობრივი სატელეფონო მოსმენების, უნებართვო ჩხრეკებისა და ელექტრონული ფოსტის კონტროლის დაკანონება. კანონპროექტის დეტალები გუშინ თავად ინიციატორმა - გია თორთლაძემ წარადგინა.*

ინიციატივის მთავარ მიზანს, ოპოზიციონერი დეპუტატის თქმით, ანტიტერორისტული ქმედებების კოორდინირება წარმოადგენს. კანონპროექტის საჭიროების დასაბუთებაში ნათქვამია, რომ **"ქვეყანაში შექმნილმა რეალობამ, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიების ოკუპაციამ და აქედან გამომდინარე ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონის ამოქმედებამ, ახალმა რეალურმა მდგომარეობამ მოითხოვა ქვეყნის უსაფრთხოების სისტემის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის და ოკუპაციის პირობებში არსებული საფრთხეების გათვალისწინებით, ქვეყნის თავდაცვისა და უშიშროებისთვის დამატებითი ღონისძიებების განხორციელება".**

"დამატებითი ღონისძიებების" ნუსხა კანონპროექტის მიხედვით ასეთია:

უნდა მოხდეს სტრატეგიული ობიექტების ვიდეო-თვალთვალი, ასევე იმპორტისა და რეექსპორტის სახით შემომავალი ტვირთებისა და საბანკო გადმორიცხვების კონტროლი.

კანონპროექტის მიხედვით, უცხოეთიდან ფიზიკურ და იურიდიული პირებზე, მათ შორის "საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე" გადმორიცხული 10 ათას ლარზე მეტი თანხები დაექვემდებარება შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის კონტროლს. მოქმედი კანონმდებლობით, მხოლოდ ის საბანკო გარიგება ექვემდებარება მონიტორინგს, რომელიც 30 ათას ლარს აჭარბებს.

კანონპროექტის მიხედვით, შსს-მ უნდა განახორციელოს აეროპორტების, საზღვაო პორტების, რკინიგზის სადგურების, მეტროპოლიტენის, სტრატეგიული ხიდების, ელექტროსადგურების, "საზოგადოებრივი მასობრივი თავშეყრის ადგილების და სხვა განსაკუთრებული ობიექტების" სათვალთვალო კამერებით აღჭურვა და მათი ჩართვა დაკვირვების ერთიან სისტემაში.

გარდა ამისა, კანონპროექტი შსს-ს, საბაჟო სამსახურებთან ერთად, სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო გზით შემოსული "საეჭვო" ტვირთების გახსნისა და დათვალიერების უფლებამოსილებას ანიჭებს.

კანონპროექტი ასევე ითვალისწინებს ოკუპირებულ ტერიტორიებთან არსებული "პირობითი საზღვრების" მონიტორინგს.

თორთლაძის თქმით, ასეთი აქტის მიღება გააძლიერებს ისეთ "ტერორისტულ აქტებთან" ბრძოლასა და პრევენციას, როგორიც არის ბოლო დროს გახშირებული შემთხვევები: რკინიგზაზე და მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზებზე მომხდარი აფეთქებები, ადამიანთა გატაცებები ოკუპირებული ტერიტორიების სიახლოვეს.

მიუხედავად იმისა, რომ არსებული კანონმდებლობა ისედაც ავალდებულებს სამართალდამცავებს აღნიშნული ღონისძიებების გატარებას, თორთლაძის თქმით, აქტის მიღება "უფრო მეტ ბერკეტებს მისცემს" ძალოვანებს ტერორიზმთან ეფექტური ბრძოლისთვის.

საინტერესოა, რომ გია თორთლაძის ინიციატივამდე ე.წ. "პატრიოტის აქტის" მიღების მცდელობა ხელისუფლებას ჰქონდა. შესაბამისი ინიციატივა ორჯერ დააყენა ხელისუფლებამ - პირველად 2006 წელს, მეორედ - აგვისტოს ომიდან ცოტა ხანში, როდესაც პრეზიდენტმა სააკაშვილმა განაცხადა, რომ საქართველოს "პატრიოტის აქტი" სჭირდება, რათა წინ აღუდგეს საგარეო ინტერვენციის გზით მთავრობის ჩამოგდების მცდელობას. მაშინ სახელისუფლებო ინიციატივებს კონკრეტული საკანონმდებლო ინიციატივის ფორმა არ მიუღია. დღეს კი ასეთი ინიციატივა საკანონმდებლო ორგანოში საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელს შეაქვს.

სხვათა შორის, სექტემბერში, როცა "პატრიოტის აქტის" შესახებ ინიციატივა გია თორთლაძემ პირველად გაახმოვანა, ამ მოსაზრებას მოწინააღმდეგეები თავად საპარლამენტო ოპოზიციაშივე გამოუჩნდნენ. შეშფოთების საგანი ადამიანის ფუნდამენტური უფლებების შეზღუდვის აშკარა საფრთხე გახლდათ.

დღეს საპარლამენტო ოპოზიციის ამ ნაწილის წარმომადგენელი, "ქრისტიან-დემოკრატი" ლევან ვეფხვაძე აცხადებს, რომ მიესალმება გია თორთლაძის მიერ ოპოზიციის შენიშვნების გათვალისწინებას. თუმცა, ვეფხვაძე აქვე ამბობს, რომ დეტალების გარკვევამდე თავს შეიკავებს კანონპროექტის მხარდაჭერის შესახებ კონკრეტული პოზიციის ჩამოყალიბებაზე.

თორთლაძის ინიციატივაზე კომენტარი გუშინ პარლამენტის თავმჯდომარემაც გააკეთა. დავით ბაქრაძე იმედოვნებს, რომ "პატრიოტის აქტის" პროექტი დაბალანსებული დოკუმენტი იქნება, რომლის საფუძველზეც ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების დაცვა დემოკრატიული ღირებულებების შელახვის ხარჯზე არ მოხდება. როგორც ბაქრაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, გია თორთლაძის მიერ ინიცირებული პროექტის განხილვისას, საპარლამენტო კომიტეტები სწორედ ამაზე იქნებიან ორიენტირებულები. **"ჩვენთვის გასაგებია გია თორთლაძის მოტივაცია, როცა იგი ქვეყანაში "პატრიოტის აქტის" მიღების აუცილებლობაზე საუბრობს და შესაბამის პროექტს გვთავაზობს. საქართველოს ტერიტორიების 20 პროცენტი დღემდე ოკუპირებულია და რუსეთი საკუთარ აგრესიას განაგრძობს. გამომდინარე აქედან, ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყანაში ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა, თუმცა ეს ისე უნდა მოხდეს, რომ სამოქალაქო თავისუფლების პრინციპები და დემოკრატიის მთავარი ღირებულებები არ შეიზღუდოს,"** - განაცხადა დავით ბაქრაძემ.

# რუსეთისთვის ფრანგული გემის მიყიდვის პროცესი უნდა შეჩერდეს

პირველი გვერდიდან



"მისტრალის" კლასის გემს შეუძლია გადაზიდოს 16 მძიმე და 35-მდე მსუბუქი ვერტმფრენი, 4 სადესანტო ტრანსპორტი, 900 ჯარისკაცი და 70-მდე ერთეული სამხედრო სატრანსპორტო საშუალება, მათ შორის 40 ტანკი. ასევე შესაძლებელია მისი გამოყენება მართვისა და კონტროლის ცენტრად.

ამჟამინდელი ეკონომიკური სირთულეების გათვალისწინებით, რუსეთისთვის "მისტრალის" კლასის გემების მიწოდება მოკლევადიან პერსპექტივაში შეიძლება მოხერხებულ დიპლომატიურ სვლად გამოიყურებოდეს. ბევრმა დასავლურმა ქვეყანამ რუსეთს მისი უხეში ქმედებების გამო ზურგი აქცია, მაგრამ იმავდროულად ძალისხმევა არ დაიშურა, რათა სხვადასხვა ფარული ხერხების გამოყენებით მოსკოვის გული მოეგო. რუსეთის მოძველებული ფლოტისთვის რამდენიმე თანამედროვე ხომალდის მიწოდება ამერიკის საზღვაო გავლენას ნამდვილად ვერ შეამცირებს. მეტიც, ვაშინგტონის ყურადღება მთლიანად ავღანეთზე, ერაყსა და ირანზეა კონცენტრირებული. ამ დროს საქართველოსა და უკრაინის ნატო-ში გაწევრიანების იდეამ მეორე პლანზე გადაინაცვლა, ხოლო დასავლეთი ზოგადი შფოთვით არის შეპყრობილი და ქვეყნების უმრავლესობას მღელვარების კიდევ უფრო გაზრდა არ სურს.

თუმცა, საშუალოვადიან პერსპექტივაში ასეთი დიპლომატია ხშირად უკუეფექტის მომტანია როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთ. არის თუ არა ოფიციალური პარიზი მზად, რომ არა მხოლოდ თვალი დახუჭოს აგრესიაზე, არამედ აგრესორი დააჯილდოვოს კიდეც? ყურადღება არ მიაქციოს იმას, რომ მისივე პრეზიდენტის მიერ შედგენილი და ხელმოწერილი სამშვიდობო შეთანხმება ნაკუწებად აქციეს? მიიღოს ქართველი ჯარისკაცების დახმარება ავღანეთში, იმავდროულად მხარი დაუჭიროს დაუწერელ ემბარგოს საქართველოსთვის იარაღის მიწოდებაზე და თანაც რუსეთს მაღალტექნოლოგიური იარაღი მიჰყიდოს?

ასეთი პასიური ქცევის წყალობით მოსკოვი ცოტა ხანს საამო ხმით ისაუბრებს, მაგრამ რეალურად არაფერს დათმობს. მეტიც, რუსეთის დაშოშმინების ფასი სულ უფრო გაიზრდება და საბოლოოდ კრემლი "მისტრალებს" მორიგი აგრესიის განსახორციელებლად გამოიყენებს, რის შედეგადაც საფრანგეთი აგრესიის თანამონაწილედ იქცევა.

სამწუხაროდ, როგორც ჩანს, "მისტრალის" კლასის გემების რუსეთში გაყიდვის გადაწყვეტილებას გაცილებით უარესი საფუძველი აქვს, ვიდრე უპრინციპო ეკონომიკური პოლიტიკა ან მცდარი დიპლომატიაა. როგორც პრემიერ-მინისტრმა ფრანსუა ფილონმა (Francois Fillon) 9 ოქტომბერს ბრძანა, საფრანგეთის პარტნიორული ურთიერთობები რუსეთთან "თავდაცვის სფეროში, შესაძლოა, რამდენიმე სახის იყოს - სამხედრო თანამშრომლობით დაწყებული და მჭიდრო სამრეწველო პარტნიორობით დამთავრებული." ცნობისათვის - ფილონი 2008 წლის აპრილის ბუქარესტის სამიტამდე ერთი დღით ადრე საქართველოსა და უკრაინის ნატო-ში გაწევრიანების წინააღმდეგი იყო: "რადგან, ჩვენი აზრით, ეს არ იქნება ევროპაში და ევროპასა და რუსეთს შორის არსებულ ძალთა ბალანსზე სწორი პასუხი."

ძნელი წარმოსადგენია, პრემიერ-მინისტრის აზრით, რა ძალას აბალანსებს საფრანგეთი რუსეთისთვის "მისტრალის" კლასის ხომალდების მიწოდებით. თუმცა, საკმაოდ ადვილია იმის განსაზღვრა, თუ რა ამოძრავებს რუსეთს ხომალდების შეძენისას.

მიუხედავად შარშან ზაფხულში "კიროვის" კლასის საბრძოლო ხომალდ "პეტრე დიდის" კარიბის ზღვაში ზარ-ზეიმით გაშვებისა და რუსეთის პრეზიდენტ დმიტრი მედვედევის ამასწინანდელი დაპირებისა, რომ "ათ წელიწადში რუსული ფლოტის ძლიერება აღდგება", რუსეთის ფლოტი უახლოეს მომავალში სანაპირო წყლებში ანუ სახლთან ახლოს მოქმედ ფლოტად დარჩება.

რიტორიკის მიუხედავად, მოსკოვი არ აპირებს, რომ ზღვაზე აშშ-ს ფლოტის ბატონობას დაუპირისპირდეს. მას უფრო მეტად აინტერესებს ნატო-ს აღმოსავლეთით გაფართოების შეჩერება და შავ ზღვაზე უკრაინულ ნავსადგურ სევასტოპოლის უფრო დიდი ხნით შენარჩუნება, ვიდრე იჯარის ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული (რომლის ვადაც 2017 წელს იწურება). გარდა ამისა, რუსეთს სურს, რომ ნატო-მ გადაიფიქროს ბალტიისა და შავი ზღვის რეგიონებში მოკავშირე ქვეყნების დაცვის გეგმების შემუშავება და განხორციელება. საბოლოო ჯამში, რუსეთის მიზანია, დასავლეთს უკან დაახევინოს იმ რეგიონებიდან, რომლებსაც საკუთარ გავლენის სფეროდ მიიჩნევს.

სამხედრო მოქმედების სავარაუდო ავანსცენა ბალტიისა და შავი ზღვებია და რამდენიმე "მისტრალის" გამოჩენა აქ სურათს მნიშვნელოვნად შეცვლის. რუსეთის ფლოტის მეთაურმა, ადმირალმა ვლადიმირ ვისოცკიმ სექტემბერში რუსეთის მიერ 2008 წელს საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიის შესახებ საუბრისას ბრძანა: "შარშან აგვისტოში, კონფლიქტის დროს, ასეთი გემი [რუსეთის] შავი ზღვის ფლოტს საშუალებას მისცემდა, რომ თავისი მისია, 26 საათის ნაცვლად, 40 წუთში შეესრულებინა."

მომავალ კვირას ბალტიის ზღვაში "მისტრალის" გაცურვამ შავი და ბალტიის ზღვების ნაპირებზე მდებარე ნატო-ს ყველა მოკავშირის ყურადღება უნდა მიიპყროს ისევე, როგორც ზოგადად ნატო-ს თითოეული წევრი სახელმწიფოსი. საფრანგეთის მიერ "მისტრალის" კლასის გემების რუსეთში გაყიდვა სერიოზული უარყოფითი შედეგების მომტანი გეოპოლიტიკური მოვლენა იქნება, რომელმაც შეიძლება თავად ალიანსს გამოუთხაროს ძირი. შესაბამისად, საჭიროა მოკავშირეებმა ხმამაღლა და გასაგებად აცნობონ პარიზს, რომ "მისტრალის" გაყიდვის პროცესი უნდა შეჩერდეს.

**დევიდ ჯ. სმიტი არის საქართველოს უსაფრთხოების ანალიზის ცენტრის დირექტორი თბილისში და პოლიტიკის კვლევის პოტომაკის ინსტიტუტის უფროსი მკვლევარი ვაშინგტონში.*

# საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამა მოსახლეობისთვის და ხალხთან პარტნიორობით

მანანა ვარდიაშვილი



კომპანია BP 2003 წლიდან ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის და სამხრეთ-კავკასიური გაზსადენის ტრასის მიმდებარე 77 დასახლებაში საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამას ახორციელებს. პროგრამის მთავარი მიზანი მილსადენების ახლოს მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაა. საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის პირველ ფაზაზე - 2003-2006 წლებში 8 მილიონი აშშ დოლარი დაიხარჯა. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის და სამხრეთ-კავკასიური გასზადენის მშენებლობის დასრულებისა და ექსპლუატაციაში გაშვების შემდეგ BP-მ საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის მე-2 ფაზა 2010 წლის თებერვლამდე გააგრძელა და ის 4,38 მილიონი აშშ დოლარით დააფინანსა. პროგრამის მთავარი პრიორიტეტებია: დასახლებების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, სასოფლო-სამეურნეო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით ფერმერების დახმარება და ახალგაზრდა ქალებისთვის მცირე ბიზნესის დაწყებაში ხელშეწყობა. სასურველ პრიორიტეტს კი სოფლის კრების მეშვეობით თვითონ სოფელი ირჩევს.

ახალციხის რაიონის სოფელ წნისში საკონსოლიდაციო ცენტრი (ყველის წარმოება) შეიქმნა. საწარმო შპს "ჯორჯიან ბიზნეს ზონას" ეკუთვნის, რომელმაც "ათასწლეულის ფონდის" აგრობიზნესის პროექტის ფარგლებში 124 550 აშშ დოლარის გრანტი მიიღო. მოგვიანებით კი BP-ს საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის ფარგლებში 50 000 აშშ დოლარით დაფინანსდა. ამ თანხით საწარმოსთვის ახალი მანქანა-დანადგარები, მათ შორის რძის შემგროვებელი ავზი, პასტერიზატორი, ყველის დასამზადებელი ავზი, საწნეხი დანადგარი, მანქანა-მაცივარი და სხვა თანამედროვე ტექნიკა შეიძინეს.

"საწარმოს დღეში 5000 ლიტრი რძის გადამუშავება შეუძლია. წარმოებაში მხოლოდ ნატურალურ რძეს ვიყენებთ. ამჟამად ხუთი ტიპის ყველს ვაწარმოებთ: ქართულს, იმერულს, პარმაჯანს, მოცარელას და გუდას. ყველის გარდა, აქ კიდევ ნადუღი, არაჟანი და ხაჭო მზადდება. ჩვენ მიერ დამზადებული ყველი "ნიკორას" ქსელში იყიდება, პარმაჯანს და მოცარელას კი ძირითადად სასტუმრო "რედისონის" დაკვეთით ვამზადებთ.

1 ლიტრ რძეს 60 თეთრად ვიბარებთ. ახლა სეზონი არ არის და მთელი დატვირთვით ვერ ვმუშაობთ. თებერვლიდან რძის წარმოება გაიზრდება და დატვირთვაც მოგვემატება. ჩვენი გათვლებით, მოგებაზე 2 წლის შემდეგ გავალთ. იმედი გვაქვს, ყველს ექსპორტზეც გავიტანთ. მით უმეტეს, რომ

ჩვენმა ცენტრმა ISO სერტიფიკატი მიიღო," - ამბობს წნისის საკონსოლიდაციო ცენტრის ერთ-ერთი დამფუძნებელი ნინო ზამბახიძე.

წნისის საკონსოლიდაციო ცენტრში ამ ეტაპზე 24 ადამიანია დასაქმებული. ცენტრი რძეს დაახლოებით 188 ადგილობრივი ფერმერისგან იბარებს. როგორც ადგილობრივი მოსახლეობა ამბობს, საკონსოლიდაციო ცენტრის გახსნა მათთვის დიდი შეღავათია: "1 კგ ყველის ამოყვანას დაახლოებით 8 ლიტრი რძე სჭირდება. კილოგრამ ყველს ჩვენ 3 ლარად ვყიდით. აქ კი ახლა ერთ ლიტრ რძეს 60 თეთრად იბარებენ. ასე რომ, მოგებაში ვართ - მოსაყველებელ საშუალებასა და ელექტროენერგიაზე ფულს ვზოგავთ. აღარც გაკეთებული ყველის გაყიდვაზე ვწვალობთ. იმდენ ყველს ვაკეთებთ, რაც ოჯახში გვჭირდება. დანარჩენ რძეს კი საკონსოლიდაციო ცენტრში ვაბარებთ და თვეში დამატებითი შემოსავლის სახით დაახლოებით 200 ლარს ვიღებთ," - ამბობს სოფელ წნისის მკვიდრი რუსუდან კუპრაძე.

საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის მეორე ფაზის ფარგლებში სასოფლო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის 57 პროექტი განხორციელდა. მათი უმეტესობა სარწყავი და სასმელი წყლის სისტემების შეკეთებას, სოფლის შიდა გზების და კლუბების სარეაბილიტაციო სამუშაოებს მოიცავდა. ახალციხის რაიონის სოფელ ზიკილიაში ადგილობრივმა მოსახლეობამ საირიგაციო სისტემის აღდგენა გადაწყვიტა. "24 საათთან" საუბარში გურამ გაჩეჩილაძე აცხადებს, რომ სწორად შერჩეული პრიორიტეტის წყალობით მთელმა სოფელმა მოიგო: "სოფელში 100 კომლი ცხოვრობს და თავს მიწაზე მუშაობით ვირჩენთ. ძველი სარწყავი არხი აღარ ფუნქციონირებდა. შრომას არ ვაკლებდით, მაგრამ უწყლობის გამო ნათესი გვიხმებოდა. ძირითადად ლობიო, კარტოფილი, სიმინდი და კომბოსტო მოგვყავს. ამ ყველაფერს კი მორწყვა სჭირდება. მას შემდეგ, რაც 4 კმ. სიგრძის სარწყავი არხი კაპიტალურად შევაკეთეთ, ნაკვეთებს ვრწყავთ და მოსავლიანობამაც იმატა. პროექტის განხორციელების მთავარი პირობა ამ პროექტში ჩვენი თანამონაწილეობა იყო. ზოგმა საშენი მასალები მოიტანა, ზოგმაც არხის რეაბილიტაციაზე პირადად იმუშავა და საშვილიშვილო საქმე გავაკეთეთ. მთელი სოფელი კმაყოფილია." როგორც BP- ში აცხადებენ, საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის დაწყებამდე მილსადენების გასწვრივ მყოფ სოფლებში საშუალოდ 1980 ჰა ირწყვებოდა, ამ ეტაპზე კი მორწყული ტერიტორიების ფართობმა დაახლოებით 3800 ჰა შეადგინა.

სოფელ წნისში კი ადგილობრივმა მოსახლეობამ ღონისძიებათა სახლის მოწყობა გადაწყვიტა. "ხან ლხინია და ხან ჭირი. "პალატკებს" ვდგამდით, მაგიდებს, სკამებს და ჭურჭელს ვქირაობდით, რაშიც დაახლოებით 250 ლარი გვეხარჯებოდა. საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის ფარგლებში BP-მ დაგვაფინანსა. შენობაზე 21 000 ლარი, ხოლო შემოღობვაზე 5000 ლარი დავხარჯეთ. ამ შენობაში ახლა მაგიდებიც გვაქვს, სკამებიც და ჭურჭელიც და არაფერს აღარ ვქირაობთ. სოფლის მოსახლეობისთვის ამ სახლით სარგებლობა უფასოა," - ამბობს სოფელ წნისის სათემო ორგანიზაციის თავმჯდომარე გიორგი ლომიძე.

BP-ს საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ კომპონენტად მცირე ბიზნესის დაწყების მიზნით ახალგაზრდა ქალების ხელშეწყობა ითვლება. პროგრამის ფარგლებში 35 ახალი ბიზნესის დასაწყებად 68 გრანტი გაიცა. გრანტის სახით თითოეულმა ქალმა 800 აშშ დოლარი მიიღო. სოფელ ზიკილიაში მცხოვრებმა თამარ ქიმერიძემ და ირმა გელაშვილმა ერთობლივი პროექტი დაწერეს, 1600 აშშ დოლარის გრანტს საკუთარი 900 ლარი დაამატეს და სამკერვალო გახსნეს. სამკერვალოში ძირითადად თეთრეულს კერავენ. თვეში დაახლოებით 60 წყვილ თეთრეულს ყიდიან. გარდა ამისა, სასკოლო ღონისძიებებისთვის სადღესასწაულო სამოსსაც კერავენ. მათი მოგება თვეში 600 ლარია. ამბობენ, რომ ბოლო დროს შეკვეთებმა იმატა და ახლა ბიზნესის გაფართოებაზეც ფიქრობენ.

ნათია კარელიძემ BP-ს საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის ფარგლებში აღებული გრანტით ნამცხვრების საოჯახო საცხობი გახსნა. "გრანტის თანხით ღუმელი, მიქსერი და ფორმები ვიყიდე. ნამცხვრებს სკოლაში ვყიდი. შეკვეთებსაც ვიღებ. თვეში დაახლოებით 80-150 ლარი მრჩება. ახლა მეუღლეც მუშაობს. აქამდე კი ეს თანხა ჩემი ოჯახისთვის შემოსავლის ერთადერთი წყარო იყო," - ამბობს ნათია კარელიძე.

გიგლა გაჩეჩილაძემ 2004 წელს ფერმერობა 5 სული ძროხით დაიწყო. ახლა 18 სული მსხვილფეხა საქონელი ჰყავს. ამბობს, რომ BP-ს საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამა მას საქონლის საკვებით, საჭირო მედიკამენტებითა და ტრენინგებით დაეხმარა. ტრენინგების ფარგლებში კი მსხვილფეხა საქონლის კვების, მოვლის და მკურნალობის თანამედროვე მეთოდები ისწავლა.

ავთო ბენიძე აფხაზეთიდან დევნილია. მისი ოჯახი ახლა სოფელ წნისში ცხოვრობს. ამბობს, რომ ადგილობრივ პირობებთან შეგუება ძალიან გაუჭირდა, მეფუტკრეობა კი BP-ს და მისი კონტრაქტორი ფირმა CARE-ს დახმარებით დაიწყო: ავთო ბენიძეს, როგორც სადემონსტრაციო ფერმერს, წლების წინ ფუტკრების ერთი ოჯახი აჩუქეს. ერთი სკა 100-მდე გამრავლდა. ახლა ბენიძეების ოჯახი სეზონზე დაახლოებით 6 ტონა თაფლს იღებს. "უამინდობის გამო წელს თაფლის ცუდი მოსავალია. მიუხედავად ამისა, გაყიდვა გვიჭირს. როგორც წესი, თაფლი ცოტა ოდენობით და ძალიან ნელა იყიდება. ეს კი ნებისმიერი გლეხის შემოსავალზე ცუდად მოქმედებს. BP-ს ორგანიზებით თაფლი თბილისობაზე წავიღეთ და ერთ საათში დაახლოებით 500 ლარის თაფლი გავყიდეთ," - ამბობს ავთო ბენიძე. პროექტის დახმარებით გამოფენა-გაყიდვაზე სულ დაახლოებით 9470 კგ საქონლის ხორცი, 4040 კგ ყველი, 35800 კგ სასურსათე კარტოფილი გაიყიდა.

BP-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი მრჩეველი თამილა ჩანტლაძე მიიჩნევს, რომ: "სოციალური ინვესტირების პროგრამის მთავარი მიზანი BP-სა და მილსადენების ტრასის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას შორის პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბება და განმტკიცებაა. კომპანიას სურს, რომ ადგილობრივი მოსახლეობის საარსებო შემოსავლები და საშუალებები BP-სთან პარტნიორული ურთიერთობის მეშვეობით გაიზარდოს". მიზანი ნაწილობრივ უკვე მიღწეულია. BP სოციალური ინვესტირების პროგრამის მესამე ფაზის გაგრძელებასაც აპირებს.

# სიახლე "პოპულისგან" - დააგროვე "პოპ-არტით" და აირჩიე საჩუქარი

ნინო ნატროშვილი

"პოპულმა" მომხმარებლებისათვის საჩუქრების, ფასდაკლებებისა და გათამაშებების აქციებში მონაწილეობის მისაღებად პლასტიკური დაგროვებითი ბარათი "პოპ-არტი" გამოუშვა.

როგორც სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე სავაჭრო ქსელის მენეჯმენტმა განაცხადა, "პოპ-არტ ბარათი" არის "პოპულის" ახალი სტრატეგიის ერთ-ერთი მიმართულება, რომელიც მომხმარებლისათვის საუკეთესო პირობების შეთავაზებას გულისხმობს.

"აქამდე ჩვენს ამოცანას ქსელის გაფართოება წარმოადგენდა, ამიერიდან კი ზრდის ტენდენციას მომხმარებელზე ზრუნვით ჩავანაცვლებთ. სწორედ ამიტომ შემოვიღეთ დაგროვებითი ტიპის პლასტიკური ბარათი, რომელსაც მომხმარებელი შეიყვარებს და აქტიურად გამოიყენებს," - განაცხადა ძპოპულის" დამფუძნებელმა ევგენი ფიჩხაიამ.

"პოპ-არტ" ბარათის მიღების წესი მარტივია: "პოპულის" ქსელში ყიდულობთ 15 ლარის ღირებულების პროდუქტს და პირადობის წარდგენის შემდეგ, 3 სხვადასხვა ვიზუალის მქონე ბარათს შორის სასურველ ვარიანტს ირჩევთ.

"პოპულის" ქსელში პროდუქციის შეძენისას "პოპ-არტ ბარათზე" საჩუქრების მისაღებად დაგიგროვდებათ ქულები, სახელწოდებით "პოპულარი", - განაცხადა "პოპულის" დამფუძნებელმა ევგენი ფიჩხაიამ. მისივე განმარტებით, "პო-არტ ბარათი" არის "პოპულის" შიდა მოხმარების ბარათი, რომელიც მხოლოდ დაგროვილ ქულებს აღრიცხავს, ის არ არის საკრედიტო ბარათი და მასზე თანხის შეტანა ან გამოტანა შეუძლებელია.

რაც შეეხება "პოპულარის " დარიცხვის წესს - ყოველ დახარჯულ 10 ლარზე ირიცხება 1 "პოპულარი", დახარჯული თანხის პროპორციულად: 5 ლარზე - 0.5 "პოპულარი", 7 ლარზე - 0.7 "პოპულარი" 16 ლარზე - 1.6. "პოპულარი ", 50 ლარზე - 5 "პოპულარი ".

"პოპ-არტ"ბარათის" ყველა მფლობელს 1.5 "პოპულარი" ბარათზე ავტომატურად დაერიცხება. "პოპულის" მარკეტინგის სამსახურის უფროს სანდრო ლომთაძის განცხადებით, ბარათთან ერთად მომხმარებელი მიიღებს ცნობილი ბრენდის "ვილეროი და ბოხის" საჩუქრების კატალოგს, რათა მისთვის სასურველი საჩუქარი შეარჩიოს.

"პარალელურად, "პოპულარის" ოდენობით "პოპულის" ქსელში არსებული ასორტიმენტიდან შესაძლებელი იქნება 100-ზე მეტი სახეობის პროდუქციის შეძენა. ამისათვის ისეთი პროდუქცია შევარჩიეთ, რომლის იმპორტს საქართველოში მხოლოდ "პოპული" ახორციელებს. ასორტიმენტის ეს კატეგორია და საჭირო რაოდენობის "პოპულარი" მაღაზიის თაროებზე სპეციალური ფასდებულით იქნება გამოყოფილი," - დაძინა სანდრო ლომთაძემ.

"პოპულარის" რაოდენობა სალაროს ჩეკზე დაფიქსირდება, ყოველი შესყიდვის და ბარათის გატარების დროს. დაგროვილი "პოპულარის" რაოდენობის შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელი იქნება ცხელი ხაზის და "პოპულის" კორპორატიული ვებგვერდის მეშვეობით. "პოპ-არტ ბარათი" უვადოა და მის მფლობელს "პოპული" ფასდაკლების აქციებს, გათამაშებებს და სხვადასხვა ტიპის საინტერესო ღონისძიებებს მუდმივად შესთავაზებს.

# საქართველოს ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანა საერთო ვალია

პირველი გვერდიდან



საქართველოს ხელისუფლება ინვესტორებს სტაბილურობას, ინვესტიციებისა და საკუთრების უფლების დაცულობასა და სახელმწიფოს მხრიდან სრულ მხარდაჭერას სთავაზობს.

ეს არ არის ლიტონი სიტყვები. სწორედ ამას მოიცავს ახალი სამთავრობო პოლიტიკა, რომელიც ცოტა ხნის წინ საქართველოს პრეზიდენტმა გაახმოვანა და რომელიც საზოგადოებისათვის ცნობილია, როგორც "ეკონომიკური თავისუფლების აქტი". სწორედ ლიბერალურმა გარემომ, მთავრობის მინიმალურმა ჩარევამ ეკონომიკაში და შემცირებულმა გადასახადებმა გამოიწვია ის, რომ უცხოელი ინვესტორებისათვის საქართველო კაპიტალის დასაბანდებლად ჯერ ისევ მიმზიდველ ქვეყნად რჩება. ამის დასტური იყო ის დაინტერესება, რომელიც საქართველოს ეკონომიკის მიმართ გამოხატეს ყატარში ჩვენი სამთავრობო დელეგაციის ვიზიტისას. ჩვენი ქვეყნის საინვესტიციო პოტენციალმა და არსებულმა შესაძლებლობებმა უდიდესი ინტერესი გამოიწვია და ამის დასტურია მათი ბიზნესდელეგაციის საპასუხო ვიზიტი ყატარიდან. გვაქვს საფუძვლიანი მოლოდინი, რომ ამ ვიზიტის შედეგად ჩვენ უკვე შევძლებთ კონკრეტულ დიდ საინვესტიციო პროექტებზე თანამშრომლობას.

**- ვთქვათ, მე ვარ პოტენციური ინვესტორი და საქართველოში ინვესტიციების განხორციელება მინდა. რას შემომთავაზებთ?**

- დაახლოებით ანალოგიური შეკითხვით მოგვმართეს ამასწინათ ირანელმა ბიზნესმენებმა, რომელთაც ჩვენ საქართველოს საინვესტიციო და ბიზნესკლიმატი გავაცანით. ისინი დაინტერესდნენ ტურიზმით, სოფლის მეურნეობით, უძრავი ქონებით, სატრანსპორტო სფეროთი. ახლა მათთან საინვესტიციო სააგენტოს სპეციალისტები მუშაობენ.

საქართველო ინვესტიციებისათვის ღია და გახსნილი ქვეყანაა. აქ არსებული საინვესტიციო გარემო ერთ-ერთი წარმატებულია მსოფლიოში, რაც აისახა კიდეც მსოფლიო რეიტინგებში. სარეიტინგო კომპანიები კი, განსაკუთრებით მსოფლიო ფინანსური კრიზისის შემდგომ, შეფასებებს მაქსიმალური სიფრთხილით ეკიდებიან და ამ შეფასებების კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება არაკორექტულია.

რამდენიმე თვის წინ, საქართველოს მთავრობის დაკვეთით, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ კვლევა ჩაატარა და ეკონომიკის ის სექტორები გამოავლინა, რომლებიც ადგილობრივ და უცხოელ ინვესტორებს ყველაზე დიდ პოტენციალს სთავაზობენ. მათ შორისაა: მეღვინეობა, მეხილეობა, მებოსტნეობა, საფეიქრო სექტორი, სამშენებლო მასალების, მედიკამენტებისა და მედტექნიკის წარმოება. გამოვლინდა ასევე მნიშვნელოვანი პოტენციალი არასამრეწველო სექტორებში, მათ შორის, ტურიზმშიც. ასე რომ, თუკი საქართველოში ინვესტიციის განხორციელება გინდათ, შეგიძლიათ ამ ინფორმაციით ისარგებლოთ, ან ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოს მიმართოთ.

**- მთავრობის ეკონომიკურ კურსს სერიოზული ოპონენტები ჰყავს როგორც პოლიტიკურ, ისე ექსპერტულ წრეებში. რას ეტყოდით თქვენ მათ?**

- მე მათ ასე მივმართავდი: საქართველოს ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანა თითოეული ჩვენგანის მოვალეობაა. მე მათ მოვუწოდებდი, აქტიურად იმუშაონ საქართველოს საკეთილდღეოდ. მათ პოზიციას, თითქოს პრეზიდენტ სააკაშვილის ეკონომიკური კურსი პოპულიზმია, ასე ვუპასუხებდი: ვისაც მუშაობა უნდა - პოულობს შესაძლებლობებს, ვისაც გაკეთება არ უნდა - ეძებს მიზეზებს. გამოცდილებამ დაგვანახა, რომ ლიბერალური, გახსნილი და თავისუფალი ეკონომიკა არის არა მარტო წინსვლის გარანტი, არამედ სწორედ ისაა ყველაზე სწორი და ერთადერთი პასუხი ნებისმიერი ეკონომიკური კრიზისისა და პოლიტიკური ძნელბედობის დროს.

**- განვაგრძოთ რეიტინგების საკითხი. საქართველომ ბიზნესის წარმოების სიმარტივის რეიტინგში მე-11 ადგილი დაიკავა. ეს მონაცემი მსოფლიო ბანკს, მსოფლიო მასშტაბით ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტულ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციას ეკუთვნის. ამ რეიტინგით, საქართველო, სირთულეების მიუხედავად, რეფორმატორი ქვეყნების სიაშია. მიუხედავად ამისა, ქვეყანაში ერთ-ერთ მწვავე პრობლემად კვლავ უმუშევრობა რჩება......**

- დიდი მადლობა ამ შეკითხვისათვის. უმუშევრობა საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული პრობლემაა, მაგრამ ყველას კარგად უნდა ესმოდეს, რომ ქვეყანაში, სადაც პრობლემები ათწლეულობის მანძილზე გროვდებოდა, ისინი ერთი ხელის მოსმით ვერ მოგვარდება. ინვესტიციების მოძიება აკვიატებული იდეა არ არის, ეს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის, ახალი სამუშაო ადგილების შექმნისათვის, თითოეული ქართველის ცხოვრების დონის გაუმჯობესებისათვისაა აუცილებელი. მესმის, რომ ადამიანისათვის, რომელმაც სამსახური დაკარგა და საარსებო წყაროს გარეშე დარჩა როგორც ის, ისე მისი ოჯახი, ძნელია მხოლოდ მომავალზე ესაუბრო. თუმცა გვენდეთ, რომ საქართველოს მთავრობის თითოეული ნაბიჯი სწორედ ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მიმართულებითაა გადადგმული.

მინდა დავუბრუნდე რეიტინგს Doing Business, რომელიც თქვენ ახსენეთ. მასში საქართველოს მე-11 ადგილზე გადმონაცვლება წარმატებისკენ გადადგმული კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია. საქართველოს პოზიციის გაუმჯობესება ნიშნავს, რომ ქვეყნის სამეწარმეო გარემო არის პოზიტიური და მისი ეკონომიკის ზრდისათვის შემაფერხებელი ფაქტორები მინიმალურია.

როგორც წესი, კრიზისის პერიოდში ინვესტორთა მხრიდან ინვესტიციების განხორციელებისათვის მზადყოფნა, როგორც გარდამავალ და განვითარებად, ასევე განვითარებულ ქვეყნებში, ზოგადად დაბალია. ასეთ პირობებში საქართველოს პოზიციების შენარჩუნება წამყვან რეფორმატორთა შორის იმის მანიშნებელია, რომ მიმდინარე პროცესები სტაბილურდება და ქვეყანა აგრძელებს სვლას ეკონომიკის კიდევ უფრო ლიბერალიზაციის კუთხით.

შესაბამისად, რეიტინგის გაუმჯობესება მნიშვნელოვანი ფაქტორია ზოგადად როგორც ქვეყნის იმიჯისათვის, ასევე ინვესტიციების მოზიდვის კუთხითაც, რამდენადაც აღნიშნული ინვესტორთათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზავნილია. ინვესტიციების შემოდინება კი, კიდევ ერთხელ გავიმეორებ, საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ მთავარ წინაპირობას წარმოადგენს, რაც ბუნებრივად დადებითად აისახება დასაქმების ზრდაზე, მოსახლეობის შემოსავლებსა და კეთილდღეობაზე.

**- მინდა გკითხოთ პრეზიდენტის ინიციატივაზეც "ეკონომიკური თავისუფლების აქტი", რომელიც მან პარლამენტში წარადგინა. აღნიშნული ინიციატივა გადასახადების გაზრდის ან ახალი გადასახადის დაწესების რეფერენდუმით გადაწყვეტას ითვალისწინებს. საინტერესოა თქვენი მოსაზრება ამ ინიციატივაზე.**

- "ეკონომიკური თავისუფლების აქტი" იმ ლიბერალურ პოლიტიკას წარმოადგენს, რომელიც საფუძვლად დაედება ქვეყნის მომავალ განვითარებას, რათა მიუხედავად ხელისუფლებათა ცვლისა, ეკონომიკა დაცული იყოს ზედმეტი და შემზღუდავი რეგულაციებისგან. ეს მნიშვნელოვანი გზავნილია როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი ინვესტორებისთვის - ბიზნესის კეთება საქართველოში იქნება თავისუფალი და მიმზიდველი. საინვესტიციო გარემოს კიდევ უფრო ლიბერალიზებით, რომელშიც, უპირველეს ყოვლისა, მოიაზრება დაბალი გადასახადები ბიზნესისთვის, ჩვენი ქვეყანა, დღევანდელი კონკურენციის პირობებში, შექმნის შედარებით უპირატესობას, რათა ინვესტორებს მეტი სტიმული გაუჩნდეთ ინვესტიციების საქართველოში განსახორციელებლად.

"თავისუფლების აქტით" ლიბერალური ეკონომიკური კურსის შეუქცევადობა ქვეყნის უზენაესი კანონით - კონსტიტუციით იქნება დაცული და საქართველო იქცევა ერთ-ერთ მოწინავე სახელმწიფოდ კანონმდებლობის მხრივ ეკონომიკური ლიბერალიზმის დაცულობის თვალსაზრისით.

**- რუსეთ-საქართველოს ომის და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის პერიოდში საქართველოში საბანკო აქტივობა თითქმის შეჩერებულია. ბოლო რამდენიმე თვეა საბანკო აქტივობა იზრდება, თუმცა ბანკები მასშტაბურ დაკრედიტებას მაინც ერიდებიან. როგორია თქვენი პროგნოზი?**

- მსოფლიო საფინანსო-ეკონომიკური კრიზისისა და აგვისტოს ცნობილი მოვლენების პირობებში კომერციულმა ბანკებმა გაამკაცრეს საკრედიტო რესურსების ბაზარზე მომსახურების პირობები, რამაც კომერციულ ბანკებში ჭარბი საკრედიტო რესურსების არსებობა განაპირობა. ამჟამად ვითარება შეცვლილია - ქვეყანა შედარებით პროგნოზირებადია რისკფაქტორების თვალსაზრისით, როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური განვითარების კუთხით. ამან ასახვა ჰპოვა Fitch-ის მიერ მონიჭებულ რეიტინგზეც და აღნიშნული, ბუნებრივია, აისახება საბანკო სექტორის საქმიანობაზეც. შეცვლილ ვითარებაში მოსალოდნელია კომერციული ბანკების მომსახურების პირობების შემსუბუქება (რაც აღინიშნა კიდეც) და, შესაბამისად, საკრედიტო რესურსების ბაზრის გააქტიურება - კრიზისამდე არსებული მოთხოვნა-მიწოდების წონასწორობის აღდგენა. რაც შეეხება ჭარბ ლიკვიდობას, ამ პირობებში, ბაზარი ყველაზე უკეთ გადაანაწილებს ჭარბ საკრედიტო რესურსებს იქ, სადაც მასზე ყველაზე დიდი მოთხოვნა არსებობს.

ბოლო თვეების განმავლობაში საბანკო სექტორში დეპოზიტების აღმავალი ტენდენცია შეინიშნება. დღევანდელი მონაცემებით ამ მაჩვენებელმა ომამდე არსებულ დონეს გადააჭარბა, რაც იმას ნიშნავს, რომ ნდობა საბანკო სექტორსა და ხალხს შორის აღდგა. საქართველოს საბანკო სისტემამ კრიზისს არა მარტო გაუძლო, არამედ უკვე სექტემბერში, უკანასკნელი 13 თვის განმავლობაში პირველად, საბანკო სექტორმა თვე წმინდა მოგებით დაასრულა. თუმცა ნდობა არ შეიძლება ცალმხრივი იყოს და ქართველ ბანკირებთან შეხვედრების დროს მე მათ მოვუწოდე, უფრო აქტიურად მიეღოთ მონაწილეობა საქართველოს ეკონომიკის წინაშე არსებული სირთულეების დაძლევაში. შესაბამისად, მოხარული ვარ, როდესაც თითქმის ყოველდღე ვისმენ განცხადებებს სხვადასხვა ფინანსური ინსტიტუტებიდან, რომ მათ განაახლეს ფინანსების დაბანდება ეკონომიკაში, შეამცირეს კრედიტების საპროცენტო განაკვეთები და გაამარტივეს სესხის გაცემის პროცედურები.

**- ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს. ტურიზმის განვითარება ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა. რამდენად ეფექტურად იმუშავებს რეორგანიზებული ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი? თუ არსებობს კონკრეტული პროექტები?**

- მინდა მადლობა გადავუხადო ტურიზმის დეპარტამენტის ყველა ყოფილ ხელმძღვანელს და აღვნიშნო, რომ ტურიზმის განვითარების ახალი სტრატეგია, რომელზეც ჩვენ ახლა ვმუშაობთ, არ იქნება რადიკალურად განსხვავებული მანამდე არსებულისგან, მაგრამ უფრო ეფექტური იქნება. მთავარია, ჩვენ გავაგრძელოთ მაქსიმალური ძალისხმევა სხვადასხვა ტურისტული თუ ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ეკონომიკის გაჯანსაღებისთვის. ჩვენ ძალიან სერიოზულად ვემზადებით 2010 წელს ჩინეთში დაგეგმილი საერთაშორისო ტურისტული გამოფენისთვის, სადაც შესაძლებლობა გვეძლევა, საქართველოს ტურისტული პოტენციალი მსოფლიო ტურისტულ ბაზარზე მაქსიმალურად წარმოვაჩინოთ და ინვესტიციები მოვიზიდოთ.

## "ენერგო-პრო ჯორჯია" საქართველოს რეგიონებს ზამთრის პერიოდში სტაბილურად მოამარაგებს

კომპანია "ენერგო-პრო ჯორჯია" საქართველოს რეგიონებს ზამთრის პერიოდში სტაბილურად მოამარაგებს. როგორც დღეს გამართულ ბრიფინგზე კომპანიის გენერალურმა დირექტორმა რადოსლავ დუდოლენსკიმ განაცხადა, "ენერგო-პრო ჯორჯიას" მომსახურება ისეთ რეგიონებსაც მოიცავს, რომელიც ზამთრის სეზონზე თოვლით იფარება და ამის გამო პრობლემები ხშირად იქმნება. თუმცა, მიუხედავად ამისა, "ენერგო-პრო" გეგმავს მაქსიმალური მობილიზაცია მოახდინოს და რეგიონების ენერგომომარაგება უზრუნველყოს.

მისი თქმით, კომპანიამ ზამთრისთვის მზადებასთან დაკავშირებით საკუთარ გენერაციისა და დისტრიბუციის ობიექტებზე მთელი რიგი სარეაბილიტაციო სამუშაოები განახორციელა.

"გასული ზამთარი საკმაოდ მძიმე იყო. წინა წლის გამოცდილების მიხედვით დავადგინეთ, თუ კონკრეტულად სად შეიძლება პრობლემა წარმოიქმნას. ზამთრისთვის მზადების მეორე ეტაპია, მოვიმარაგოთ ყველა საკმარისი რესურსი, რაც სწრაფი რეაბილიტაციისთვისაა საჭირო - ელექტროგადამცემი ბოძები, სადენები, ტრანსპორტი და ა.შ," - განაცხადა დუდოლენსკიმ.

იგი არ გამორიცხავს, რომ პრობლემები საქართველოს ზოგიერთ ტერიტორიაზე ენერგომომარაგების მხრივ კლიმატის გაუარესების გამო კვლავ წარმოიქნას, თუმცა კომპანიის თანამშრომლები მზად არიან, რათა ნებისმიერი პრობლემის აღმოფხვრა რაც შეიძლება სწრაფად მოახდინონ.

მისი განმარტებით, კომპანიამ წელს ზამთრის სეზონის მზადების ფარგლებში მხოლოდ დისტრიბუციის ობიექტებზე 5-6 მლნ ლარის ინვესტიცია განახორციელა.

გეგმიური სარეაბილიტაციო სამუშაოები "ენერგო-პრო ჯორჯიას" ჰიდროელექტროსადგურებზეც განხორციელდა, რითაც ჰესების ინფრასტრუქტურა გაუმჯობესდა. ზათრის სეზონზე "ენერგო-პრო ჯორჯიას" მიერ აბონენტებზე მიწოდებული ელექტროენერგიის 50 პროცენტი კომპანიის ჰესების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიაა, დანარჩენი კი მას კონტრაქტორებისგან მიეწოდება.

ასევე განხორციელდა ელექტროქსელის სარებილიტაციო სამუშაოებიც. აშენდა და გარემონტდა მაღალი ძაბვის ქვესადგურები, შეიცვალა ძველი სადენები. ქსელის რეაბილიტაციის შემდეგ კი აღდგა მაღალმთიანი სოფლების ენერგომომარაგება.

როგორც "ენერგო-პრო ჯორჯიაში" აღნიშნავენ, ზამთარში ელექტროენერგიის მოხმარება იზრდება და დღე-ღამეში 7 მლნ კვტ/სთ-ს აღწევს. მთელი სეზონის განმავლობაში კომპანიის ბრიგადები უამინდობით გამოწვეული დაზიანების აღმოსაფხვრელად 24-საათიან რეჟიმში იმუშავებენ. **ინტერპრესნიუსი**

## დიდ ქალაქებში ინდივიდუალური გამრიცხველიანება 2010 წლის თებერვლამდე დასრულდება

დიდ ქალაქებში ინდივიდუალური გამრიცხველიანება, სავარაუდოდ, 2010 წლის თებერვლამდე დასრულდება. ამის შესახებ დღეს გამართულ ბრიფინგზე კომპანია "ენერგო-პრო ჯორჯიას" გენერალურმა დირექტორმა რადოსლავ დუდოლენსკიმ განაცხადა.

მისი თქმით, ინდივიდუალური გამრიცხველიანების პროცესი მხოლოდ მრიცხველის მონტაჟს არ გულისხმობს, არამედ ჯერ უნდა მოხდეს ქსელის რეაბილიტაცია და შემდეგ მრიცხველის მონტაჟი.

მისი თქმით, ამ ეტაპზე, ამჟამად რეაბილიტაცია მიმდინარეობს მარნეულში, გარდაბანში, სტეფანწმინდაში და კასპში.

"ქალაქების დასრულების შემდეგ ან რეაბილიტაციების პარალელურად, ჩვენ დავიწყებთ სოფლებში მუშაობასაც. მომავალი წლის აპრილ-მაისში შესაბამისი სამუშაოები დაიწყება 20 სოფელში. მოვახდენთ ყველანაირი ტექნიკის უზრუნველყოფას, რათა ქსელის რეაბილიტაცია მოხდეს," - განაცხადა მან.

საქართველოს მასშტაბით კი, სრულად ინდივიდუალურ გამრიცხველიანების პროცესის დასრულებას, სავარაუდოდ, 1,5-2 წელი დასჭირდება. ერთი აბონენტის ინდივიდუალური გამრიცხველიანება ქალაქებში, გადასახადების გარეშე, 250 ლარი ჯდება, სოფლებში კი უფრო მეტი.

ამ დროისთვის "ენერგო-პრო ჯორჯიას" მიერ გამრიცხველიანებულია 300 000 აბონენტზე მეტი. **ინტერპრესნიუსი**

## "ამნისტიის შესახებ" კანონპროექტი მეორე მოსმენით განიხილეს

საპარლამენტო ოპოზიცია "ამნისტიის შესახებ" კანონპროექტზე პოზიციების შეჯერების მიზნით, მისი განხილვის პარასკევისთვის გადადებას ითხოვს.

ამის შესახებ განცხადება "ქრისტიან-დემოკრატმა" ლევან ვეფხვაძემ გააკეთა, შემდეგ კი მისი პოზიციები ჯონდი ბაღათურიამ და გია ცაგარეიშვილმაც გაიზიარეს.

ოპოზიციის ძირითად უკმაყოფილებას სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლი იწვევს, რომლის მხოლოდ პირველ ნაწილს უნდა შეეხოს ამნისტია. დეპუტატების განცხადებით, ამ მუხლის პირველ და მეორე ნაწილს შორის დანაშაულის მხრივ იმდენად მცირედი სხვაობაა, რომ უსამართლობაა მე-2 ნაწილით მსჯავრდებულები ან განანსასჯელები ამნისტიის გარეშე დარჩნენ.

ოპოზიციის ნაწილს მიაჩნია, რომ კოდექსის 273-ე მუხლით მსჯავრდებულებს სასჯელი არათუ უნდა გაუნახევრდეთ, არამედ უნდა გათავისუფლდნენ. ამ პოზიციას მეტ-ნაკლებად იზიარებს ვიცე-სპიკერი გიგი წერეთელიც და აცხადებს, რომ ამ მუხლთან მიმართებაში ის "უფრო თამამი" ნაბიჯების გადადგმის მომხრეა.

აღნიშნული განცხადებების შემდეგ, ოპოზიციამ მოითხოვა საკითხი პარასკევისთვის გადადებულიყო, მანამდე კი დეპუტატებს პოზიციების შეჯერება ეცადათ. თუმცა, კანონპროექტი მეორე მოსმენით გუშინვე მიიღეს.

"ამნისტიის შესახებ" კანონპროექტი სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით და 273-ე მუხლით მსჯავრდებულების თუ განსასჯელებისთვის, სასჯელის განახევრებას ითვალისწინებს. ორივე მუხლი ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებას, შენახვასა და გადაზიდვას ეხება.

ალტერნატიული წინადადებები აქვს "ქართული დასის" ლიდერს, დეპუტატ ჯონდი ბაღათურიას. კერძოდ, ის ითხოვს, რომ 273-ე მუხლით მსჯავრდებულებს სასჯელი არა გაუნახევრდეთ, არამედ საერთოდ გათავისუფლდნენ. ამასთან, ბაღათურია ითხოვს, ამნისტია შეეხოს 260-ე მუხლის როგორც პირველი ნაწილით, ასევე მეორე ნაწილით მსჯავრდებულებს თუ განსასჯელებს და სასჯელი მათაც გაუნახევრდეთ. ამას გარდა, დეპუტატს მიაჩნია, რომ ამნისტიის პროექტს უნდა დაემატოს კოდექსის 276-ე მუხლიც, რომელიც სასჯელს გაუფრთხილებლობით ავარიებისთვის ითვალისწინებს.

ასევე, ალტერნატიული წინადადება აქვს ოპოზიციონერ დეპუტატ დიმიტრი ლორთქიფანიძესაც, რომელიც ითხოვს, ამნისტია შეეხოთ 260-ე მუხლის მეორე ნაწილით მსჯავრდებულებსაც.

*ინტერპრესნიუსი*

## პოლონელი მაღალჩინოსანი პროკურატურაში დაიბარეს

პოლონეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ყოფილი ხელმძღვანელი პეტრ კოვნაცკი, საქართველოში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით, პროკურატურაში დაიბარეს.

ადგილობრივი წყაროების ცნობით, პროკურატურა მიიჩნევს, რომ სწორედ კოვნაცკიმ გაავრცელა საიდუმლო ინფორმაცია, რომელიც 2008 წლის 23 ნოემბერს ახალგორის რაიონში საქართველოსა და პოლონეთის პრეზიდენტების კორტეჟის დაცხრილვას ეხებოდა.

ახალგორის ინციდენტში ქართულმა მხარემ რუსეთი დაადანაშაულა. მოგვიანებით, გაზეთმა "ძენიკ" გამოაქვეყნა პოლონეთის შიდა უსაფრთხოების სააგენტოს რაპორტი, რომლის მიხედვითაც, ინციდენტი ქართული მხარის პროვოკაცია იყო. "ძენიკის" გამოქვეყნებული მასალის მიხედვით, ამას ის ადასტურებდა, რომ სროლის მომენტში საქართველოს პრეზიდენტის დაცვას რეაგირება არ მოუხდენია, მიხეილ სააკაშვილი კი იღიმებოდა.

*მედიანიუსი*

## მოსკოვში საქართველოს ორი მოქალაქე დააკავეს

მოსკოვში ადგილობრივმა მილიციამ საქართველოს ორი მოქალაქე დააკავა.

გავრცელებული ინფორმაციით, საქართველოს მოქალაქეებმა ავტომანქანიდან 500 ათასი რუბლი გაიტაცეს. მანქანის პატრონმა მილიციას მიმართა და სამართალდამცველებმა მათი დაკავება შეძლეს.

დაკავებისას ერთ-ერთი ეჭვმიტანილი თვითმკვლელობას შეეცადა და "მაკაროვის" სისტემის პისტოლეტიდან თავში ტყვია დაიხალა. იგი საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში გადაიყვანეს.

*მედიანიუსი*

# "სასამართლოს მეგობარი" საკონსტიტუციო სასამართლოში

*"საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ" საქართველოს კანონში ცოტა ხნის წინ ცვლილება შევიდა, რომლის მიხედვითაც, საკონსტიტუციო სასამართლოში ე.წ. "სასამართლოს მეგობრის" ინსტიტუტი ამოქმედდა. რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში მკვიდრდება დასავლეთის ქვეყნების სასამართლოებში მიღებული პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც, ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია, კონკრეტული დავის განხილვისას, თავისი მოსაზრებით მიმართოს სასამართლოს, ანუ, მონაწილეობა მიიღოს სამართალწარმოებაში.* ***"ამ ინსტიტუტის საქართველოში ამოქმედება ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში პირველი პრეცედენტია. "სასამართლოს მეგობრის" ინსტიტუტის შემოღება ხელს შეუწყობს საკონსტიტუციო სამართალწარმოების სრულყოფას და საზოგადოების უფრო მეტ ჩართულობას პროცესში," -*** *აცხადებს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილი, რომელთან ინტერვიუსაც ამ საკითხზე ქვემოთ შემოგთავაზებთ.*



*გიორგი პაპუაშვილი*

**- ბატონო გიორგი, საკონსტიტუციო სასამართლოში ამოქმედდა "სასამართლოს მეგობრის" ინსტიტუტი, უფრო კონკრეტულად, რას ნიშნავს ეს სიახლე?**

- ეს ინსტიტუტი იურიდიულ საზოგადოებაში ცნობილია ლათინური ტერმინით Amicus Curiae, რაც პირდაპირი თარგმანით "სასამართლოს მეგობარს" ნიშნავს და მას საუკუნოვანი ისტორია აქვს. მოგვიანებით, ეს ინსტიტუტი გერმანულ-რომაული სამართლის ქვეყნებში დამკვიდრდდა და ფაქტობრივად, მთელ ევროპაში მოქმედებს, ინგლისის გარდა. ამ ინსტიტუტს სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლო წარმატებით იყენებს.

საქმე ისაა, რომ საკანონმდებლო ცვლილებით, ის საქართველოშიც ამოქმედდა, რაც ნიშნავს, რომ პირთა ჯგუფს, რომლის ინტერესის სფეროშიც შედის დავა, რომელსაც სასამართლო განიხილავს, მაგრამ ის არ არის რომელიმე მხარე, შეუძლია, თავისი არგუმენტები სასამართლოს წარმოუდგინოს და უშუალოდ ჩაერთოს პროცესში. მაგალითად, თუ განიხილება გარემოს დაცვის საკითხებთან დაკავშირებით დავა, ამ თემით დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ, წარმოადგინონ თავისი ანალიზი ერთი ან მეორე მხარის სასარგებლოდ. სიტყვის თავისუფლების თაობაზე დავისას - ჟურნალისტებმა წარმოადგინონ არგუმენტები. თუ განიხილება დავა სისხლის სამართლის პროცესთან დაკავშირებით - ადვოკატებმა და ა.შ.

**- თუ შეუძლიათ კერძო პირებს თავისი მოსაზრება წარუდგინონ სასამართლოს?**

- რა თქმა უნდა, ეს ეხება კერძო პირსაც, ამა თუ იმ დარგის სპეციალისტებს, მეცნიერებს, იურისტებს, არასამთავრობოებს, ასპირანტებს, სტუდენტებს, ადვოკატებს, ინტერესთა ჯგუფებს, პარლამენტარებს, სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებს და ა.შ. ყველა დაინტერესებულ პირს, რომლის მოსაზრებებმაც შეიძლება გადამწყვეტი როლი ითამაშოს ამა თუ იმ მხარის სასარგებლოდ გადაწყვეტილების გამოტანაში. დასაშვებია, რომელიმე დავის განხილვისას "სასამართლოს მეგობრის" რამდენიმე არგუმენტაცია შემოვიდეს, მაგრამ რომელია უფრო მყარი და არგუმენტირებული და რომელს მიიღებს სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანისას, ეს სასამართლოს პრეროგატივაა. ეს ინსტიტუტი ხელს უწყობს გადაწყვეტილებების ხარისხის ამაღლებას, რადგან სასამართლო გაცილებით მეტ წყაროს ეყრდნობა - მხარეებმა შეიძლება სრულყოფილი არგუმენტაცია ვერ წარმოადგინონ, დავუშვათ, ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებით და მისი შევსება "სასამართლოს მეგობრის" დახმარებით მოხდეს.

მინდა გითხრათ, რომ "სასამართლოს მეგობრის" ინსტიტუტის ამოქმედებას ორი დადებითი მხარე აქვს. დადებითად იმოქმედებს გადაწყვეტილებების ხარისხის ამაღლებაზე, რადგან სასამართლო უფრო მეტ წყაროს ეყრდნობა და მეორე მნიშვნელოვანი მომენტია ის, რომ საზოგადოების წარმომადგენლებს საშუალება ეძლევათ, კარგი გაგებით გავლენა მოახდინონ სასამართლო გადაწყვეტილებებზე. საზოგადოებასა და სასამართლოს შორის კავშირი დამყარდება - ეს ინსტიტუტი ერთგვარად არის საზოგადოების მონაწილეობა სასამართლო პროცესში.

**- როგორ ფიქრობთ, ეს ინსტიტუტი წარმატებით ამუშავდება საქართველოში?**

- ამ ეტაპზე მთავარია, რომ "სასამართლო ინსტიტუტის" ამოქმედება საკანონმდებლო დონეზე მოხდა. ეს იყო ჩვენი ინიციატივა, რომელიც პარლამენტმა მიიღო. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არ გვაქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება, მხოლოდ იდეა გამოვთქვით და ის პარლამენტმა მიიღო.

მაქვს ინფორმაცია, რომ "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" სახალხო დამცველის სარჩელთან დაკავშირებით მოსაზრების წარმოდგენას აპირებს, რითიც ალბათ, ომბუდსმენის სარჩელს თავიანთი არგუმენტებით შეავსებენ.

ვაპირებთ, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს და სტუდენტებს შევხვდეთ, ამ სიახლის თაობაზე ინფორმაციები მივაწოდოთ. ინფორმაციებს მივაწოდებთ საკონსტიტუციო სასამართლოში მიმდინარე დავების თაობაზე და გვსურს, რომ მათგან, როგორც "სასამართლოს მეგობრისგან" არგუმენტაციები მივიღოთ. აუცილებელი არ არის "სასამართლოს მეგობრის" ანალიზი აუცილებლად სამართლებრივ საკითხებს შეეხებოდეს. დაინტერესებულ პირს, ამა თუ იმ სფეროს პროფესიონალებს შეუძლიათ, მოსაზრებები წარმოგვიდგინონ ტექნიკურ საკითხებზე, შემოგვთავაზონ ანალიზი თავის კომპეტენციიდან გამომდინარე.

მაგალითად, ორი წლის წინ, როცა ამერიკის უზენაეს სასამართლოში გუანტანამოს საკითხი იხილებოდა, გადამდგარ გენერალთა ასოციაციამ თავისი მოსაზრებები წარადგინა, არა სამართლებრივ საკითხებზე, არამედ იმ პრობლემებზე, რომლებშიც ისინი კომპეტენტურნი იყვნენ.

ჩვენთან შემოსულია სარჩელები შრომით დავებზე, რაზეც შესაძლებელია პროფკავშირების წარმომადგენლებმა მოგვაწოდონ თავიანთი მოსაზრებები. განვიხილავთ არასრულწლოვნებთან დაკავშირებით მშობლების პასუხისმგებლობის საკითხს, რაზეც შესაძლებელია მშობლებმა, პედაგოგებმა, ფსიქოლოგებმა წარმოადგინონ არგუმენტები.

**- საინტერესოა, უცხოური პრაქტიკაც. როგორი წარმატებით მოქმედებს ის სხვა ქვეყნებში?**

- მისი გამოყენების დიდი ტრადიცია არსებობს. ეს ინსტიტუტი დამკვიდრდდა ევროსასამართლოშიც, იყენებენ კონტინენტურ ევროპაში, პრეცედენტული სამართლის ქვეყნებში. მაგალითად, ამერიკის უზენაესი სასამართლოს წევრებთან შეხვედრისას მითხრეს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები, ინტერესთა ჯგუფები ძალიან დიდი რაოდენობით გზავნიან თავიანთ მოსაზრებებს, რომელთა გადარჩევაც ხდება და სასამართლო მხოლოდ გამორჩეულად მყარ არგუმენტებს იყენებს. საქართველო პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან პირველი ქვეყანაა, სადაც ეს ინსტიტუტი ამოქმედდა.

# საქართველოს მთავრობის მიმართვა ევროსასამართლოს

*ევროსაბჭო სოფელ ტირძნისიდან ცხინვალში გატაცებული ბავშვების დაუყოვნებლივ გათავისუფლებას ითხოვს. ევროსაბჭოს ამ განცხადებას ხელს აწერენ გენერალური მდივანი ტურბერნ იაგლანდი და მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარე სამუელ ჟბოგარი.*

**"ღრმად ვართ შეშფოთებული სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლების მიერ ქართველი მოზარდების დაკავებით. ევროპაში დაუშვებელია მოზარდების დაკავება პოლიტიკური ან უსაფრთხოების საკითხების გადასაწყვეტად. როგორც გენერალური მდივანი და ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარე, მათ მოზარდების დაუყოვნებლივი განთავისუფლებისკენ მოვუწოდებთ,"** - აღნიშნულია განცხადებაში.

გუშინვე საქართველოს მთავრობამ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიმართა და კონფლიქტურ რეგიონებში რუსეთის ფედერაციის მიერ ადამიანის უფლებათა დარღვევებთან დაკავშირებით ზომების მიღება სთხოვა.

საქართველოს მთავრობამ ევროსასამართლოს სთხოვა, მის მიერ 2008 წლის 12 აგვისტოს დაკისრებული დროებითი ღონისძიების კონტექსტში, " რუსეთის ფედერაციას მოთხოვოს, ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევები აღკვეთოს და 4 ნოემბერს უკანონოდ დაკავებული არასრულწლოვნები დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს."

იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე თინა ბურჯალიანის განცხადებით, იუსტიციის სამინისტროს მიერ გაგზავნილ მიმართვაში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია 4 ნოემბერს, სოფელ ტირძნისიდან ოთხი ქართველი არასრულწლოვნის გატაცებისა და მათი დატყვევების ფაქტზე.

საქართველოს მთავრობამ ყურადღება გაამახვილა იმაზეც, რომ ოკუპირებული ტერიტორიების ახლოს მცხოვრებთა უფლებები განსაკუთრებული სიხშირით ირღვევა რუსი მესაზღვრეების მიერ, როცა ისინი "საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის" ბრალდებით აკავებენ ადგილობრივ მოსახლეობას.

**"მსგავსი ბრალდებით 2009 წლის 25 ოქტომბერს რუსმა მესაზღვრეებმა სოფელ გრემისხევის მკვიდრი 16 ქართველი დააკავეს, რომლებიც 5-დღიანი ტყვეობის შემდეგ საერთაშორისო ორგანიზაციების ჩარევისა და ინტენსიური მოლაპარაკებების შედეგად გაათავისუფლეს. აღნიშნულ ფაქტს წინ უძღოდა რუსი მესაზღვრეების მიერ ქარელის რაიონიდან 5 ქართველის გატაცება, საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ბრალდებით. მათი გათავისუფლება 2009 წლის 29 ოქტომბერს მოხერხდა,"** - ნათქვამია სტრასბურგის სასამართლოში გაგზავნილ მიმართვაში, რომელშიც წერია, რომ მსგავსი ფაქტები ოკუპირებული ტერიტორიის ახლოს მცხოვრები მოსახლეობის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის.

**"როგორც ცნობილია, 2008 წლის 12 აგვისტოს სტრასბურგის სასამართლომ მიიღო შუალედური გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, რუსეთის ფედერაციას სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებამდე დაევალა, თავი შეიკავოს ისეთი ქმედებებისგან, რომლებიც ადამიანების უფლებებს არღვევს. თუმცა, მიუხედავად ამისა, მსგავს ფაქტებს ოკუპირებული ტერიტორიების მახლობლად მაინც აქვს ადგილი, რაც იქ მცხოვრები მოსახლეობის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის. ჩვენ საერთაშორისო საზოგადოებას ამგვარი შემთხვევების შესახებ რეგულარულად ვაცნობებთ და იმედი გვაქვს, რომ განახორციელებენ შესაბამის ზომებს, რათა რუსეთი აიძულონ, ნაკისრი ვალდებულებები შეასრულოს,"** - განაცხადა თინა ბურჯალიანმა.

**საკუთარი ინფორმაცია**

# რუსეთი პარტნიორია? - ჩვენ ერთმანეთს ვჭირდებით

## დასავლეთი დმიტრი მედვედევის სენსაციურ სიტყვაზე არასწორად რეაგირებს

ჰანს-დიტრიხ გენშერი




რუსი პრეზიდენტი ყველა თვალსაზრისით საყურადღებო სიტყვის წარმოთქმისას ქვეყნის რეორგანიზაციის მოწოდებით გამოვიდა. ამასთანავე სიტყვა "მოდერნიზაცია" მას სულაც არ ესმის ვიწრო ტექნოკრატიული მნიშვნელობით. მას აზროვნების მოდერნიზაცია სურს, რაც, საბოლოო ჯამში, შესაძლოა მთლიანად რუსეთის წარმატებული მოდერნიზაციის გარანტად იქცეს. მედვედევი მოითხოვს მოქალაქეების გათავისუფლებას სახელმწიფოს ზეწოლისგან; თანამოქალაქეებს მოუწოდებს, თავად მართონ საკუთარი ბედი; არ შეუშინდნენ პასუხისმგებლობას და არ დაკმაყოფილდნენ მხოლოდ საბჭოთა დროინდელი მიღწევებით, რომლებიც სამხედრო წარმატებებსა და კოსმოსურ ფრენებში გამოიხატება.

ვინ შეეკამათება მედვედევს, მაშინ როდესაც ის ქვეყანას მომავალში გარღვევისკენ და ამისთვის რუსი ხალხის უდიდესი ადამიანური პოტენციალის მობილიზებისკენ მოუწოდებს. უეჭველია, რომ სწორია ეს ანალიზი, ისევე როგორც შემოთავაზებული თერაპია.

ამაზე დასავლეთის და მათ შორის გერმანიის რეაქციას შეიძლება გასაოცარი ეწოდოს. უეჭველია, რომ გლობალური ურთიერთდამოკიდებულების ეპოქაში სხვა ქვეყნების ბედი შენივე ბედისთვისაც არის მნიშვნელოვანი, ხოლო თუ ლაპარაკია მეზობელ ქვეყანაზე, მით უფრო ისეთ დიდ და მნიშვნელოვან სახელმწიფოზე, როგორიც რუსეთია, ასეთი მიდგომა კიდევ უფრო მართალია. რასაკვირველია, მედვედევის ზოგიერთი შეხედულება კითხვებს ბადებს - პირველ რიგში კი ეჭვქვეშ ექცევა ამ გეგმების რეალურობა და მათი განხორციელების შესაძლებლობა.

თუმცა ასე ხდება ყოველთვის, როცა თამამ პროექტს გვთავაზობენ. ეს პროექტი ამჯერად ნამდვილად საჭიროა, თუკი რუსეთს არ სურს, რომ დიდი ხნით დარჩეს მსოფლიო კონკურენციის ფარგლებს მიღმა და მხოლოდ ნედლეულისა და ენერგეტიკული რესურსების ექსპორტიორი იყოს. რასაკვირველია, მედვედევს თავის ანალიზში ყურადღება, ძირითადად, არა ევროპისკენ, არამედ ჩინეთისა და მოდერნიზაციის სფეროში მისი შთამბეჭდავი პროგრესისკენ ჰქონდა მიმართული.

თუმცა, თუკი პრეზიდენტ მედვედევის გამოსვლას მხოლოდ პრემიერ-მინისტრ პუტინთან კონკურენციად განვიხილავთ, მაშინ მისი ყველა ეს მოთხოვნა, რასაკვირველია, გაუგებარი ხდება.

უფრო მნიშვნელოვანია, რომ ევროპამ ამ პოლიტიკას მხარი დაუჭიროს და რუსეთი გლობალურ მოთამაშედ აღიაროს. არ არსებობს მსოფლიოში სერიოზული პრობლემა - იქნება ეს გარემოს დაცვა, ეკონომიკის გაჯანსაღება, განიარაღება, შეიარაღების კონტროლი თუ ორგანიზებულ დანაშაულთან და საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლა - რომლის მოგვარებაც რუსეთის მონაწილეობის გარეშე შეიძლება. ავღანეთში მყოფი კოალიციისთვის რუსეთის დახმარება კონსტრუქციული ქმედების საუკეთესო მაგალითია.

აშშ-ს პრეზიდენტმა ობამამ მთელი რიგი გაბედული ნაბიჯები გადადგა ახალი ინიციატივებისთვის ნიადაგის მოსამზადებლად. მედვედევი ცდილობს, თავის ქვეყანაში პრობლემები ამჟამინდელი ვითარების შესაბამისად მოაგვაროს. ევროპამ უნდა გააცნობიეროს, რომ მისი ბედი მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული იმაზე, შეძლებს თუ არა რუსეთი თავისი შიდა სისუსტეების დაძლევას. ევროპაში ახალი საზღვრები აღარ უნდა არსებობდეს.

ევროკავშირსა და რუსეთს შეუძლიათ, თავიანთი სულ უფრო მზარდი პარტნიორობით ყველა მონაწილე ქვეყანას სულ უფრო მეტი სარგებელი მისცენ. ევროპაში სტაბილურობისა და პროგრესის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ რუსეთთან ერთად და არა მასთან უთანხმოებით. სტაბილურობა და პროგრესი იმ შემთხვევაშიც მიუღწეველი იქნება, თუ რუს ერს, უბრალოდ, ზურგს შევაქცევთ. ამ თვალსაზრისით აქტივობა ევროპამაც უნდა გამოავლინოს. უკეთესია თუ ეს ვაშინგტონის სათავეში მყოფ ახალ ადამიანთან ერთად განხორციელდება. უნდა დავეთანხმოთ მედვედევის სიტყვებსაც, რომ ლაპარაკია უზარმაზარ ტრანსატლანტიკური სივრცის შექმნაზე - ვანკუვერიდან ვლადივოსტოკამდე. ამასთანავე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იყო დრო, როდესაც მოსკოვი ცდილობდა, ევროპა და ამერიკა ერთმანეთისგან დაეშორებინა. ეს ძალიან დიდი ხნის წინათ იყო, თუმცა ალბათ სწორედ ამიტომაც არის აუცილებელი, რომ ის პერიოდი გავიხსენოთ.

ახალი მსოფლიო წყობის ჩამოყალიბებისას ევროპა ბევრად უფრო ძლიერ მოთამაშედ უნდა იქცეს. ის ტრანსატლანტიკური სივრცის არქიტექტორიც უნდა გახდეს. ამისთვის ევროპის პრეზიდენტისა და ევროპის საგარეო საქმეთა მინისტრის არსებობა საკმარისი არ იქნება, თუ ნებას და ევროკავშირის წევრი ყველა ქვეყნის ინტუიციას არ დავუმატებთ. რუსეთი ევროპის პარტნიორია? - ისინი ერთმანეთს სჭირდებიან.

*თარგმნა მარიკა იაშვილმა*

# გერმანიის პროკურატურამ კოვტუნის წინააღმდეგ აღძრული საქმე დახურა

*რუს ბიზნესმენ დიმიტრი კოვტუნს, რომელიც უსაფრთხოების ფედერალური სამსახურის ყოფილი აგენტის ალექსანდრ ლიტვინენკოს მკვლელობის თანამონაწილეობაში იყო ბრალდებული, ჩრდილოეთ გერმანიის ქალაქ ჰამბურგის პროკურატურამ ყველა ბრალდება მოუხსნა.*

ИТАР-ТАСС-ის ინფორმაციით, კოვტუნის ინტერესების დამცველმა ვოლფგანგ ფელოვმა კოვტუნის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმის დახურვის თაობაზე შეტყობინება ჰამბურგის პროკურატურისგან წერილობით მიიღო.

კოვტუნის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე გერმანიაში აღიძრა. იგი რადიოაქტიული ნივთიერებების არალეგალურ ბრუნვაში იყო ეჭვმიტანილი. ასევე ბრალად ედებოდა 2006 წელს ლონდონში, უსაფრთხოების ფედერალური სამსახურის ექსოფიცერის ალექსანდრე ლიტვინენკოს მკვლელობაში თანამონაწილეობა. ლიტვინენკოს გარდაცვალების შემდეგ, როგორც გერმანული პრესა წერდა, გერმანიაში, კოვტუნის სახლში, პოლონიუმ-210-ს კვალი აღმოაჩინეს, რომლითაც, ბრიტანული მხარის ვარაუდით, ლიტვინენკო მოწამლეს.

ანდრეი ლუგოვოის მსგავსად, კოვტუნი ლიტვინენკოს პირველ ნოემბერს ლონდონში, სასტუმრო Millennium-ში შეხვდა. კოვტუნი უარყოფს რაიმე სახის თანამონაწილეობას ლიტვინენკოს მკვლელობაში და ირწმუნება, რომ სხვის მიერ ჩადენილი დანაშაულის მსხვერპლია. ლიტვინენკოს გარდაცვალების შემდეგ გაირკვა, რომ პოლონიუმ-210-ით კოვტუნიც იყო მოწამლული. თუმცა, იგი რადიაქტიული ნივთიერების ზემოქმედებიდან სრულებით გამოჯანმრთელდა.

დიმიტრი კოვტუნი - სახელმწიფო უსაფრთხოების კომიტეტის ყოფილი ოფიცერი, ანდრეი ლუგოვოის საქმიანი პარტნიორი გახლდათ. კოვტუნმა 2008 წლის 24 ნოემბერს "ეხო მოსკვის" ეთერში განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საცხოვრებლად გერმანიაში გადავიდა. დღეს იგი გერმანიის მოქალაქეა. ოფიციალურად, ჰამბურგში კონსალტინგის ბიზნესით არის დაკავებული, რითაც დასავლეთის ქვეყნების წარმომადგენლებს, რუსულ ბაზარზე გასვლაში ეხმარება.

გერმანული მხარის გადაწყვეტილებას, მის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმის შეჩერების თაობაზე დიმიტრი კოვტუნმა სიმართლის ზეიმი უწოდა.

**"საქმე თეთრი ძაფით ინგლისში შეკერეს. ყოველთვის მჯეროდა, რომ სიმართლე გაიმარჯვებდა, როგორც მოხდა ანდრეი ლუგოვოისთან დაკავშირებით, რომელსაც ანალოგიური ბრალდებით დიდი ბრიტანეთის ხელისუფლება უპირისპირდებოდა,"** - განაცხადა მან.

მისივე ინფორმაციით, საქმის გამოსაძიებლად, გერმანიაში შეიქმნა სპეციალური ქვედანაყოფი სახელად "მესამე კაცი".

**"ეს მრავალრიცხოვანი ქვედანაყოფი, მთელი ამ ხნის განმავლობაში ეძებდა იმ მესამე კაცს, რომელიც, თითქოს, ჩემთან ნახეს გერმანიაში და რომელსაც ასევე ბრალდებოდა ლიტვინენკოს მკვლელობაში თანამონაწილეობა. რა შედეგამდეც მივიდა გამოძიება, ფაქტია. გერმანიის პროკურატურის გადაწყვეტილება, ჩემი და ლუგოვოის რეაბილიტაციის არა მხოლოდ პირველი ნაბიჯია, არამედ, იმ დიდ კედელს, რომელიც ჩვენ აგვიგეს, მთავარი ქვა გამოაცალა და ეს ყველაფერი ისე დაინგრევა, როგორც დაინგრა ბერლინის კედელი,"** - აცხადებს დიმიტრი კოვტუნი.

# გამოძიების ფედერალური ბიუროს წარმომადგენლებს უჩივიან

როგორც გაზეთი The New York Times წერს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე ამირ მეშალი გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტებს 2007 წელს უკანონოდ დაკავებასა და წამებაში ადანაშაულებს.

ამირ მეშალი ჯერ კენიის ტერიტორიაზე მდებარე ციხეში ჰყავდათ დაკავებული, შემდეგ კი სომალისა და ეთიოპიიის ციხეებში მოუწია სასჯელის მოხდა. როგორც მომჩივანი ირწმუნება, მას დაკითხვების დროს აშინებდნენ, რომ სასტიკად გაუსწორდებოდნენ.

ამირ მეშალის ადვოკატი მომხდარს წამების კვალიფიკაციას აძლევს და სასამართლოში ჩივის. თავად ფედერალურ ბიუროში ამ საკითხთან დაკავშირებით ჯერჯერობით კომენტარს არ აკეთებენ.

კენიაში მყოფი ამერიკის მოქალაქე ადგილობრივმა პოლიციამ დააკავა. დაკავებულს კი ამერიკელი ჯარისკაცები კითხავდნენ და "ალ-ქაიდასთან" კავშირში ადანაშაულებდნენ.

სხვათა შორის, ეს არ არის ამერიკული სპეცსამსახურების წარმომადგენლების მისამართით გამოთქმული პირველი ბრალდება. მიმდინარე წლის გაზაფხულზე დიდი ბრიტანეთის მოქალაქე ბინიამ მოჰამადიმ, რომელმაც 10 თვე გაატარა გუანტანამოს ციხეში, ამერიკის ექსპრეზიდენტ ჯორჯ ბუშისა და ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის ტონი ბლეერის წინააღმდეგ სასამართლო სასამართლოში სარჩელი შეიტანა. მოჰამადი ამტკიცებს, რომ წამების მსხვერპლი იყო და ამერიკელებს ის ბრიტანულმა სპეცსამსახურებმა გადასცეს. საქმე ისაა, რომ მასაც "ალ-ქაიდასთან" კავშირს აბრალებდნენ. იგი პაკისტანში 2002 წელს დააკავეს. თუმცა, ბრალდება ვერ დაუმტკიცეს, რის შემდეგაც გაათავისუფლეს. როგორც ბინიამ მოჰამადი ირწმუნება, გუანტანამოში მასთან საგამოძიებო მოქმედებებს ატარებდნენ გამოძიების ფედერალური ბიუროსა და ბრიტანული სპეცსამსახურის წარმომადგენლები.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ამტკიცებდა, რომ მოჰამადი, გუანტანამოში ყოფნისას უსაფუძვლო განცხადებებს აკეთებდა. ხოლო ბრიტანეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ კატეგორიულად უარყო მასთან რაიმე სახის კავშირი.

# ობამა "უმართავ მიწაზე"

***ისტორიის მანძილზე არასდროს ყოფილა, რომ დამპყრობელს ავღანეთის ტერიტორიაზე "გამარჯვება ეზეიმოს". ავღანელებს ისე არაფერი აერთიანებთ, როგორც მათ წმინდა მიწაზე შესული ჯარი.***



სხვადასხვა ტიპის "სამზარეულოს" ანალიტიკოსებმა უკვე დიდი ხანია, დაიწყეს საუბარი იმის შესახებ, რომ ავღანეთში გამარჯვებას ამერიკა ვერასდროს მიაღწევს, ვინიადან ეს ვერავინ მოახერხა: რუსებმაც კი, რომლებსაც ავღანეთი 9 წლის განმავლობაში ჰქონდათ ოკუპირებული. იქ 14000 ჯარისკაცი დაიღუპა, 35000 დაიჭრა და 1989 წელს სსრკ იძულებული გახდა, უკან გაბრუნებულიყო. დასავლეთის ლიდერები ამ წინასწარმეტყველებით "კასანდრას სტილში", ცხადია, აღშფოთებულები არიან. მათ მიაჩნიათ, რომ ამჯერად ყველაფერი სხვაგვარად იქნება. "ჩვენ არ ვართ საოკუპაციო არმია. ეს წინა შემთხვევებისგან განსხვავებული სიტუაციაა - სინამდვილეში, ჩვენ ვქმნით პირობებს, სადაც ავღანელების მართვის საშუალება ავღანეთის ხელისუფლებას ექნება- და არა უცხოეთის არმიას," - განაცხადა ბრიტანეთის პრემიერმა გორდონ ბრაუნმა.

ცხადია, ისტორიის ყველა დეტალი არ მეორდება. მაგალითად, ნატო არ იყენებს საბჭოთა კავშირის "გადამწვარი მიწის" ტაქტიკას, რომლის შედეგად მილიონი ადამიანი დაიღუპა და 7 მილიონი ადამიანი საცხოვრებელის გარეშე დარჩა. 1987 წელს საბჭოთა კავშირმა ავღანეთის სიდიდით მეორე ქალაქი ყანდაგარი მასირებული დაბომბვით მიწასთან გაასწორა. ამ დროს ქალაქის მოსახლეობა 200 000-დან 25 000-მდე შემცირდა. დასავლეთის მოტივი - "ალ კაიდას" განადგურება - გამართლებულია თავდაცვის მიზნებით და მას გაერო უჭერს მხარს.

მიუხედავად ამისა, ახლა, როგორც არასდროს, კოალიციას დამარცხების აჩრდილი დასდევს თან, საბჭოთა კავშირის მსგავსად. პრეზიდენტი ობამა, რომელიც ავღანეთში დამატებითი ჯარების გაგზავნის გადაწყვეტაზე მერყეობს, ზუსტად იმგვარ სიტუაციაში აღმოჩნდა, რომელშიც მიხეილ გორბაჩოვი, რომელიც ხელისუფლების სათავეში 1985 წლის მარტში მოვიდა. გენერალურმა მდივანმა მემკვიდრეობით მიიღო ზუსტად ასეთივე, სტაგნაციის მდგომარეობაში კონტრ-პარტიზანული კამპანია და თავიდან მანაც გადაწყვიტა დამატებითი ჯარების გაგზავნა. მთლიანობაში საბჭოთა კონტინგენტმა 108 800 ჯარისკაცი შეადგინა - ზუსტად ამდენივე გახდება ამერიკის კონტინგენტი, თუ ობამა გენერალ მაკკრისტალის მოთხოვნას დააკმაყოფილებს და ავღანეთში დამატებით 40 000 ამერიკელ სამხედროს გააგზავნის. 1985 წელს ამ ყველაფერს სასიკეთო არაფერი მოუტანია არც საბჭოთა კავშირისთვის, არც ავღანელებისთვის - ეს წელი ყველზე სისხლიანი აღმოჩნდა მთელი ომის განმავლობაში.

როგორც ცოტა ხნის წინ რუსეთის ელჩმა ავღანეთში ზამირ კაბულოვმა აღნიშნა: "რაც უფრო მეტი სამხედრო გაიგზავნება, მით მეტი პრობლემა შეიქმნება. თუ ეს ტენდენცია მართალია, როცა თქვენ 200 000 ჯარისკაცს ჩააყენებთ, მაშინ მთელი ავღანეთი თალიბების ხელში აღმოჩნდება". კაბულოვს, რომელიც ავღანეთში ოთხმოციანი წლებიდან დიპლომატად მუშაობს, სხვებზე უკეთ ესმის, რომ არაფერი ისე არ აერთიანებს ერთმანეთთან დაპირისპირებისკენ მიდრეკილ ავღანელებს, როგორც მათ წმინდა მიწაზე "ურწმუნოთა" არმიის არსებობა.

წინააღმდეგობის გამოცდილება, რომელიც საუკუნეების განმავლობაში განსაზღვრავადა ავღანელების თვითმყოფადობას, ამ ქვეყნის მოსახლეობის რელიგიის ნაწილი გახდა. თალიბების დაჯგუფების ერთ-ერთი მეთაური, ვინმე აბდულა აცხადებს: "ჩვენ ომის წინააღმდეგნი ვართ. მას მხოლოდ ნგრევა მოაქვს. თუმცა ჯიჰადი - სულ სხვა საქმეა. თქვენთვის, უცხოებისთვის, წინააღმდეგობის გაწევა ჩვენი მორალური ვალია. ჩვენ არ შევწყვეტთ ბრძოლას. განკითხვის დღეს ალაჰი ჩვენ იმას კი არ გვკითხავს: "რა გაგიკეთებია შენ შენი ქვეყნისათვის?" არამედ იმას: "იბრძოდი თუ არა საკუთარი რელიგიის დასაცავად?"

"ინდიპენდენტის" ჟურნალისტმა თალიბების ლიდერს ინტერვიუ ჯერ კიდევ 2007 წელს ჩამოართვა ვარდაკის პროვიციაში, ჩაკის მთიან რაიონში (ქაბულიდან, სულ რაღაც, ორმოცდაათიოდე კილომეტრში). ამ წელს იქ ამერიკელი მებრძოლების წინააღმდეგ სასტიკი ომი მიმდინარეობდა. მის კონტროლს თალიბები ახლაც აგრძელებენ. როგორც სხვა შემთხვევებში, მათ ძალიან ეხმარებათ ადგილობრივი ტოპოგრაფია. ავღანეთი არ ჰგავს მესოპოტამიას. ციცაბო მთებს შორის ზეგანი, სადაც აბდულაა გამაგრებული, წარმოადგენს "ტომარას", რომელსაც ერთი შესასვლელი აქვს. დაჟანგული ტანკების უამრავი ნარჩენი მიუთითებს, რომ არც რუსებს გამოუვიდათ ჩაკის გაწმენდა და დამორჩილება. აქ, ისევე როგორც გილმენდში, მეამბოხეები აგრძელებენ იმავე მეთოდების გამოყენებას და ჩასასაფრებლად იმავე ადგილებს იყენებენ, რომლებითაც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და ხანდახან ჯერ კიდევ 19 საუკუნეში ბრიტანელების წინააღმდეგ ბრძოლის დროს სარგებლობდნენ.

დასავლეთის საბრძოლო მასალის სიუხვე თალიბებს ხელს არ უშლით. საბჭოთა ჯარების საუკეთესო იარაღი იყო "მი-24" , რომელსაც მოჯაჰედები "შაიტან-არბოის" (ეშმაკის ურიკას) უწოდებდნენ და რომელსაც, ფაქტობრივად, ვერაფერს უხერხებდნენ, სანამ 1987 წელს ამერიკელებმა ავღანელები გადასატანი სარაკეტო კომპლექსებით "სტინგერებით" არ მოამარაგეს. ამის შემდეგ საბჭოთა კავშირმა 300 ვერტმფრენი დაკარგა. სხვათა შორის, 2009 წელს მტერმა მოახერხა შეიარაღებული ძალების პირველი "ჩინუკის" განადგურება.

სხვათა შორის, არც საბჭოთა სამხედროებს მიაჩნდათ თავი საოკუპაციო არმიად. ისინი ქვეყანაში 1979 წელს შევიდნენ ავღანეთის ხელისფლების სპეციალური და არაერთგზისი თხოვნით. მათ, ისევე როგორც ამერიკელებს, გააჩნდათ საკუთარი პოლიტიკა და ოპერაციის დასრულების სპეციალური სტრატეგია. 1986 წელს საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობით შეიქმნა ადგილობრივი შეიარაღებული ძალები, რომელიც ოფიციალური მონაცმებით 300 000 ადამიანზე მეტს ითვლიდა. სინამდვილეში, ამ ძალების საიმედოობაზე სერიოზული ეჭვები არსებობდა - ისევე როგორც ახლა არსებობს ეჭვები (მაგალითია ცოტა ხნის წინ ავღანელი პოლიციელის მიერ ხუთი ბრიტანელი სამხედროს მკვლელობა). ოთხმოციან წლებში რეკრუტები ავღანეთის არმიიდან ლამის იმაზე სწრაფად გარბოდნენ, ვიდრე მათ გაწვრთნას საბჭოთა არმია ასწრებდა - რაღაც მომენტში 32 000 წელიწადში.

ადგილობრივი ავღანელები ხშირად ვერ ხედავენ განსხვავებას ქვეყანაში საბჭოთა ჯარების შეჭრასა და ნატო-ს შეჭრას შორის. მრავალი წლის განმავლობაში "ჩიქენ-სთრით"-ის - ქაბულის მთავარი ტურისტული ქუჩის მაღაზიებში იყიდებოდა ხალიჩები, რომლებზეც ამოქარგული იყო "მი-24"-ები და საბჭოთა წარმოების "ბე-ტე-ერ"-ები. მათი "ჩონჩხებით", როგორც მოჯაჰედების "პიროსის გამარჯვების" სიმბოლოებით, კვალავ მრავლად არის მოფენილი ავღანეთი. ახლა ავღანური სუვენირები მორთულია "ჩინუკის" სურათებით და ჯავშანტრანსპორტიორებით, რომლებიც საშიშად ჰგავს ბრიტანულ "ვიკინგებს". ხალიჩების გამყიდველისთვის არაფერი იცვლება: ახალი ათწლეული - ახალი ომი.

იგივე ეხება თალიბებსაც. ავღანეთში ძლიერია ზეპირი გადმოცემის ტრადიცია და ეს დროს უცნაურად ტელესკოპურს ხდის: ავღანელებისთვის ყველაფერი ისე გამოიყურება, თითქოს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გუშინ აწარმოებდნენ ომს, ბრიტანელები კი მხოლოდ წინა კვირას გავიდნენ. "ჩემი ბაბუა ინგლისელებთან ბრძოლაში დაიღუპა. ბევრ ჩვენგანს ბრიტანელების წინააღმდეგ ბრძოლა დაუმთავრებელ საქმედ მიაჩნია," - განაცხადა აბდულამ.

ხანდახან ბრიტანელებსაც ასე ეჩვენებათ. 1929 წელს ბრიტანეთის სამხედრო საჰაერო ძალების 39 ესკადრილია რისალპურში პაკისტანის სასაზღვრო რაიონში იყო განლაგებული და აქედან გაფრინდნენ ვაზირისტანის დასაბომბად, სადაც იპის მეამბოხეთა მოუხელთებელ ლიდერ ფრაკირზე ნადირობდნენ. დღეს ათობით უპილოტო "ემ ქიუ-7 რიპერი" იმავე 39-ე ესკადრილიიდან იმავე ტერიტორიაზე მოქმედებს, თუნდაც მათ ნევადას ავიაბაზიდან მართავენ. ამჟამად ისინი ბინ-ლადენზე ნადირობენ. ზოგიერთი ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ უპილოტო თვითმფრინავებმა შესაძლოა, ომის მსვლელობაში გარდატეხა შეიტანონ და შესაძლოა ოპერაციის დასრულების დასავლური სტრატეგიის ნაწილი გახდეს, თუ მანქანები საზღვრებზე ხალხის ნაცვლად შეძლებენ წესრიგის დამყარებას. თუმცა, თუ რუსეთის და ბრიტანეთის მაგალითს გავითვალისწინებთ, ისეთ ქვეყანაში, როგორიც ავღანეთია, სამხედრო ტექნიკაზე დაყრდნობა დიდად არ ღირს.

*"ინდიპენდენტის" მიხედვით მოამზადა თამთა კახაძემ*

# ჩინეთი ამერიკას პროტექციონიზმზე უარის თქმისკენ მოუწოდებს

**მარიკა იაშვილი**

ამერიკისა და ჩინეთის ლიდერების ერთობლივ პრესკონფერენციაზე ჩინეთის პრეზიდენტმა განსაკუთრებული ყურადღება პროტექციონიზმზე გაამახვილა და განაცხადა, რომ ამ მოვლენას ორივე ქვეყანამ უნდა აარიდოს თავი. ხუ ძინტაოს თქმით, მისი ქვეყანა ამერიკასთან მომავალშიც გააგრძელებს კონსულტაციებს. ამ გზით ისინი ვაჭრობისა და ეკონომიკის სფეროში არსებული უთანხმოებების მოგვარებას შეეცდებიან.

პრესკონფერენცია ბარაკ ობამამ და ხუ ძინტაომ პეკინში დახურულ კარს მიღმა გამართული ორმხრივი შეხვედრის შემდეგ ჩაატარეს. ლიდერებმა ძირითადა ეკონომიკურ საკითხებზე, კლიმატურ ცვლილებებსა და ჩრდილოეთ კორეაში არსებულ ვითარებაზე ისაუბრეს. გარდა ამისა, მათ თავიანთი ქვეყნების ურთიერთობის ისტორია გააანალიზეს და ერის განვითარებაში განათლების როლის მნიშვნელობა აღნიშნეს.

**"ჩვენ გვჯერა, რომ ასეთი აქტიური დიალოგები არა მხოლოდ აშშ-სა და ჩინეთს, არამედ მთელ მსოფლიოს სჭირდება,"** - განაცხადა ამერიკის პრეზიდენტმა შეხვედრის დაწყების წინ. **"მე მომავალს ოპტიმიზმით ვუყურებ და სამომავლოდ ღრმა პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბების იმედი მაქვს,"** - ასეთი იყო ხუ ძინტაოს საპასუხო განცხადება.

ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ პრეზიდენტობის ვადის დასაწყისშივე ობამას მიერ ასეთი ვიზიტის განხორციელება ძალზე დადებითად მიიღო როგორც ჩინეთის ხელისუფლებამ, ასევე ქვეყნის მოსახლეობამაც. ბარაკ ობამასთან შეხვედრისას ჩინელმა ლიდერმა ყურადღება დაუთმო შანხაიში ახალგაზრდობის წინაშე აშშ-ს პრეზიდენტის გამოსვლას, რომელშიც ობამამ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებზე ისაუბრა და განაცხადა, რომ ყოველგვარ ცენზურას სასტიკად ეწინააღმდეგება. ობამამ გამოსვლაში აღნიშნა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია, რომ ინტერნეტი თითოეული ადამიანისთვის შეუზღუდავად ხელმისაწვდომი იყოს. (თუმცა მედიამ ცენზურა თვით ობამას სიტყვებზეც გაავრცელა და ამოჭრა საკმაოდ მოკლე და ზომიერი ფრაზა ცენზურის წინააღმდეგ და ინტერნეტის საყოველთაო აუცილებლობაზე. ობამას გამოსვლა მთლიანად მხოლოდ შანხაის ტელევიზიით გადაიცა, სრული ტექსტი სახელმწიფო სააგენტო "სინხუას" საიტზე დევს, მაგრამ საიტის რთული სტრუქტურის გამო ამ ფრაზამდე მიღწევა თითქმის შეუძლებელია. ამერიკის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ვებ-გვერდზე სრული ვიდეო და აუდიოვერსიები დევს, მაგრამ ჩინელებს მისი გახსნა არ შეუძლიათ).

ხუ ძინტაოს განცხადებით, შანხაიში შეხვედრამ "ცოცხალ" გარემოში ჩაიარა. პასუხად ბარაკ ობამამ აღნიშნა, რომ ბევრი გლობალური პრობლემის ეფექტიანად მოგვარებისთვის ჩინეთსა და ამერიკას შორის სტაბილურ ურთიერთობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს და ეს ნათელია მთელი მსოფლიოსთვის. ჩინეთის ხელმძღვანელთან შეხვედრის დასრულების შემდეგ ბარაკ ობამა ჩინეთის პარლამენტის თავმჯდომარე უ ბანგოს შეხვდა, რის შემდეგაც მაღალი რანგის სტუმრის პატივსაცემად ბანკეტი გაიმართა.

ოფიციალურ შეხვედრებს შორის ობამამ, რომელიც ჩინეთში მეუღლის გარეშე იმყოფებოდა, პეკინის ღირსშესანიშნაობები და ამერიკის საელჩო მოინახულა.

ამერიკელი პრეზიდენტი ჩინეთში სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში 8-დღიანი ტურნეს ფარგლებში ჩავიდა. ტურნეს დასკვნითი ნაწილი სამხრეთ კორეაში სტუმრობა იქნება.

# რევიუ

## გაზრდილი პრემიების მოლოდინში

### "ახალი ქართული პიესის" კონკურსი იწყება

თამარ კიკნაველიძე

ქართველი დრამატურგებისა და მთარგმნელების წასახალისებლად, ყოველწლიურად ტარდება კონკურსი, რომელსაც ტრადიციულად "მიხეილ თუმანიშვილის სახელობის თეატრალური ხელოვნების განვითარების ფონდი" აწყობს. ამის შესახებ გაზეთი "24 საათი" გასულ წელსაც წერდა. რითი გამოირჩევა წლევანდელი კონკურსი? ამის შესახებ ინფორმაცია ზემოთ ნახსენები ფონდის დამფუძნებელმა და პრეზიდენტმა - მანანა ანთაძემ მოგვაწოდა.



მისგან შევიტყვეთ, რომ კონკურსში, სახელწოდებით "ახალი ქართული პიესა", მონაწილეობის მისაღებად მსურველებმა პიესები (1 ელექტრონული ვერსია და 3 ნაბეჭდი ეგზემპლარი) 2009 წლის 20 დეკემბრიდან 30 დეკემბრამდე უნდა წარმოადგინონ. ეს პირობები კარგად არის ცნობილი მათთვის, რომლებიც მასში სისტემატურად მონაწილეობენ. მათ გასაგონად უნდა ითქვას, რომ წლევანდელი კონკურსი სიახლეებით გამოირჩევა და ყურადღებას ამაზე გავამახვილებთ.

თეატრალური ხელოვნების განვითარების ფონდი წელიწადში, როგორც წესი, ორ კონკურს აწყობს, ერთია "ახალი ქართული პიესა", ხოლო მეორე - "საუკეთესო თარგმანი", რომელიც თანამედროვე უცხოენოვანი დრამატურგიის ნიმუშების ქართულად თარგმნას ითვალისწინებს. უკანასკნელად "ახალი ქართული პიესის" კონკურსი ჩატარდა და ახლა მეორეს, ანუ "საუკეთესო თარგმანის" ჯერი იყო, მაგრამ უსახსრობის მიზეზით მისი ორგანიზება ვერ მოხერხდა. "სამაგიეროდ უფრო მასშტაბური იქნება ქართული პიესების კონკურსი, რომელიც საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერითა და სამხრეთ კავკასიაში ბრიტანეთის საბჭოს (დირექტორი პოლ დაბლდეი) დახმარების ხორციელდება", - გვითხრა მანანა ანთაძემ. მისგანვე შევიტყვეთ, რომ ამჯერად კონკურსანტების ვინაობა ანონიმური აღარ იქნება და ჟიურის გარდა, რომლის შემადგენლობაც ჯერჯერობით დაუზუსტებელია, პიესები დაიგზავნება ყველა თეატრში, რომლებიც ნამუშევრებს ათბალიანი სისტემით შეაფასებენ. ამასთან დაკავშირებით, მანანა ანთაძეს ვკითხეთ, თუ რატომ დაირღვა კონკურსანტთა ანონიმურობა და პიესების შეფასების პროცესს მასში თეატრების ჩართვა ხომ არ გაართულებდა, რაზეც მან გვიპასუხა: "ის ანონიმური აღარ იქნება, რადგანაც, ვფიქრობ, დადგა დრო, როდესაც ერთმანეთს უნდა ვენდოთ. ამას გარდა, ვიცი, რომ რეჟისორები და თეატრების წარმომადგენლები აქტიურად ეცნობიან იმ პიესებს, რომლებსაც ქართველი დრამატურგები ქმნიან, ამიტომაც გადავწყვიტე, რომ მათთვის საკონკურსო ნამუშევრები დამეგზავნა და შეფასების უფლებაც მიმეცა. ახალ პიესებს სახალხო თეატრებსაც კი დავუგზავნი, დანარჩენი უკვე მათი საქმეა... მინდა, რომ ამ პროცესში ჩაერთონ დაწესებულებები, რომლებშიც ეს ნაწარმოებები უნდა დაიდგას".

ავტორებმა პიესებს, ვინაობასთან ერთად, საკონტაქტო ტელეფონებიც უნდა დაურთონ. პიესების რაოდენობა შეზღუდული არ არის. პირობა, რომლის დაცვას კონკურსის ორგანიზატორები ხაზგასმით მოითხოვენ, არის ის, რომ პიესა უნდა იყოს სრულიად ახალი, გამოუქვეყნებელი და დაუდგმელი!

წლევანდელ კონკურსში ფულადი პრემიებიც მაღალი იქნება. რამდენი ერგებათ გამარჯვებულებს? პირველი პრემიის მფლობელი მიიღებს 3 000 ლარს, მეორე პრემიის - 2 000 ლარს, ხოლო მესამე პრემიის - 1 000 ლარს. დაჯილდოება გაიმართება თებერვლის ბოლოს, ჩატარდება, უკვე ტრადიციად ქცეული, "პიესების კითხვა", გამარჯვებული ნამუშევრები კი დაიდგმება. ამასთან, შევიტყვეთ, რომ წლევანდელი კონკურსი ნაწილია დიდი პროექტისა, რომელსაც თუმანიშვილის ფონდი ბრიტანეთის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს თეატრ Royal Court-თან ერთად განახორციელებს. საქართველოში, სავარაუდოდ, 2010 წლის მარტში ჩამოვა Royal Court-ის უცხოეთთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ქ-ნი ელიზ დოჯსონი, რომელიც მსოფლიოს 35 ქვეყანასთან თანამშრომლობს.

"ჩვენი თანამშრომლობა ქართული დრამატურგიის საერთაშორისო ბიოგრაფიის დასაწყისად მესახება და აქამდე, თუ ეს ცალკეულ შემთხვევებში, ან კერძო ინიციატივების შედეგად ხდებოდა, ახლა იმედია სისტემატურ ხასიათს მიიღებს და პროფესიულ დონეზე თარგმნილ დრამატურგიასაც მოგვცემს. ეს კი ხელს შეუწყობს ეროვნული დრამატურგიის განვითარებას, რომლის გარეშეც ქართული თეატრის არსებობა წარმოუდგენელია", - გვითხრა მანანა ანთაძემ, რომელიც კონკურსანტებისგან პიესებს თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრში (მისამართი: ალმაშენებლის 164) ელის.

## ჭაბუა ამირეჯიბს

**დღეს გამოჩენილი ქართველი მწერლის, ჭაბუა ამირეჯიბის დაბადების დღეა. ამ თარიღთან დაკავშირებით რედაქციაში რამდენიმე ქართველი ხელოვანისა და სახელოვნებო გაერთიანების წერილი შემოვიდა. გაზეთი "24 საათი" უერთდება მილოცვებს და ზემოაღნიშნულ წერილებსაც წარუდგენს მკითხველს:**



**პაატა ბურჭულაძე:** "ქართველი ერი მართლაც ბედნიერია, რადგან იცის რა არის რაინდობა, მეგობრობა, ერთმანეთის გატანა და სიყვარული. საქართველო არის ქვეყანა, სადაც ამ ფასეულობებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ და, საბედნიეროდ, ჩვენს გვერდით ყოველთვის არიან პიროვნებები, რომლებიც ღირსეული ცხოვრების მაგალითს გვაძლევენ. სწორედ ასეთი პიროვნება ბრძანდებით თქვენ, სრულიად საქართველოსთვის მისაბაძი თქვენი განვლილი ცხოვრებითა და შემოქმედებით. თქვენ გაქვთ კიდევ ერთი გამორჩეული თვისება - ეს არის უბერებელი სული და ახალგაზრდული შემართება. გულწრფელ მადლობას გიხდით ფონდ "იავნანას" თანადგომისათვის, თქვენ იყავით ერთ-ერთი პირველი, ვინც მთელ საქართველოს მოუწოდა გაერთიანებულიყო სიკეთის გარშემო და დახმარებოდა მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს.

თქვენ ნამდვილი ქართული მწერლობის პატრიარქი და ყველა ჩვენგანისათვის უსაყვარლესი პიროვნება ბრძანდებით, ვის ეპოქაშიც ცხოვრება დიდი პატივია ნებისმიერი ქართველისათვის. მეამაყება, რომ ვარ თქვენი თანამედროვე და მაქვს პატივი კიდევ ერთხელ დაგიდასტუროთ ჩემი პატივისცემა. გულითადად გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ჯანმრთელობას, მხნეობასა და დიდხანს სიცოცხლეს. თქვენი პაატაა ბურჭულაძე."

***ბარსელონა, 18 ნოემბერი***

**გიგა ლორთქიფანიძე:** "დიდი ქართველი მწერლის ჭაბუა ამირეჯიბის ცხოვრება და მოღვაწეობა ბრწყინვალე მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა ემსახურო შენს სამშობლოს, ხალხს და ხელოვნებას.

მან ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ უკომპრომისო ბრძოლა გამოუცხადა კომუნისტურ რეჟიმს. დაახლოებით 20 წელი გაუძლო დაუნდობელი სისტემის ბრჭყალებს - ციხე, გადასახლება, ტანჯვა-წამება, გაუგონარი გამბედაობა, რამდენიმე გაქცევა იმ ჯოჯოხეთიდან და მაინც შეძლო შეენარჩუნებინა სიყვარული ადამიანებისადმი, სამშობლოსადმი, შეექმნა მსოფლიო მნიშვნელობის შედევრები.

ამაზე დიდი ბედნიერება თუ შეიძლება შეხვდეს რეჟისორს, რაც მე მხვდა წილად, რომ გადამეღო ფილმი მისი უკვდავი რომანის - "დათა თუთაშხიას" მიხედვით.

ჭაბუა ამირეჯიბმა ისეთი გალერეა შექმნა ბრწყინვალე სახეებისა, რომ ისინი თითქოს თვითონ პოულობდნენ ადეკვატურ შემსრულებლებს. სამი წელი, რომლის განმავლობაშიც ჩვენ ამ ფილმზე ვმუშაობდით, უბედნიერესი წლები იყო დამდგმელი ჯგუფისათვის და მსახიობებისთვის.

მადლობა ბატონო ჭაბუა, რომ ეს ბედნიერება გვარგუნე.

მადლობა, რომ საშუალება მოგვეცით ვიცხოვროთ თქვენს გვერდით.

ვბედავ გაგახსენოთ მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენ თვითონ გაქვთ ნათქვამი: "ადამიანი მხოლოდ მაშინ წავა ამ ქვეყნიდან, როდესაც აღარაფერი ექნება სათქმელი თავისი ხალხისთვის". თქვენ ჯერ კიდევ ბევრი გაქვთ სათქმელი. ამიტომ გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს და ბედნიერებას.

თქვენი უმცროსი ძმა და მეგობარი 82 წლის გიგა ლორთქიფანიძე."

**კომპოზიტორთა კავშირი:** "ძვირფასო ბატონო ჭაბუა! კომპოზიტორთა კავშირი და საქართველოს მუსიკალური საზოგადოება გილოცავთ დიდ მწერალსა და მოქალაქეს დაბადების დღეს. გისურვებთ ყველაფერ საუკეთესოს, დიდხანს სიცოცხლეს ჩვენი ერის სასიკეთოდ".

**საქართველოს მწერალთა კავშირი:** "სულ ახლახანს დავემშვიდობეთ მეოცე საუკუნეს, ისტორიის ფურცლებზე გადაინაცვლა ათასი ქარტეხილებით აღსავსე საუკუნემ, პოეტმა შეღამებათა საუკუნე რომ უწოდა.

გაივლის ხანი და როდესაც ჩვენი შორეული შთამომავალი შეკითხვით მიმართავს ამ საუკუნის საქართველოს, თუ რა შესძინა მან ცივილიზებულ სამყაროს, რითი გაამდიდრა მსოფლიო მწერლობა და ხელოვნება, რა სახელები შემატა კაცობრიობას, იმ მცირეთა შორის, ვისი სახელებითაც ჭეშმარიტად შეგვეძლება თავის მოწონება, უეჭველად დასახელდება ბატონი ჭაბუა ამირეჯიბი და მისი მემკვიდრეობა.

ჭაბუა ამირეჯიბი - მწერალი და პიროვნება, რომელიც ამართლებს ამირეჯიბთა საგვარეულო გერბზე გამოსახულ გოლგოთაზე აღმართულ ჯვარს, სიმბოლოს რომ წარმოადგენს სამშობლოსთვის, სარწმუნოებისთვის მოწამებრივ თავგანწირვას.

დიახაც რომ ასეა - ჭაბუა ამირეჯიბის ცხოვრება სამშობლოსთვის მსახურების ერთი უბადლო მაგალითია, სამშობლოსი, რომელსაც შესწირა ყველაფერი - საკუთარი ახალგაზრდობა, ოცნებები და ზმანებანი. დაუფიქრებლად შესწირა გმირი ვაჟიშვილი, რადგანაც იცის, რომ ერთადერთი ჭეშმარიტება სამშობლოა და მხოლოდ მისთვის ღირს სიცოცხლეც და სიკვდილიც.

სამშობლოს უძღვნა საკუთარი სულიერი ღალადისიც, სწორუპოვარი პროზა, რომელიც მკითხველს ბიბლიური სიბრძნით ხიბლავს, მან არა მარტო გაამდიდრა ქართული მწერლობა, ისეთი შედევრებით, როგორიცაა "დათა თუთაშხია", "გორა მბორგალი", "გიორგი ბრწყინვალე", არამედ ჩვენი ეროვნული მწერლობა განვითარების ახალ საფეხურზე აიყვანა.

საქვეყნოდ ცნობილია, რომ მწერალია არა ის, ვისაც საინტერესო ცხოვრებით უცხოვრია, ვისაც ჩვეულებრივ ცხოვრებაშიც დაუნახავს ეპოქისა და დროის ტკივილები. ჭაბუა სწორედ ამ იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს. მას რომ უნახავს, მას რომ გამოუცდია, მას რომ გაუძლია, არა თუ ერთსა და ორს, არამედ მრავალ შემოქმედს ეყოფოდა.

მრავალჟამიერ ბატონო ჭაბუა, დიდო მწერალო, დიდო მამულიშვილო, დიდო ადამიანო!"




**18 ნოემბერი**

**თეატრი**

**შოთა რუსთაველის თეატრი**
ექსპერიმენტული სცენა
"ყოფილების სარეცელი"
რეჟისორი ნინო ლიპარტიანი
დასაწყისი: 19.45

**კოტე მარჯანიშვილის თეატრი**
თეატრი სხვენში
პრემიერა
"სიყვარულის ანატომია"
დასაწყისი: 20:00

**სანდრო ახმეტელის თეატრი**
სოხუმის თეატრის სპექტაკლი
"ადრენალინი"
დასაწყისი: 18.00

**მუსიკა**

**კონსერვატორიის დიდი დარბაზი**
"პირველი სიყვარული"
კონცერტი ეძღვნება ოთარ თაქთაქიშვილის დაბადებიდან 85 წლისთავს
დასაწყისი: 18.00

**კინო**

**რუსთაველი**
"2012"
დასაწყისი: 13.00; 16.00; 17.30; 19.00; 20.30; 22.00;
"გემრიელი ღრუბლები და მარმელადის წვიმა"
დასაწყისი: 12.00; 14.00; 16.00; 18.00; 20.00;
"ყველაფერი კარგად იქნება"
დასაწყისი: 12:15; 14:15; 20:15;
"თბილისური Love Story"
დასაწყისი: 20.15;
"კოკო შანელი"
დასაწყისი: 22.00;
"გაღმა ნაპირი"
დასაწყისი: 12.30; 14.30; 16.30; 18.30;
"ჯაყოს ხიზნები"
დასაწყისი: 12.00; 14.00; 16.00; 22.15;

## ზარატუსტრას ჟამი

19 ნოემბერს, 19:45 საათზე, რუსთაველის თეატრის დიდ სცენაზე გათამაშდება წარმოდგენა, რომელსაც ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის დრატული თეატრი გთავაზობთ.

საგასტროლოდ შერჩეულია სპექტაკლი, რომლის პრემიერაც 2009 წლის 26 მაისს შედგა. დრამატურგ რეზო კლდიაშვილის მიერ ფ. ნიცშეს ნაწარმოების მიხედვით დაწერილი "ზარატუსტრას ჟამი" ზუგდიდის თეატრის მმართველმა და მთავარმა რეჟისორმა ირაკლი გოგიამ განახორციელა. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენაში მონაწილეობს თავად დრამატურგი, რაც ქართულ სინამდვილეში უპრეცენდენტო შემთხვევაა.

"ზარატუსტრას ჟამი" ტრანსფორმირებულია სცენაზე და ეხმაურება თემებს, რომლებიც მარადიულია და დღესაც გვაწუხებს. რეზო კლდიაშვილის აზრით, მისასალმებელია, რომ სწორედ ზუგდიდის თეატრის რეჟისორი შეეჭიდა სპექტაკლს, რომლითაც საქართველოში "აზრის თეატრი" ყალიბდება. "ჩვენი მიზანია აზრის ცეცხლი მივიტანოთ მაყურებლამდე, რათა ხალხმა ნათლად შეიგრძნოს სიტყვის ძალა", - აცხადებს დრამატურგი, რომელიც რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრებთან თანამშრომლობს. მის სახელთანაა დაკავშირებული სპექტაკლები: "საპოვნელა", "შორაპნელი ქალბატონები", "იადონას თეატრი", "მარტოობის ბინადარი". აქტიურად თანამშრომლობდა სოფიკო ჭიაურელის სახელობის ერთი მსახიობის თეატრთან, მონაწილეობდა ჰოლანდიურ-გერმანულ-ქართულ პროექტში "სუფრა", რომლის პრემიერაც 2003 წელს ბერლინსა და ამსტერდამში შედგა.

სპექტაკლში ზუგდიდის თეატრის თითქმის მთელი შემოქმედებითი დასია დაკავებული, მათ შორის: გოგი გუგუჩია, გიგა კიტია, ზურაბ ლაშხია, ნანა ბუკია ნათია გუდაძე, მალხაზ მესხია, მარინა დარასელია და სხვები. ისინი ზუგდიდის თეატრში განხორციელებულ ექსპერიმენტს შემოგვთავაზებენ.

# ერთად შევხვდეთ 2013 წელს

## მაიას ტომის კალენდარი - კარგი რეკლამა ფილმისთვის

ია ვეკუა




სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის უმაღლესი წერტილი დრაკონის მთების ერთ-ერთი მწვერვალი ნჯესუტია. მისი სიმაღლე ზღვის დონიდან 3408 მეტრია ანუ არაფერი განსაკუთრებული - კავკასიის მთებში ასეთი სიმაღლის მწვერვალი უამრავია. თუმცა დადგება დრო, როდესაც დრაკონის მთები დედამიწის უმაღლესი წერტილი იქნება, მასთან ერთად ამაღლდება მთელი აფრიკის კონტინენტიც - ადგილი, რომელიც ცივილიზაციის ახალ კერად იქცევა, სწორედ აქ დაიწყება ახალი წელთაღრიცხვა, სხვადასხვა ერები კი ერთიანი სახელმწიფოს შექმნას დაიწყებენ - ეს ყველაფერი კი ცხადია მხოლოდ ფანტაზიის ნაყოფია, ნაყოფის კონკრეტული სახელწოდება კი "2012".

ფილმი, რომელიც დიდ ეკრანზე გამოსვლამდე იქცა მოვლენად, არა მხოლოდ მსოფლიო, არამედ ქართველი მაყურებლის რეკორდულმა რაოდენობამაც ნახა. ეს ნამდვილად საინტერესოა, რადგან განსაკუთრებული "გემოვნების" მქონე ქართველი მაყურებელი, რატომღაც მიიჩნევს, რომ კინოთეატრში დროის დახარჯვის ნაცვლად, ჯობს ფილმი რომელიმე საიტიდან გადმოწერილი საყველპურო ხარისხით ნახოს. თუმცა საკმარისია, ახალ ფილმს რამდენიმე სატელევიზიო სიუჟეტი, სკანდალის მარცვალი და ისტერიკანარევი განწყობა ახლდეს, რომ კინოთეატრების მფლობელებს შეუძლიათ მშვიდად იძინონ - მაყურებელი იმაზე მეტი ეყოლებათ, ვიდრე რამდენიმე თვის განმავლობაში ერთად. ასე მოხდა "და ვინჩის კოდისა" და "ქრისტეს ვნებანის" შემთხვევაში, ასე ხდება ავთო ვარსიმაშვილის ფილმების გამოსვლისას და ასე მოხდა "2012-თან" დაკავშირებითაც. გაქირავების პირველ კვირას ფილმისადმი ისტერიკამ უმაღლეს ნიშნულს მიაღწია, შაბათ-კვირას კი "რუსთაველისა" და "ამირანის" სალაროების მისადგომებთან გაწბილებული მაყურებელი მზად იყო, ნაძალადევი-სანზონის მიჯნაზე მდებარე "საქართველოშიც" მისულიყო, ოღონდ საკუთარი თვალით და რაც მთავარია, სხვაზე ადრე ენახა ის, რისი ნახვაც რეალობაში სულაც არ სურს.

თუნდაც ის ძალიან სასაცილო ფაქტი, რომ "2012-ს" შესვენებით ანუ ანტრაქტით აჩვენებენ, უკვე მიანიშნებს, რომ ხალხი აქ არა ფილმის სანახავად (კინოს მოყვარულისთვის ფილმის ქრონომეტრაჟს მნიშვნელობა ნამდვილად არ აქვს), არამედ ზოგადი ისტერიკის გასაზიარებლად მოდის, შესვენებაზე კი "კაპლის" მიღებისა და სიგარეტით დარდის გაქარვების საშუალება ეძლევა. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის, რომ დარბაზის უმეტესობა ზომბირებული ზის და მხოლოდ იშვიათი გამონაკლისები გამოხატავენ აღტაცებას, როდესაც ეკრანზე შთამბეჭდავი სპეცეფექტებით გაკეთებულ სცენას დაინახავენ.

რონალდ ემერიჰის ფილმისადმი ასეთი დამოკიდებულების მიზეზი ცხადია ის ფაქტიცაა, რომლის მიხედვითაც 2012 წლის 21 დეკემბერს დედამიწაზე მეორედ მოსვლა თუ რაღაც მსგავსი იქნება (თუმცა რამდენადაა ეს ფაქტი, ცხადია ამას მხოლოდ აღნიშნული თარიღის დადგომისას შევიტყობთ). საქმე მაიას ტომის მიერ შედგენილი კალენდარია, რომელიც დასაბამს ჩვ.წ.აღ-მდე 3113 წლის 13 აგვისტოს იღებს და 2012 წელს სრულდება. სწორედ მაშინ დამთავრდება ერთი და დასაბამს აიღებს მეორე ციკლი. თურმე დაახლოებით იმავეს იმეორებს შუმერების, ახალ ზელანდიელი მაორების და სხვა ძველი ხალხების მიერ დატოვებული დაშიფრული ტექსტები. თუმცა ყველაზე ზუსტი მაინც მაიას ტომის კალენდარია, რომელიც ადასტურებს, რომ 2012 წლის 21 დეკემბრის 11 საათსა და 11 წუთზე მოხდება პლანეტების უნიკალური აღლუმი, რომლის უნიკალურობაც იმაში მდგომარეობს, რომ მასში არა მხოლოდ მზის სისტემის, არამედ სხვა გალაქტიკების პლანეტებიც ჩაერთვებიან. ეს იქნება პირველი აღლუმი უკანასკნელი 26 ათასი წლის განმავლობაში და როგორც ხატოვნად ამბობენ ხოლმე, შეიქმნება სანახაობა, თითქოს აპოკალიფსის საათის ისრები ერთმანეთს გაუსწორდნენ... იმავე მაიას ტომის გათვლებით, სამყაროს ყოველი ციკლის დასრულება ცივილიზაციის სრულ განადგურებას გამოიწვევს, დედამიწის ღერძის მდგომარეობა შეიცვლება, კონტინენტები და მასთან ერთად პოლუსები ადგილსა და ფორმას შეიცვლიან, რაც კლიმატის სრულ ტრანსფორმაციასაც განაპირობებს. თუმცა არსებობს ნაკლებად სკეპტიკური და მეცნიერულად გაცილებით მყარად დასაბუთებული აზრიც, რომ მოხდება მხოლოდ სამყაროს განახლება, დედამიწაზე ახალი, განწმენდისა და გასხივოსნების ერის დასაწყისი და ეს სულაც არ ნიშნავს, რომ კაცობრიობა და ყველაფერი ცოცხალი განადგურდება.

მოდით, ცოტა ხნით მაიას ტომების გათვლებს და მის საწინააღმდეგო მეცნიერულ არგუმენტებს თავი დავანებოთ, რადგან მსურს ლიტერატურული წინასწარმეტყველების შესახებ გაუწყოთ. "ოდა წინათგრძნობას" დავით-დეფი გოგიბედაშვილმა 2006 წელს დაწერა (ლექსი შესულია მის კრებულში "იქ"), რომლის ამონარიდსაც აქვე მოგიყვანთ:

*"ზუსტ თარიღს გეტყვი, სამი*
*დღე მიხმობს,*
*შენთვის მომიწევს მოცდა, არ*
*ამცდე,*
*ცას დეკემბერი თავზე*
*დაიმხობს*
*ოცდაერთიდან ოცდასამამდე.*
*შენმა მაცნემ კი პირობა*
*მომცა,*
*ზღვის წერილები ყელს ვანდო*
*ბოთლის,*
*ბოთლი ნაპირებს იპოვნის,*
*როცა*
*მზე ორი ათას ცამეტ წელს*
*მოთვლის."*

როგორც ხედავთ, ბოლომდე არც დეფიმ გაგვწირა - ის მოსალოდნელი კატაკლიზმის პრაქტიკულად ზუსტ თარიღს ასახელებს, მაგრამ მომდევნო წლის დადგომასაც არ უარყოფს. ასე რომ, მშვიდად დაველოდოთ 2012 წლის ლონდონის ოლიმპიადას და ევროპის ჩემპიონატს ფეხბურთში, მანამდე კი ფილმს მივუბრუნდეთ.

როგორც ჩანს, 2012 წელთან დაკავშირებულ ამბებში ბოლომდე ვერც რონალდ ემერიჰი გაერკვა, ან სულაც არ მოისურვა გარკვევა, ამიტომ ადგა და რეკლამისთვის კარგად გამოსადეგი თარიღი 12.21.12 (ამერიკაში ჯერ თვე იწერება, შემდეგ რიცხვი) ახალი ბლოკბასტერის შესაქმნელად გამოიყენა, რასაც ძალიან კარგად გაართვა თავი. "2012" უდავოდ სანახაობრივი ნამუშევარია, უხვი სპეცეფექტებით, სუპერ დაძაბული სცენებით, მასშტაბური ნგრევებითა და ცხადია, იმედის ნაპერწკლებით. სწორედ ფილმის ყურებისას ხვდები, რომ ადამიანის მთავარი მტერი თავად ადამიანია და არა მაიას ტომის კალენდარში წითლად აღნიშნული თარიღი. ეს კარგად ჩანს "რჩეულთათვის" აგებულ კიდობნებში ადგილების გადანაწილების, "მწვანე ბილეთიანი" მგზავრებისა და "ჩვეულებრივი" ადამიანების ურთიერთობის სცენებში. ერთი საინტერესო დეტალიც: როდესაც ვიკითხე, ქართველებიდან ვინ უნდა მოხვედრილიყო კიდობანში, ვინ უფრო იმსახურებდა ასეთ პატივს, სამიდან ორმა კახი კალაძე დაასახელა... რა კარგად ვართ!

ზემოთ მოყვანილი ფაქტები რომ არა, ემერიჰის მორიგი ნამუშევარიც ისეთივე გაწონასწორებული სიმშვიდით ჩაივლიდა, როგორც ეს მისი სხვა ფილმების შემთხვევაში მოხდა. მაგალითად "დამოუკიდებლობის დღეში" დედამიწას უცხოპლანეტელები შემოესევიან და თავინთი მძლავრი იარაღით მსოფლიოს უდიდეს ქალაქებს: ვაშინგტონს, პარიზს, ლონდონს, პეკინს, დელის და მილიონობით ადამიანს რამდენიმე წამში ანადგურებენ. ან სულაც "დღე ხვალის შემდეგ" გაიხსენეთ - აქ ბუნებრივი კატაკლიზმები დედამიწას უსიცოცხლო, ყინულით დაფარულ პლანეტად აქცევს, რის დროსაც იმაზე ნაკლები ადამიანი გადარჩება, ვიდრე "2012-ში". კაცობრიობის განადგურებაზეა ჯეიმს კამერონის "ტერმინატორი", ფრენსის ლოურენსის "მე ლეგენდა", დენი ბოილის "28 დღის შემდეგ" და უამრავი სხვა. ყველაზე საშინელ ისტორიას კი მაინც ალფონსო კუარონი მოგვითხრობს "კაცობრიობის პირმშოში". თუ სხვა ფილმებში დედამიწაზე სიცოცხლე რამდენიმე წუთის ან დღის განმავლობაში ნადგურდება, აქ ეს პროცესი წლების განმავლობაში, კაცობრიობის თვალწინ მიმდინარეობს - მიზეზი ისაა, რომ ადამიანები გამრავლებას ველარ ახერხებენ, ხოლო ფილმი დედამიწის ყველაზე ახალგაზრდა მაცხოვრებლის, 18 წლის ბიჭუნა დიეგოს მკვლელობით იწყება... ასე რომ, ვიცოცხლოთ, გავმრავლდეთ და ერთად შევხდეთ 2013 წლის დადგომას!..

# გარეჯის მხატვრობის მემატიანე

## გამოთხოვება ანელი ვოლსკაიასთან

ყველანი ვიცნობთ, ალბათ, ადამიანებს, უვისოდაც - მათი დამსახურებისა და გამოხატული ინდივიდურობის გამო - ჩვენი სანათესაო თუ სანაცნობო ვერ წარმოგვიდგენია. ქართველი ხელოვნების ისტორიკოსებისთვის ერთი ასეთ, მუდმივ და აუცილებელ თანმდევ პიროვნებათაგანი უდაოდ ქალბატონი ანელი ვოლსკაია იყო. იყოო... არადა, როგორ არ უხდება ნამყო ქ-ნ ანელის, ვისაც, ასე გვეჩვენებოდა, დრო ვერ ეკარება, ვერც მოძრაობის სიმარჯვეს აკლებს და ვერც სიცოცხლის ხალისს...

ანელი ვოლსკაიას ყველა იცნობს, ვინც კი ქართულ ხელოვნებათმეცნიერებას გაჰკარებია; მისი ნაშრომების გარეშე ვერც შუასაუკუნოვან ქვისმქანდაკებლობასა და კედლის მხატვრობაზე დაწერ რასმე და ვერც XX საუკუნის ფერწერასა და გრაფიკაზე. ხელობას ის 1940-იან წლებში ეუფლებოდა, იმ ურთულეს დროში, როდესაც გარეშე პირობები მძიმეზე მძიმე იყო და მაინც, ყველაფრის მიუხედავად, დიდნიჭიერი და ზნესრული ადამიანები აყალიბებდნენ სამეცნიერო სკოლებს და ხელოვნების ღირსშესანიშნავ ნაწარმოებებს ქმნიდნენ. ქ-ნ ანელის მასწავლებლებიც სწორედაც უთვალსაჩინოთაგანნი იყვნენ - ქართული ხელოვნებათმცოდნეობის ფუძემდებელი გიორგი ჩუბინაშვილი და მისი, მართლაცდა, თანამოსაგრები - რენე შმერლინგი და თინათინ ვირსალაძე. მათ დიახაც ბრძოლა უწევდათ - იმათი მოგერიებაც, ვინც ჩვენს ხელოვნებას აკნინებდა და იმათიც, ვინც "იდეური" მოსაზრებებით ქართული სახელოვნებათმცოდნეო სკოლის განადგურებას ლამობდა. ქ-ნი ანელიც ადრევე აღმოჩნდა ამ თავსმოხვეული "ომის" "წინა ხაზზე" - ჯერ კიდევ დამწყებ მკვლევარს, მას 1952 წელს პაექრობაში მონაწილეობა მოუხდა, რომელიც, თუ არა ჩვენი ხელოვნების ისტორიკოსების თავდადება და ბ-ნი ნიკო ბერძენიშვილის მხარდაჭერა, შეიძლებოდა საქართველოში ამ დარგისთვის საბედისწერო გამხდარიყო.

საიმდროოოდ ა. ვოლსკაია უკვე მეცნიერთა იმ მჭიდროდ შეკავშირებული ჯგუფის წევრი გამხდარიყო, რომელსაც მიზნად ჰქონდა, რაგინდარა ვითარებაში გამოერკვია ქართული სახვითი ხელოვნების ისტორიული გზები, მისი მონაპოვარნი და თავისებურებანი. პირველად ქ-ნი ანელი ქართულ რელიეფებს სწავლობს - შიომღვიმის მონასტერში დაცულ XI საუკუნის კანკელსა და VII საუკუნის ფილას, ოდესღაც წმ. იოანე ზედაზნელის საფლავზე აღმართულს. მაგრამ მალევე მისი კვლევის საგანი, ძირითადად, შუა საუკუნეების მოხატულობანი ხდება (თუმცა არც ქანდაკება გამქრალა მისი თვალსაწიერიდან - ბოლო წლებში მან საფარის სახელგანთქმული, XI საუკუნის კანკელი დაამუშავა). თავიდან მეგობრებთანა და თანამოაზრეებთან, ქალბატონებთან გაიანე ალიბეგაშვილთან და ნათელა ალადაშვილთან ერთად, ქ-ნი ანელი სვანურ კედლის ფერწერას ულრმავდება. ცოტა ხანში გამოდის კიდეც მათი ერთობლივი მონოგრაფია XI-XII საუკუნეების მიჯნის დიდი ხელოვანის, თევდორე "მეფის მხატვრის" შესახებ, მოგვიანებით კი მათივე წიგნი სვანეთის ფერწერულ სკოლაზე (ჯერაც არ დასტამბულა 25 წლის წინ ქ-ების ნათელას, გაიანეს და ანელის მონაწილეობით დაწერილი მიმოხილვითი ნაშრომი სვანეთის კულტურის დანატოვარზე). საგანგებო ნაშრომი, ქ-ნ ნათელასთან ერთად, უძღვნა მან სვანეთის საფასადო მხატვრობას. ქ-ნ ანელის ამა თუ იმ ძეგლზე (მაგ., ადიშის წმ. გიორგის ფრესკებზე) ცალკეც უმუშავია, მაგრამ 1960-იანი წლების ბოლოსკენ ის გარეჯის მრავალმთის მხატვრობათა შესწავლას ჰკიდებს ხელს. რასაკვირველია, ა. ვოლსკაიას საკვლევი მარტოოდენ ამით არ ამოიწურება - აქვს შრომები ჩვენში "აღჩვილებული ღმრთისმშობლის" ქართულ მაგალითებსა და წმ. 13 ასურელ მამათა იკონოგრაფიაზე, თანაავტორთაგანია სახელოვანი კურტ ვაიტცმანის თაოსნობით დაბეჭდილი დიდტანიანი "ხატები"-სა და ქართველ ავტორთა ჯგუფის უცხოენოვანი გამოცემისა "ქართული ხელოვნების საგანძური". მაგრამ უპირატესი მისი საფიქრალი - სულ ბოლო დღემდე - მაინც გარეჯაა - აქაურ ფერწერულ ანსამბლებს მოიცავს მისი, სადოქტორო დისერტაციად დაცული, "შუა საუკუნეების ქართული სატრაპეზოების მოხატულობანი", აქვს მას მთელი წყება წერილებისა მთლიანობაში გარეჯულ მხატვრულ ტრადიციასა თუ ცალკეულ იქაურ მოხატულობებზე, უწინარესად, ე.წ. "საბერეებისა" (IX-X სს.) და სხვ. შარშან დაისტამბა მისი ხელმძღვანელობა-თანამშრომლობით მომზადებული ალბომი წმ. დავითის ლავრასა და "უდაბნოს" შესახებ, მომზადებულია, მის გაგრძელებად - "ნათლისმცემელი-ბერთუბანი" და დაგეგმილი - მესამე: "დოდორქა-საბერეები" (ქ-ნი ანელი უკანასკნელზე კარგა ხანია ჩაფიქრებული წიგნის დაწყებასაც აპირებდა...).



რაც უკვე ითქვა, მოწმობს, რომ ა. ვოლსკაია გაუნელებელი, იქნებ კიდეც მომატებული ინტერესით აგრძელებდა კვლევა-ძიებას. ოღონდ მარტო ნაშრომები როდია ქ-ნი ანელის წვლილი ქართულ ხელოვნებათმცოდნეობაში. ის ნამდვილად საკუთარი ოჯახივით უყურებდა ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტს (ამჟამად - გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი), სადაც 64 წელიწადი გაატარა. ძვირად თუ გაიხსენებს ვინმე სხდომას, რომელსაც ქ-ნი ანელი არ დასწრებოდა და მოსმენილისადმი თავისი დადებითი თუ უარყოფითი დამოკიდებულება ემოციურად, სრული, შეიძლება ითქვას, დაურიდებელი პირდაპირობით არ გამოეხატა. ცოტა თუ გამართულა ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო თავყრილობა - საინსტიტუტო, რესპუბლიკური თუ საერთაშორისო, სადაც ა. ვოლსკაია მოხსენებით არ გამოსულიყო. ინსტიტუტის ჭირი და ლხინი თუ მისი ყოველი მუშაკის ასავალ-დასავალი მას გულგრილს არასოდეს სტოვებდა და თუნდაც მის რომელიმე მოსაზრებას არ დასთანხმდებოდით, შეუძლებელი იყო არ დაგეფასებინათ თავისი საქმისა და თანამოსაქმეთა მუდმივი ერთგულება და გულშემატკივრობა - იმედია, ქ-ნი ანელიც გრძნობდა მისდამი გარეშემომყოფთა პატივისცემას, სიყვარულსა და სითბოს...

ასეთივე გულმხურვალებით ეკიდებოდა იგი ყველა გამარჯვებასა და გასაჭირს სამშობლოდ ნაგულვები საქართველოსი, ქართული კულტურის, ქართული ხელოვნების. ამიტომ დაწერა მან 1958 წელს ნარკვევი ახალგაზრდა ქართველ გრაფიკოსებზე, რომელნიც "სოციალისტური რეალიზმის" მებაირახტრეთაგან იყვნენ დასაცავი; ამიტომ დაურთო წინასიტყვაობა მაღალკულტურული, ნაკლებდაფასებული თბილისელი მხატვრის, პიოტრ ბლიოტკინის კატალოგს; ამიტომვე მიუძღვნა თავისი ბოლო, რამდენიმე თვის წინ წაკითხული მოხსენება, ბოლოდროინდელ პუბლიკაციებში არასათანადოდ გაშუქებულ ნუზალის (ჩრდ. ოსეთი) ქართულწარწერიან მხატვრობას...

ანელი ვოლსკაია ამ სოფლით ამა წლის 14 ნოემბერს წავიდა. დარი ღრუბლიანი, ულაზათო და ასეთ დღეს როდი უნდა მონდომებოდა გზად შედგომა ქ-ნ ანელის, სადაგ დღეებშიც თითქოს სადღესასწაულოდ მოწესრიგებულს... თუმცა კი თვით იგი, უფლისა და მისი წმინდანების მოიმედე ამაშიც, ალბათ, რამ აზრსა და ნიშანს ამოიცნობდა.

***დიმიტრი თუმანიშვილი***
*გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი*

**სს "ტაოპრივატბანკი" აცხადებს ტენდერს ინკასაციის სამსახურისთვის ტანსაცმლის შესაძენად. ტენდერში მონაწილე კომპანიისათვის სს "ტაოპრივატბანკის" მოთხოვნაა:**

1. 37 ერთეული შარვალი
2. 37 ერთეული სვიტრი
3. 6 ერთეული ქურთუკი

განაცხადი უნდა წარმოადგინოთ შემდეგი დოკუმენტების მიხედვით:
ა) განაცხადი მონაწილეობაზე:
ბ) თქვენი შემოთავაზება ჩვენი მოთხოვნების მიხედვით;
გ) ინფორმაცია ფასისა და მომსახურების გაწევის გრაფიკის შესახებ;
დ) მარეგისტრირებელი ორგანოს დასახელება, რეგისტრაციის ნომერი და თარიღი;
ე) საგადასახადო ორგანოს მიერ მინიჭებლი საიდენტიფიკაციო ნომერი;
ვ) საბანკო რეკვიზიტები;
ზ) წარმომადგენლობასა და ხელშეკრულების დადებაზე უფლებამოსილი პირის (პირების) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ქსეროასლი.

თქვენი განაცხადი წარმოდგენილი (გამოგზავნილი) უნდა იქნეს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0119, წერეთლის გამზირი №114, სს "ტაოპრივატბანკი".

განაცხადისა და შემოთავაზების წარდგენის ბოლო ვადაა 2009 წლის 25 ნოემბერი, 18:00. აღნიშნული ვადის შემდეგ წარმოდგენილი განაცხადი არ განიხილება. განაცხადი შეფასდება არაუგვიანეს 2009 წლის 29 ნოემბრისა, ზემოთ მითითებულ მისამართზე. შემოთავაზება წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე. ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით: 55 55 55 (1112); 891 11 17 17 (მაკა კიზირია), ან 55 55 55 (1443); 891 11 03 03 (ზურაბ კეკელია).

**განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ**

ქ. თბილისის მე-10 საჯარო სკოლა (მის. ც. დადიანის 189) აცხადებს კონკურსს შემდეგ საიჯარო ფართებზე:

1. სტომატოლოგიური კაბინეტი - 23 კვ.მ.;
2. სკოლის ფოიე - საკანცელარიო ნივთების სარეალიზაციო ფართი (7 კვ.მ.).

განაცხადის შემოტანის ბოლო ვადაა 2009 წლის 17 დეკემბერი.

**მე-10 საჯარო სკოლის საკონკურსო კომისია**

**შპს "საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია" აცხადებს ფასთა გამოკითხვას**

ალაზანჰესის სააკუმულატორო ბატარეის, მისი დამტენი და ქვედამტენი მოწყობილობების შეძენაზე და სამონტაჟო სამუშაოების შესყიდვაზე.

წინადადების წარმოდგენის ვადა - 23 ნოემბრის 17 საათამდე.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაუკავშირდით: საკონტაქტო პირს - ლალი გოგიშვილი **899 51 30 02, 21 03 55, ელ.მის. l_gogishvili@giec.ge**

**შპს "საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია" აცხადებს ფასთა გამოკითხვას**

სარეკლამო ლაითბოქსის დამზადება მონტაჟზე გაზგასამართი სადგურისათვის, რაოდენობა: 1 ერთეული, გაბარიტული ზომები: 1.6 მ X 4 მ. ორმაგი საინფორმაციო დაფებით.

წინადადების წარმოდგენის ბოლო ვადაა 23 ნოემბერი.

დამატებითი ინფორმაციისთვის და საჭირო დოკუმენტაციისთვის დაგვიკავშირდით: საკონტაქტო პირი - ლევან დევიძე, **895 58 18 81**.

# განცხადება
## ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგეობა, (მისამართი: ქ. თბილისი 0105, გ. ლეონიძის ქ. N2) 2010 წლის ბიუჯეტის ასიგნებების ფარგლებში აცხადებს ტენდერს რაიონის ტერიტორიაზე წყალკანალიზაციის საერთო შიდა სისტემების შეკეთების სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესყიდვის ობიექტი: შესაკეთებელია 28875 გრძივი მეტრი წყალგაყვანილობისა და 3525 გრძივი მეტრი საკანალიზაციო სისტემები. შესყიდვის ობიექტი დაყოფილია 3 ლოტად:

**ლოტი N1** - "მთაწმინდა, სოლოლაკი, ორთაჭალის" უბანი - 10000 გრძ.მ. წყალგაყვანილობისა და 1200 გრძ.მ. საკანალიზაციო სისტემების შეკეთება;

**ლოტი N2** - "ვერა, თამარ მეფე, აღმაშენებელის" უბანი - 9600 გრძ.მ. წყალგაყვანილობისა და 1175 გრძ.მ. საკანალიზაციო სისტემების შეკეთება;

**ლოტი N3** - "ქვედა ჩუღურეთი, ავლაბრის" უბანი - 9275 გრძ.მ. წყალგაყვანილობისა და 1150 გრძ.მ. საკანალიზაციო სისტემების შეკეთება.

შესასრულებელი სამუშაოების დეტალური ჩამონათვალი მოცემულია ტექნიკურ დავალებაში, რომელიც ტენდერში მონაწილეებს გადაეცემათ სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა მოხდეს ეტაპობრივად. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა 2010 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებელის გადახდის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენისთანავე 2009 წლის 10 დეკემბრის 18 საათამდე, შემდეგ მისამართზე: 0105, ქ. თბილისი გ. ლეონიძის ქ. N2, მე-3 სართული, ოთახი N5. სატენდერო დოკუმენტაცია შესრულებული იქნება ქართულ ენაზე.

5. სატენდერო მოსაკრებელის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს, გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ძველი თბილისი), ს/კ 206160606, ანგარიში N200122900, სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი - 300773174. გადახდის დანიშნულება - ძველი თბილისის რაიონის ტერიტორიაზე მდებარე წყალკანალიზაციის სისტემების კომპლექსური შეკეთების სამუშაოების სატენდერო მოსაკრებელი. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე შეუძლია გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.

6. პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი განაცხადი ტენდერში მონაწილეობის შესახებ და საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, ერთ დახურულ კონვერტში უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 11 დეკემბრის 10 საათიდან 14 საათამდე შემდეგ მისამართზე: 0105, ქ. თბილისი გ. ლეონიძის ქ. N2, მე-3 სართული, ოთახი N5.

7. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება. ლოტების შესაბამისად, ტენდერში გამოვლინდება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

8. ტენდერში მონაწილის (სუბ-კონტრაქტორების არსებობის შემთხვევაში, ასევე - მათი) საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

8.1 იურიდიული პირისათვის:

ა) ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ მიმდინარეობს იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

8.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

ბ) საგადასახადო ინსპექციაში რეგისტრაციის დამადასტურებელ საბუთს;

გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ნოტარიალურად დამოწმებულ ასლს.

8.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:

ა) ინფორმაციას მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;

ბ) ინფორმაციას ბოლო პერიოდში ანალოგიურ სამუშაოთა ჩატარების შესახებ;

გ) ცნობას სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს პრეტენდენტის გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

დ) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან, რომ პრეტენდენტს არ გააჩნია დავალიანება ბიუჯეტის მიმართ;

ე) ცნობას მომსახურე ბანკიდან საბანკო ანგარიშზე ყადაღის (ინკასოს) არარსებობის შესახებ;

ვ) ცნობას საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ პრეტენდენტის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

ზ) ცნობას სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან, რომ პრეტენდენტი არ არის შეყვანილი არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში;

თ) ცნობას მომსახურე ბანკიდან რომ პრეტენდენტს საბანკო ანგარიშზე აქვს თანხა სატენდერო წინადადების 10 პროცენტის ოდენობით.

9. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ დედნის სახით ან მათი ნოტარიალურად დამოწმებული ასლები. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომელსაც თან უნდა დაერთოს თარგმანი ქართულ ენაზე, ნოტარიალურად დამოწმებული სახით. კვალიფიკაციის გასავლელად განმცხადებელმა უნდა დააკმაყოფილოს ყველა ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნა. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-8 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება. ამ შემთხვევაში, მისი დისკვალიფიკაცია შესაძლებელია ტენდერის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

10. შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება წინამდებარე განცხადების მერვე მუხლით მოთხოვნილი ცნობები და ინფორმაცია, გარდა მერვე მუხლის 8.3. პუნქტის "ა", "ბ" და "დ" ქვეპუნქტების მოთხოვნებისა. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს ამ განცხადების გამოქვეყნების შემდგომ პერიოდში.

11. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადებისა (ღირებულების 1%-ის ოდენობით) და ხელშეკრულების შესრულების (ღირებულების 2%-ის ოდენობით) უზრუნველყოფის საბანკო გარანტირების მექანიზმი.

12. დამატებითი ინფორმაციისათვის დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგეობის მთავარ სპეციალისტს, სატენდერო კომისიის აპარატის წევრს - დავით კასრაძეს ზემოთაღნიშნულ მისამართზე.

**ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის
გამგეობის სატენდერო კომისია**

---

## სს ..კახეთის ენერგოდისტრიბუცია" აცხადებს კონკურსს:

ქ.თელავში, ალაზნის გამზირზე მდებარე შენობის რეკონსტრუქციის პროექტირებაზე. კონკურსში მონაწილეობის მსურველმა ორგანიზაციამ მიმდინარე წლის 25 ნოემბრამდე საკონკურსო მოთხოვნების მისაღებად შეუძლია მიმართოს პროექტების ხელმძღვანელს აუდრიუს ბიკმანასს.

ქ. თელავი, აჩინებულის ქ.N1

ტელ: 895 32 40 90

ელექტრონული ფოსტა: bikmanas@hotmail.com

---

# თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერია
# 2009 წლის 18 დეკემბერს ატარებს აუქციონს

აუქციონზე გამოტანილი იქნება ქ.რუსთავის ტერიტორიაზე არსებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი კომერციული საქმიანობისათვის

| № | მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობა | ფართობი | ზონა | სექტორი | კვარტალი | ნაკვეთი | ფასი | "ბე" | ბიჯი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ქ.რუსთავი დავით აღმაშენებლის გამზ. მ/ტ | 2100 | 02 | 02 | 04 | 165 | 17640 | 7056 | 1000 |

**აუქციონში მონაწილეობა, თანხის გადახდის ვადები და სანქციები:**

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, ან ამ პირთა გაერთიანებებს, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს, ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

აუქციონში გამარჯვებული მყიდველი ვალდებულია მის მიერ აუქციონზე შეძენილი ქონების საბოლოო თანხა გადაიხადოს აუქციონის ჩატარებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა, წინააღმდეგ შემთხვევაში, აუქციონის შედეგები გაუქმდება, მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და "ბე"-ს შენატანი არ დაუბრუნდება.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება წარმოებს განცხადების გამოქვეყნების დღიდან 30 კალენდარული დღის ვადაში 9 საათიდან 18 საათამდე, (თვითმმართველი ქალაქი რუსთავი კოსტავას გამზირი №20) ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 9 საათიდან 15 საათამდე, აუქციონი გაიმართება 16 საათზე.

**აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:**

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;

ბ) "ბე"-ს შენატანის დამადასტურებული საბანკო ქვითარი, რომელიც შეტანილი უნდა იქნეს:

ს.ს. "საქართველოს ბანკი" რუსთავის ფილიალი

ბ.კ. 220101502

საიდენტიფიკაციო კოდი 216433287

ა.ნ №266897601 (მიეთითოს გადასახადის დანიშნულება).

გ) მონაწილის ბილეთის ფასის - 50 ლარის შეტანის დამადასტურებული საბანკო ქვითარი, რომელიც შეტანილი უნდა იქნეს:

220101222 სახელმწიფო ხაზინა, 200122900 ერთიანი ანგარიში, სხვა შემოსულობები (რუსთავი) სახაზინო კოდი 300063282

(სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავალი)

დ) პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (ფიზიკური პირის შემთხვევაში):

ე) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით:

ვ) სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში)

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ქონების შესაძენად მაქსიმალური ფასის (არანაკლებ საწყის ფასზე "ბიჯი"-ს დანამატით მიღებული თანხის) გადახდა და აუქციონის პირობების დაკმაყოფილება

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ:
ქ. რუსთავი, კოსტავას გამზირი №20

ტელ: (824) 12 12 66

# ახალგაზრდები კიმონოში გამოეწყვნენ

*ანტალიამ ძიუდოში ევროპის 23 წლამდელთა ჩემპიონატისთვისაც მოიცალა და, სხვებთან ერთად, საქართველოს ნაკრებსაც უხმო. 20-22 ნოემბერს ძიუდოს მოყვარულთა ყურადღება ტატამისკენ იქნება მიპყრობილი.*

სოსო ლიპარტელიანის მეთვალყურეობით საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები (გაფართოებული შემადგენლობით) ერთგვარ გენერალურ რეპეტიციას გადის შოთა ჩოჩიშვილის სახელობის ძიუდოს აკადემიაში - ხვალ კი ანტალიისკენ აიღებს გეზს. ლიპარტელიანმა ნაკრები საქართველოს ჩემპიონატის გამარჯვებულებით დააკომპლექტა - ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრები მხოლოდ ოქროს მედალოსნებით წარდგება. მათ შორისაა ევროპის ჩემპიონი პაატა მერებაშვილი და მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი არჩილ შინჯიკაშვილი.



*საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები შეკრებას დღეს დაასრულებს*

"ევროპის ჩემპიონატისთვის დასკვნით შეკრებას გაფართოებული შემადგენლობით გავდიოდით. ნაკრების კანდიდატებს დილმის დარბაზში ვაკვირდებოდით, განაცხადში კი საქართველოს ჩემპიონები შევიყვანეთ. ბიჭების ახლანდელი ფორმით კმაყოფილი ვარ და შედეგსაც ველი", - ამბობს სოსო ლიპარტელიანი.

**საქართველოს ნაკრები:**
60 კგ.
პაატა მერებაშვილი
66 კგ.
ზურაბ შარვაშიძე
73 კგ.
ზვიად ბაზანდარაშვილი
81 კგ.
გიგა წიკლაური
90 კგ.
არჩილ შინჯიკაშვილი
100 კგ.
ტატო მუკვანი
+100 კგ.
ლევან მუქერია.

# კორეის ფიცარნაგმა ლიცენზია დაკარგა

## ქართველ ძალოსანთა კვარტეტი მსოფლიოზე მიდის

*გოიანგის ( კორეა) ძალოსანთა მსოფლიო ჩემპიონატს საქართველოს ნაკრები, ისევე როგორც სხვა ნაკრებები, ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე მოხვედრის შესაძლებლობად განიხილავდა, მაგრამ ძალოსნობის საერთაშორიო ფედერაციამ გადაწყვეტილება შეცვალა. კერძოდ, ლონდონის ოლიმპიური ფიცარნაგისთვის საგზურები გაისად ანტალიაში და 2011 წელს პარიზის მსოფლიო ჩემპიონატებზე გათამაშდება. ამ კალენდარული ცვლილებების გათვალისწინებით, საქართველოს ნაკრები კორეას შეთხელებული შემადგენლობით ეწვევა და, როგორც ეროვნული ფედერაციის სამწვრთნელო შტაბი აცხადებს, ალბათ ერთი მედლის მოპოვებისთვის იბრძოლებს.*

გოიანგის მსოფლიო ჩემპიონატამდე ორი დღე რჩება. მანამდე კი საქართველოს ნაკრები ორი თვეა გლდანის ოლიმპიური მზადების ცენტრში გადის შეკრებას.

მსოფლიო ჩემპიონატისთვის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ალეკო ნოზაძემ და მწვრთნელმა ავთანდილ გახოკიძემ გლდანში გაფართოებულ შემადგენლობას მოუყარეს თავი. საქართველო კორეაში ოთხ ძალოსანს - თეიმურაზ გოგიას (94 კგ.), ალბერტ კუზილოვს (105 კგ.), გია მაჭავარიანსა (105 კგ.) და მძიმეწონოსან ირაკლი თურმანიძეს გაგზავნის.

"ორი თვეა შეკრებაზე ვართ. ყველაფერი გეგმაზომიერად მიდის. კმაყოფილი ვარ მზადების პროცესით. ბიჭები კარგ ფორმაში არიან. მართალია, მცირე ტრამვები აწუხებთ, მაგრამ საშიში არაფერია, - ამბობს ალეკო ნოზაძე. - იმის გამო, რომ მსოფლიო ჩემპიონატი სალიცენზიო აღარ არის, გადავწყვიტეთ, კორეაში შეთხელებული შემადგენლობა წავიყვანოთ. საოლიმპიადო ლიცენზიებისთვის ბრძოლას კი შევუდგებით 2010 წლის ანტალიის და 2011 წლის პარიზის მსოფლიო ჩემპიონატებზე. კორეაში კი ჩვენი მიზანი ერთი მედლის მოპოვებაა".

**საქართველოს ნაკრები:**
**94 კგ.**
თეიმურაზ გოგია
**105 კგ.**
ალბერტ კუზილოვი
გია მაჭავარიანი
**მძიმე წონა**
ირაკლი თურმანიძე

# "ქორებს" ველარ აჩერებენ

NBA-ს რეგულარულ სეზონში ზაზა ფაჩულიას "ატლანტა ჰოუქსი" წარმატებულ თამაშს აგრძელებს. გუშინ, გამთენიისას, "ქორებმა" რიგით მეთერთმეტე თამაში გამართეს და მეცხრე გამარჯვება მოიპოვეს. ახლა "ატლანტას" საკუთარ მოედანზე ასპროცენტიანი მაჩვენებელი აქვს, სტუმრად გამართული ოთხი მატჩიდან კი მხოლოდ ორი მოიგო.

გუშინ ჯორჯიელები "ფილიპს არენაზე" "პორტლენდს" მასპინძლობდნენ. თამაში დაძაბული გამოდგა და მისი ბედი დამატებით ტაიმში გადაწყდა. თანაბარ ბრძოლაში მიმდინარე მატჩი საფინალო სირენამდე რამდენიმე წამით ადრე უკიდურესად დაიძაბა. მასპინძლები სამქულიან უპირატესობას ფლობდნენ, თუმცა პორტლენდელთა საუკეთესო მოთამაშე რუდი ფერნანდესმა თავისი გუნდის უკანასკნელი შეტევა ზუსტი სამქულიანით დაასრულა და თამაში დამატებით ტაიმში გადაიყვანა, რომელიც "ქორებმა" 14:10 მოიგეს. მატჩი კი ანგარიშით 99:95 დასრულდა.

ზაზა ფაჩულიაც კარგად გაისარჯა. თუ აქამდე ქართველ ცენტრს არც სათამაშო დრო ჰქონდა საკმარისი და არც სტატისტიკა შესაშური, ახლა ვითარება უკეთესობისკენ შეიცვალა. ვუდსონმა ზაზას 20 წუთი მისცა სათამაშოდ. დროის ამ მონაკვეთში ფაჩულიამ სულ 5 ქულა დააგროვა, თუმცა აქტიურად იმუშავა ფარქვეშ - 9 ბურთი მოხსნა.

მასპინძელთა შორის საუკეთესო იყო ჯო ჯონსონი, რომელმაც თამაში 35 ქულით და 9 შედეგიანი გადაცემით დაასრულა. "ქორების" ძირითადმა ცენტრმა ალ ჰარფორდმა მორიგი დაბლი მიითვალა - 15 ქულა, 10 მოხსნა.

რეგულარული სეზონის 11 მატჩის შემდეგ ატლანტელები აღმოსავლეთ კონფერენციის ლიდერები არიან. კალათბურთის ამერიკელი ექსპერტები ამბობენ, რომ "ატლანტას" ამ სეზონში აღმოსავლეთ კონფერენციის მოგება და NBA-ს ფინალში გასვლაც შეუძლია. მომდევნო მატჩს ფაჩულია და მისი თანაგუნდელები "მაიამი ჰიტის" წინააღმდეგ გამართავენ.

### ცვლილებები კალენდარში

შვეიცარიაში მყოფი საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელები სამშობლოში 20 ნოემბერს ბრუნდებიან. ამიტომ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის მე-15 ტურის მატჩები, 21 ნოემბრის ნაცვლად, 22 ნოემბერს ჩატარდება, პირველი ლიგის 5 შეხვედრა კი, 22 ნოემბრის მაგივრად, 21 ნოემბერს გაიმართება.

თამაშები 14:00 საათზე დაიწყება. დისკვალიფიკაციის გამო მომავალ ტურებს თხუთმეტი ფეხბურთელი და ერთი მწვრთნელი დააკლდება.

უმაღლესი ლიგის მე-15 ტური. 22 ნოემბერი, კვირა

ლოკომოტივი (თბილისი) - გაგრა

ოლიმპი - დინამო (თბილისი) 18:00 ჩანაწერი პირველ არხზე

ზესტაფონი - ვიტ ჯორჯია (თბილისი)

სამტრედია - სპარტაკი (ცხინვალი)

ბაია (ზუგდიდი) - სიონი (ბოლნისი)

დისკვალიფიცირებულები:

გაგრა - თორნიკე ოქრიაშვილი

ვიტ ჯორჯია - გიგა ბეჭვაია, ლაშა ჯაფარიძე

ზესტაფონი - თორნიკე აფციაური

სპარტაკი - დავით ბაქრაძე

ბაია - ზურაბ ექონია, რევაზ ჯიქია

სამტრედია - მწვრთნელი მამუკა მესიაჩენკო სათადარიგოთა სკამზე ვერ დაჯდება

### მორიგი საფეხბურთო ტრაგედია

გულის შეტევით გარდაიცვალა ბერძნული "ლარისას" 31 წლის მექსიკელი თავდამსხმელი ანტონიო დე ნიგერისი. ფეხბურთელი რამდენიმე დღის წინ წაიყვანეს სავაადმყოფოში, თუმცა ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს.

მექსიკელი ფორვარდი "ლარისაში" მიმდინარე სეზონის წინ თურქული "ანკარაგუჯუდან" გადავიდა და საბერძნეთის ჩემპიონატში 7 მატჩი ჩაატარა.

### "მანჩესტერი" ჰოლანდიელი მეკარის შენარჩუნებას ცდილობს

"მანჩესტერ იუნაიტედის" მესვეურები ედვინ ვან დერ სარს კიდევ ერთი წლით სთხოვენ კონტრაქტის გაგრძელებას. 38 წლის ჰოლანდიელ მეკარეს საფეხბურთო კარიერის დასრულება სურს და მხოლოდ ამ სეზონში აპირებს თამაშს.

ფერგიუსონი კარგა ხანია ვან დერ სარის შემცვლელს ეძებს, მაგრამ, ეტყობა, სერ ალექსის მცდელობები წარუმატებლად დასრულდა, რადგან გადაწყდა, რომ კლუბი ვან დერ სარს სთხოვს დარჩენას.

იყო ვარაუდი, რომ "მანჩესტერი" იგორ აკინფეევს იყიდდა, მაგრამ ჯერჯერობით მანკუნიანელები რუსი მეკარის შეძენას არ ჩქარობენ.

### ვან პერსი ისვენებს

იტალიისა და ჰოლანდიის ნაკრები გუნდების ამხანაგურ შეხვედრაში ტრავმა მიიღო რობინ ვან პერსიმ. ის თვე-ნახევარს იუქმებს.

ეს ინფორმაცია "მეთოფეთათვის" სასიამოვნოც კია, ვინაიდან პირველადი გამოკვლევის შემდეგ, ექიმების ვარაუდით, ფეხბურთელს რეაბილიტაციისთვის სამ თვემდე დრო დასჭირდებოდა, თუმცა, როგორც განმეორებითი გამოკვლევის შემდეგ გაირკვა, ჰოლანდიელს თვე-ნახევარი მოუწევს მკურნალობა. მიმდინარე კვირაში ვან პერსი ლონდონში დაბრუნდება და კლუბის სამედიცინო შტაბის მეთვალყურეობით გააგრძელებს მკურნალობას.

**"ლივერპულს" ელიას შეძენა სურს**

"ლივერპულმა" ზამთრის სატრანსფერო პერიოდში შესაძლოა "ჰამბურგის" ახალგაზრდა ჰოლანდიელი ფორვარდი ელიერო ელია შეიძინოს.

ბრიტანულ მედიაში გავრცელებული ცნობით, ბუნდესლიგასა და ჰოლანდიის ეროვნულ ნაკრებში ჩატარებული რამდენიმე წარმატებული მატჩის შემდეგ 22 წლის ფეხბურთელით პრემიერლიგის წარმომადგენლები დაინტერესდნენ.

"არსებობს არაერთი ინგლისური კლუბი, რომელსაც მისი შეძენა სურს, თუმცა ელია ცოტა ხნის წინ გადავიდა გერმანიაში და ყველაფრით კმაყოფილია. ჰოლანდიელით დაინტერესებულია "ლივერპული", მაგრამ ოფიციალური წინადადება ფეხბურთელს ჯერ არ მიუღია", - განაცხადა თავდამსხმელის აგენტმა კლაუს ვინკმა.

### აბიდალი "ბარსელონას" ვერ დაეხმარება

"ბარსელონას" ფრანგი მცველი ერიკ აბიდალი, სავარაუდოდ, ერთი თვის განმავლობაში ვერ ითამაშებს. ფეხბურთელმა საფრანგეთისა და ირლანდიის ნაკრებ გუნდებს შორის გამართულ მსოფლიო ჩემპიონატის პლეი-ოფის მატჩში მიიღო ტრავმა.

### "სანდერლენდი" მეკარის გარეშე დარჩა

"სანდერლენდი" ძირითადი მეკარის გარეშე დარჩა. კრეიგ გორდონმა მაჯის ტრავმა პრემიერლიგის მე-12 ტურში, "ტოტენჰემის" ფორვარდ ჯერმეინ დეფოსთან შეჯახების დროს მიიღო. თავიდან თითქოს საგანგაშო არაფერი იყო, მაგრამ მოგვიანებით მოტეხილობა აღმოჩნდა.

"გორდონის ტრავმა ჩვენთვის ყველაზე ცუდი სიახლეა. სამწუხაროდ, იღბალი ხშირად ზურგს გვაქცევს," - თქვა "სანდერლენდის" თავკაცმა.

### დი მარია არ იყიდება

მიუხედავად იმისა, რომ ლისაბონის "ბენფიკას" არგენტინელ ნახევარმცველ დი მარიაზე დიდი მოთხოვნილებაა, პორტუგალიური კლუბი ზამთარში მას არ გაყიდის.

დი მარიას შეძენით რამდენიმე ევროპული გრანდია დაინტერესებული, მათ შორის, "მანჩესტერ სიტი" და "ჩელსი". ფეხბურთელს, რომლის სატრანსფერო ღირებულებად 40 მილიონი ევრო სახელდება, შაბათს, ესპანეთისა და არგენტინის ნაკრებთა ამხანაგური მატჩის დროს, ლონდონური კლუბის სკაუტები აკვირდებოდნენ.

"ბენფიკას" გულშემატკივრებს შეუძლიათ მშვიდად იყვნენ, რადგან დი მარია იანვარში არსად წავა. მის მიმართ დიდი კლუბების ინტერესი ჩვენთვის ცნობილია, მაგრამ სეზონისთვის დასახული ამოცანების შესასრულებლად არგენტინელის დახმარება გვჭირდება," - აცხადებს "ბენფიკას" პრეზიდენტი ლუიშ ფილიპე ვიეირა.

როგორც ცნობილია, 21 წლის არგენტინელს ლისაბონელებთან კონტრაქტი 2015 წლამდე აკავშირებს.

### საკლუბო მუნდიალის მონაწილეები, სულ მცირე, მილიონით გამდიდრდებიან

ფიფამ მიმდინარე წლის 9-დან 19 დეკემბრამდე არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში გასამართი საკლუბო მსოფლიო ჩემპიონატის საპრიზო ფონდი განსაზღვრა.

მომავალ ტურნირზე გუნდები საერთო ჯამში 14,5 მილიონ ევროს გაითამაშებენ. თითოეული მონაწილე, მხოლოდ საემიროებში ჩასვლისთვის, გარანტირებულად 1,3 მილიონ ევროს მიიღებს. დანარჩენი თანხა კლუბების მიერ ნაჩვენები შედეგების მიხედვით განაწილდება.

წლევანდელ საკლუბო ჩემპიონატზე ითამაშებენ ესპანეთის "ბარსელონა", არგენტინის "ესტუდიანტესი", მექსიკის "ატლანტე", არაბეთის გაერთიანებული საემიროების "ალ-აჰლი", კონგოს "მაზემბე", სამხრეთ კორეის "პოჰანგ სტილერსი", ახალი ზელანდიის "ოკლენდ-სიტი".

"ესტუდიანტესი" და "ბარსელონა" ტურნირში ნახევარფინალიდან ჩაერთვებიან.

### "ფიორენტინა" თუ "ატლეტიკო"?

ყაზანის "რუბინის" არგენტინელ ფეხბურთელს ალეხანდრო დომინგესს ორი ევროპული კლუბი იწვევს. ფეხბურთელის გადაბირება "ფიორენტინასა" და მადრიდის "ატლეტიკოს" სურთ.

28 წლის სამხრეთამერიკელს რუსულ კლუბთან კონტრაქტი მომავალი წლის იანვარში უმთავრდება და მას შეუძლია "რუბინი" თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვოს.

### ნევილმაც მსაჯებს შეუტია

ბოლო ხანს "მანჩესტერ იუნაიტედის" წარმომადგენლები მსაჯებს ხშირად აკრიტიკებენ. ამის გამო ალექს ფერგიუსონი დაისაჯა კიდეც. ახლა კი მსაჯების მუშაობით უკმაყოფილებას გამოხატავს მანკუნიანელთა ვეტერანი მცველი გარი ნევილი.

"პრინციპულ მატჩებში მსაჯები ბევრ შეცდომას უშვებენ. რა თქმა უნდა, მათ რთული სამუშაო აქვთ, მაგრამ ისინი ხომ პროფესიონალები არიან! ყველაზე მნიშვნელოვანი შეხვედრები საუკეთესოებმა უნდა განსაჯონ. მაგალითად, იტალიელი პიერ-ლუიჯი კოლინა ყოველთვის საუკეთესო მატჩებს მსაჯობდა, რადგან იშვიათად ცდებოდა. ინგლისშიც ასე უნდა იყოს. ლიდერების მატჩებს გამოცდილი არბიტრები უნდა მოემსახურონ და არა ახალბედები. ამ უკანასკნელებმა ნაკლებად მნიშვნელოვან შეხვედრებში უნდა შეიძინონ გამოცდილება," - ამბობს ნევილი.

# სამმაგი გამარჯვების მოლოდინში



გაგამარუმ პირველი გამარჯვება იზეიმა

იაპონიაში მიმდინარე სეზონის უკანასკნელი ბაზო ქართველთათვის უილბლოდ დაიწყო. პირველ დღეს სამივე ქართველი დამარცხდა. ახლა კი ვითარება ნელ-ნელა უკეთესობისკენ მიდის. მეორე დღეს ტოჩინოშინმა მოიგო, გუშინ კი ორმაგი ქართული გამარჯვების მომსწრე გავხდით. ტოჩინოშინმა ზედიზედ მეორე გამარჯვება ჩაიწერა აქტივში, ძურის დივიზიონის დებიუტანტმა გაგამარუმ კი პირველი გამარჯვება იზეიმა. ისევ დამარცხდა კოკაი, თუმცა, თუ სამ დღეში ჩამოყალიბებული ტენდენცია შენარჩუნდა, დღეს სამივე ქართველმა უნდა მოიგოს.

გუშინდელ დღეზე საუბარს რანგით დაბალი - ძურის დივიზიონით დავიწყებთ. სუმოს ელიტაში მოხვედრილმა გაგამარუმ გუშინ ოშიდაშის ილეთით ჩიოჰაკუჰო დაამარცხა და აქტივში პირველი გამარჯვება ჩაიწერა.

მაკუჩი დივიზიონში ტოჩინოშინი გახარებს. გუშინ დასავლეთის მერვე მაეგაშირას რანგში მოასპარეზე ქართველმა უვატენაგეს ილეთით დასავლეთის მეცხრე მაეგაშირა მაბაიამა დაამარცხა, რითაც კოკაის ჯავრიც იყარა - შეგახსენებთ, რომ ბაზოს მეორე დღეს მაბაიამამ გამოცდილ ქართველ სუმოისტს მოუგო.

რაც შეეხება კოკაის, მან ზედიზედ მესამე ბრძოლა წააგო. ამჯერად ის დასავლეთის მეთერთმეტე მაეგაშირამ - ტაკამისაკირიმ დაამარცხა.

დღეს სუმოისტები მორიგ ბრძოლებს გამართავენ. მაკუჩი დივიზიონში ტოჩინოშინი აღმოსავლეთის მეხუთე მაეგაშირა ტოიონოშიმას შეერკინება, კოკაი კი აღმოსავლეთის მეორე მაეგაშირა არანთან შეეცდება პირველი გამარჯვების მოპოვებას.

ძურის დივიზიონში გაგამარუს მეტოქე იქნება შიროიამა, რომელმაც სამიდან ორი ბრძოლა მოიგო.

# ფაბრეგასი "არსენალიდან" მიდის



ბრიტანული მედიის ინფორმაციით, "არსენალისა" და ესპანეთის ნაკრების 22 წლის ნახევარმცველი, ფეხბურთელი, რომლის შეძენა ყველა ევროპულ გრანდს სურს, სესკ ფაბრეგასი ზაფხულში ლონდონურ კლუბს დატოვებს.

სესკსას და არსენ ვენგერს შორის შედგა ჯენტლმენური შეთანხმება, რომლის თანახმად, ზამთარში ფაბრეგასი ტრანსფერზე საერთოდ არ იფიქრებს, ზაფხულში კი კლუბის მესვეურები მის ტრანსფერს წინ არ აღუდგებიან. უკვე დასახელდა თანხა, რომელსაც "არსენალი" ფაბრეგასში მოითხოვს - 60 მილიონი გირვანქა სტერლინგი.

ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ლონდონიდან ფაბრეგასი ესპანეთისკენ აიღებს გეზს. "ბარსელონა" თუ "რეალი"? ამ ორი სუპერკლუბიდან რომელს აირჩევს ფაბრეგასი? ამ კითხვაზე პასუხს ყველა ელის.

სესკი კატალონიური სკოლის აღზრდილია და "ბარსას" ფეხბურთელის გადაბირების გაცილებით მეტი შანსი აქვს, თუმცა, "რეალი" არ ცხრება და პერესი ფულით აპირებს ახალგაზრდა ნახევარმცველის მოხიბვლას.

სულ მალე "ბარსელონას" პრეზიდენტის არჩევნები გაიმართება. ლაპორტა კიდევ ერთხელ ვერ იყრის კენჭს პრეზიდენტის პოსტზე. მის სავარაუდო შემცვლელად ასახელებენ სანდრო როსელს, რომელიც თავის დროზე ლაპორტას გუნდის წევრი იყო, თუმცა მერე რაღაც მოხდა და გუნდიდან წავიდა.

როსელი იძლევა პირობას, რომ პრეზიდენტად მისი არჩევის შემთხვევაში ფაბრეგასი "ბარსელონაში" გადავა. პრეზიდენტობის კანდიდატის ეს სიტყვები მყარ საფუძველს ეყრდნობა. საქმე ის არის, რომ როსელს კარგი ურთიერთობა აქვს კომპანია Nike-სთან, რომლის აღმასრულებელ დირექტორად ის კარგა ხანს მუშაობდა. თავის დროზე სწორედ Nike-ის დახმარებით შეძლო როსელმა რონალდინიოს გადაყვანა "ბარსელონაში". სესკს პირადი სარეკლამო კონტრაქტიც აკავშირებს Nike-თან. ყველაფერმა ამან შესაძლოა გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონიოს ფეხბურთელის ტრანსფერზე. ფაბრეგასის გადასაბირებლად "რეალს" თავის სპონსორ "ადიდასთან" მოუწევს მოთათბირება.

# სკოლარის რჩევა მადრიდის "რეალს"



სკოლარის "რეალში" გადასვლა არ ეჩქარება

მადრიდის "რეალში" შესაშური ვითარება რომ არ არის, ამაზე არავინ დავობს. "სამეფო თასიდან" გამოვარდნის შემდეგ ხშირად საუბრობენ პელეგრინის დათხოვნაზე. თუ "რეალი" მოახლოებულ კლასიკოს დათმობს, მანუელ პელეგრინის "სამეფო კლუბიდან" აზარგება მოუწევს. ესპანურ მედიაში მის სავარაუდო შემცვლელად ლუიშ ფელიპე სკოლარის ასახელებენ. ესპანური გაზეთი "ასი" სკოლარის დაუკავშირდა და "რეალზე" ესაუბრა.

**- ესპანეთის ჩემპიონატს თუ ადევნებთ თვალყურს?**

- მე ყველა წამყვანი ჩემპიონატის საქმის კურსში ვარ. ახლა უზბეკეთში ვარ, მაგრამ ეს ადგილი ქვეყნის დასალიერი ნუ გგონიათ.

**- რას იტყვით კრიშტიანუ რონალდუს შესახებ?**

- ის იყო მრავალმილიონიანი პროექტის ცენტრალური ფიგურა.

**- მასთან სისტემატური ურთიერთობა გაქვთ?**

- რა თქმა უნდა. ევროპაში ჩვენ ხომ ერთი აგენტი გვყავს - ჟორჟე მენდეში.

**- და რას ეუბნებით რონალდუს?**

- "რეალში" გადასვლა მისთვის სწორი ნაბიჯი იყო, რადგან ინგლისში გარკვეული ეტაპი დასრულდა. იქ მან ყველაფერი მოიგო. ამის შემდეგ მოტივაცია კლებულობს. ახლა მადრიდში მოტივაცია გაცილებით დიდი აქვს და, დარწმუნებული ვარ, სულ მალე "რეალის" ლიდერად ჩამოყალიბდება. მეტიც, "რეალისთვის" ის უფრო მნიშვნელოვანი ფიგურა იქნება, ვიდრე "მანჩესტერისთვის" იყო.

**- რატომ?**

- თუნდაც იმიტომ, რომ ესპანური საზოგადოება მას უფრო უხდება.

**- როდესაც მას ავარჯიშებდით, ყველაზე მეტად რა მოგწონდათ?**

- პირველად ნაკრებში რომ მიიწვიეს, 17 თუ 18 წლის იყო და უკვე ჩამოყალიბებული ოსტატის შთაბეჭდილებას ტოვებდა. მან იცოდა, რა სურდა, ბეჯითად მუშაობდა და უსმენდა მწვრთნელს. სავარჯიშო პროცესს დიდი სერიოზულობით ეკიდებოდა.

**- მოტივაცია უფრო მნიშვნელოვანია თუ ტაქტიკა?**

- ფეხბურთელი მინდორზე მხოლოდ იმიტომ ვერ გამოვა, რომ ხელფასი უნდა აიღოს. ის თამაშზე უნდა იყოს მოტივირებული.

**- პირადად თქვენ რა მეთოდით ახერხებთ ფეხბურთელების მოტივირებას?**

- მთავარია ფეხბურთელს ბევრი ელაპარაკო. რა გითხრათ, უამრავი მეთოდია. ზოგჯერ ფეხბურთელებისთვის ზარატებიც მიმიწერია.

**- სულ ეს არის?**

- აუცილებელია კარგად ერკვეოდე კონკრეტულ ვითარებაში. ვარსკვლავებთან რომ იმუშაო, სულაც არ არის საჭირო მსოფლიოს საუკეთესო მწვრთნელი იყო. მაგალითს მოგიტანთ. 2002 წლის მუნდიალზე შევნიშნე, რომ რივალდო და რონალდო ერთმანეთს კონკურენტებად აღიქვამდნენ. ორივეს უნდოდა საუკეთესო ბომბარდირის ტიტულის მოპოვება. თავიდან არ ჩავერიე, მერე კი, როცა დავინახე, რომ ერთმანეთს პასსაც აღარ აძლევენ, ორივე დავიბარე და ვუთხარი: "თუ ასე გააგრძელებთ, ნაკრებში მხოლოდ ერთს დავტოვებ და ჯერ არ მაქვს გადაწყვეტილი - რომელს". ამის შემდეგ ჩემპიონები გავხდით.

**- ესპანეთში მუშაობა გინდათ?**

- რა თქმა უნდა.

**- "რეალში"?**

- "უმჯობესია "რეალის" მესვეურებს ერთი რჩევა მივცე. პელეგრინის თავი დაანებონ და მუშაობის საშუალება მისცენ. "ვილიარეალში" მან დაამტკიცა თავისი მაღალი კვალიფიკაცია და თუ "სამეფო კლუბის" ხელმძღვანელები მას დროს მისცემენ, წარმატებას "რეალსაც" მოუტანს. არ შეიძლება ყოველ ხუთ თვეში ერთი წაგებული თამაშის გამო მწვრთნელი შეცვალო.

**განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ**

1. ქალაქ თბილისის მერია აცხადებს მრავალწლიან ტენდერს ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის ბალანსზე რიცხული შენობების - მდებარე: ქ. თბილისში, შარტავას ქ. N7-ში (15500 მ.კვ) და ქ, თბილისში, კოსტავას I შესახვევი, N33-ში (500მ.კვ), აგრეთვე 2000 მ.კვ მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტია: ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის ბალანსზე რიცხული შენობების - მდებარე: ქ. თბილისში, შარტავას ქ. N7-ში (15500 მ.კვ) და ქ, თბილისში, კოსტავას I შესახვევი, N33-ში (500მ.კვ), აგრეთვე 2000 მ.კვ მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავების მომსახურება.

*შენიშვნა: მომსახურების სრული აღწერა მოცემული იქნება ტექნიკურ დავალებაში.*

**2**. მომსახურების გაწევის სავალდებულო ვადაა 2010 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

3. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდისა და სატენდერო კომისიის აპარატში გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, 2009 წლის 18 ნოემბრიდან ამავე წლის 9 დეკემბრის 11.00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7, მეორე სართული, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური. ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველ პირს ზემოაღნიშნულ მისამართზე უფლება აქვს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას, რომელიც შედგენილ იქნება ქართულ ენაზე.

4. სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე:

მიმღების დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო
მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ანგარიში: 200122900
ბანკის კოდი: 220101222
საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: თბილისი 300773174;

**გადახდის დანიშნულება - ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის ბალანსზე რიცხული შენობების - მდებარე: ქ. თბილისში, შარტავას ქ. N7-ში (15500 მ.კვ) და ქ, თბილისში, კოსტავას I შესახვევი, N33-ში (500მ.კვ), აგრეთვე 2000 მ.კვ მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის ტენდერი, ქ. თბილისის მერია.**

5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე (ერთ დალუქულ კონვერტში) უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 8 დეკემბრის 11:00 საათიდან 14:30 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7, მეორე სართული, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური.

6. პრეტენდენტების საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:

**6.1 იურიდიული პირებისათვის:**

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

დ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, იურიდიული პირის ქონებაზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ;

ე) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;

ვ) ცნობა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან, რომ იგი არ არის შეყვანილი შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში.

**6.2 ფიზიკური პირებისათვის:**

ა) ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

ბ) ცნობა, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;

დ) ცნობა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან, რომ იგი არ არის შეყვანილი შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში.

7. პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-6 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადებასთან ერთად (ერთ დალუქულ კონვერტში) ასევე უნდა წარმოადგინონ სუბკონტრაქტორების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების მე-6 პუნქტის შესაბამისად.

შენიშვნა: პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე. განცხადების მე-6 პუნტში ჩამოთვლილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული არაუმეტეს სატენდერო განცხადების გამოქვეყნებიდან სატენდერო წინადადების მიღების თარიღამდე.

